ბერს თვითონ კაცი ქმნის და ეხა ბერი კაცსა

ახალი იერსია

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

№1 ნოემბერი 2022

ზაზა ბიბილაშვილი
რადგან წერა-კითხვა უკვე ვისწავლეთ

გია ჯაფარიძე
VENI, VIDI, PERDIDI

დავით ხვადაგიანი
შეხვედრა წარსულთან

ბუბა კუდავა
აქა ამბავი დემნა უფლისწულისა

ISSN 2720-8729

ახალი ივერია
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

2022 ნოემბერი, #1 (1)
ISSN 2720-8729

ააიპ “ჭავჭავაძის ცენტრი”
გიორგი ახვლედიანის ქუჩა 20
0108, თბილისი, საქართველო

ნომერზე მუშაობდნენ:
ზაზა ბიბილაშვილი
შამილ შუგაევი
კოკა თოფურია
ლაშა გაბელია
ნინო კალანდაძე
გიორგი ხარებავა
გიგა ჯოხაძე
გია ჯაფარიძე

სარჩევი

3 ზაზა ბიბილაშვილი
მთავარი რედაქტორის მიმართვა

7 საერთაშორისო პოლიტიკა
გია ჯაფარიძე
VENI, VIDI, PERDIDI



10 ქართველი გმირები
ზოია კურტანიძე
ნიკო ცეცხლაძე

11 უსაფრთხოება
გიგა ჯოხაძე
ქართული სპეცსამსახურები და რუსეთი 2012-2022

15 ჟურნალისტური გამოძიება
ნანა ბრეგაძე, მარიამ კაჭკაჭაშვილი
ვინ და როგორ იცავს საქართველოს ცას?

20 პოლიტიკა და საზოგადოება
ია ასათიანი, მანანა ღოღობერიძე
რას აპირებენ საქართველოში გადმობარგებული რუსები და რას ვაპირებთ ჩვენ?

27 პოლიტიკა და საზოგადოება
გიორგი ხარებავა
რა შეიძლება ვისწავლოთ ტაივანისგან

30 პირველი რესპუბლიკა და საბჭოთა წარსული
დავით ხვადაგიანი
შეხვედრა წარსულთან

38 ფერადი ისტორიები
ბუბა კუდავა
აქა ამბავი დემნა უფლისწულისა

46 საზოგადოება
ქეთი ქურდოვანიძე
მერე რა, წავშლი!

48 კულტურა და იდენტობა
დავით ბუხრიკიძე
კულტურა, როგორც რუსული პოლიტიკის ინსტრუმენტი

51 საავტორო სვეტი
ზურა მეძველია
ჩემი მსოფლიო

55 ლევან ხერხეულიძის ფოტოები

ზაზა ბიბილაშვილი

რადგან წერა-კითხვა უკვე ვისწავლეთ

(„ახალი ივერიის“ პირველი ნომრის გამოსვლის გამო)

განგებამ ჩემს თაობას საინტერესო დროში ცხოვრება არგუნა წილად. რამდენი შობილა, გაზრდილა, გაჭაღარავებულა, დაბერებულა და გარდაცვლილა ერთ, მოსაწყენ, უპერსპექტივო რეალობაში. ის რეალობა მოცემულობად მიუღია, დაუძლეველი და მარადიული ჰგონებია. ჩვენ კი... ხუმრობა საქმე არაა საუკუნეთა, ათასწლეულთა, ეპოქათა მიჯნაზე ცხოვრება და ისეთ ტექტონიკურ გეოპოლიტიკურ ცვლილებებში თუნდაც პასიური მონაწილეობა, როგორიც სულ რამდენიმე წლით ადრე, ყველაზე თამამ ფანტაზიებშიც კი წარმოუდგენელი იყო.

დავიბადეთ საბჭოეთში. გავიზარდეთ ბოროტების იმპერიის რღვევისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის ხანაში. სრულიად ახალგაზრდებმა მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, მაგრამ სიხარული არ დაგვცალდა - გალაქტიკური განზომილების უგუნურებას ქვეყანა და ასობით ათასი ადამიანის სიცოცხლე გადავაყოლეთ, თავისუფლების სიამე უბედურებათა კასკადმა გადაგვიფარა. სიმწიფის ასაკს რომ მივუახლოვდით, გვითხრეს, ყველაფერი კარგადაა, მსოფლიოში დემოკრატიამ გაიმარჯვა, ისტორია დასრულდაო (ოღონდ საქართველოში ყველაფერი ძალიან, ძალიან ცუდად იყო). მალე ისევ ვიყოჩაღეთ (ცოტათი გაგვიმართლა კიდეც) - ჭაობიდან ქეჩოთი ამოვითრიეთ თავი (თან ისე, რომ სხეულის ზოგი ნაწილი დანარჩენს ქვემოთ ექაჩებოდა), თვალები მოვიფშვნიტეთ, თვითგვემას შევეშვით, ეგზოტიკური მითების სამყაროდან გამოვე... დით, საუკუნოვანი სტერეოტიპები დავამსხვრიეთ, ვნახეთ - და ვირწმუნეთ - რომ კონკურენცია, გამარჯვება, სხვებისათვის სანიმუშო განვითარების მოდელის შექმნა შეგვძლებია, თუ მოვინდომებდით და შევეცდებოდით... ბოლოს, ისევ მარადიულ ქართულ უმწეობას, პროვინციული კონფორმიზმის სიმყუდროვეს, მტრისადმი ქედდრეკილობასა და ძალდაუტანებელ საშუალოობას დავუბრუნდით, როცა უბირი ოლიგარქის პირით გვითხრეს, საქართველო „პატარა სოფელია“, რომელმაც „თავისი ადგილი“ უნდა იცოდესო.

მთელი ეს დრო, საშუალოსტატისტიკური ქართველი თითქმის ყოველთვის პასიური დამკვირვებლის როლში იყო. ჩვენში მუდამ ერთეულები იბრძოდნენ. საზოგადოებამაც მშვენივრად მოირგო უფუნქციო მაყურებლის მანტია - ერთეული გმირების გაფეტიშებითა და მათი უნიკალურობის დაჯერებით (თითქოს იმის ხაზგასასმელად, რომ *ჩვენგან* ასეთი იდეალიზმის მოლოდინი არავის უნდა ჰქონდეს), ჩვენი პასუხისმგებლობის ამ გმირებზე გადაბარებითა და მათში ვირტუალურად განსხეულებით (ლექსით, ყანწით, ტელეეთერით)... პარალელურად, საკუთარი თავისთვის, ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველთვის ირჩევდა „გაგებას“, „ურთიერთობას“, კონფორმიზმს, როგორც ცხოვრების წესს. კონფორმიზმს, რომელიც, ისტორიკოსებსა და მოგზაურებს თუ დავუჯერებთ, საუკუნეთა მანძილზე ჩვენს მთავარ ტრადიციად ჩამოყალიბდა.

ტრადიციად, რომელიც სიღარიბის, სიმცირის, წარუმატებლობის გარანტირებულ რეცეპტად გვექცა ქართველებს. არსებული კოლაბორაციონისტული რეჟიმის პირობებში, ამ მანკიერი ტრადიციის გაკეთილშობილების ორველიანური კამპანიაც კი მიმდინარეობს. ქადაგებენ, რომ თითქოს ვირეშმაკობა სიქველეა, ლაჩრობა - სიფრთხილე, მტრის მსახურება - პრაგმატულობა, სახელმწიფო ინტერესების პირად კეთილდღეობაზე გაცვლა კი (ადრე რომ ძველმოდურად „ღალატს“ ვეძახდით) - „სიბრძნე“. კონფორმიზმს, ცხადია, არ ახსენებენ, მაგრამ ცდილობენ ჩაგვაგონონ, რომ სწორედ ასეთმა სიბრძნემ გადაგვარჩინა... აქ თავს იჩენს ქართული კონფორმიზმისთვის დამახასიათებელი უმწეო მინიმალიზმი:

„გადაგვარჩინა“.

გადარჩენა, როგორც მიღწევა, როგორც სტანდარტი. არადა, სხვაგვარად რომ გვემოქმედა, შესაძლოა, არა მხოლოდ გადავრჩენილიყავით, არამედ მდიდარი, ძლიერი და ტერიტორიულად მხარგაშლილ-ფრთაგაშლილი ვყოფილიყავით! ბოლოს და ბოლოს, ორასზე მეტი სახელმწიფო „გადარჩა“. მეტიც, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენზე სწრაფად და მიზანდასახულად ვითარდება. ის, ვისაც გუშინ უსაფუძვლო ქედმაღლობით ზემოდან ვუყურებდით (ისევე, როგორც XIX საუკუნის დარდიმანდი ქართველი თავადაზნაურობა უყურებდა თავისი საქმის მცოდნე ხელოსნებსა თუ შეძლებულ კომერსანტებს), დღეს თვალსა და ხელს შუა ჩვენზე ძლიერი, აყვავებული და მრავალრიცხოვანი ხდება.

ჩვენში მუდამ ერთეულები იბრძოდნენ. საზოგადოებამაც მშვენივრად მოირგო უფუნქციო მაყურებლის მანტია - ერთეული გმირების გაფეტიშებითა და მათი უნიკალურობის დაჯერებით (თითქოს იმის ხაზგასასმელად, რომ ჩვენგან ასეთი იდეალიზმის მოლოდინი არავის უნდა ჰქონდეს), ჩვენი პასუხისმგებლობის ამ გმირებზე გადაბარებითა და მათში ვირტუალურად განსხეულებით (ლექსით, ყანწით, ტელეეთერით)... პარალელურად, საკუთარი თავისთვის, ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველთვის ირჩევდა „გაგებას“, „ურთიერთობას“, კონფორმიზმს, როგორც ცხოვრების წესს.

ჩვენ კი... ჩვენ *„გადავრჩით“.*

მეტიც - როგორც შტეფან ტოლცის 2012 წლის დოკუმენტურ ფილმში “Full Speed Westward” ივანაშვილი თავად ამბობს, ჩვენი ხელით ამოვუწიეთ ჩვენ ქვეყანას „ტორმუზი“.

ასეთ დროს, ყოველთვის იბადება უბადრუკი, არაფრისმთქმელი და, ისევ და ისევ, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის განცდისგან დაცლილი კითხვა:

„გვეშველება რამე?!“

და რადგან ამ კითხვას გვერდი მაინც ვერ ავუარეთ, მოდით, ერთად ვიფიქროთ:

როგორი ქვეყანა გვინდა, გვქონდეს და რა უნდა ვაკეთოთ ამისთვის? ხაზს ვუსვამ - „ვაკეთოთ“ და არა „გავაკეთოთ“. ანუ სულ და არა ერთჯერადად.

თითქოს ბანალური კითხვაა, მაგრამ, ისტორიას თუ გადავხედავთ, ამ თემაზე ჩვენში ოდენ ერთეულები ფიქრობდნენ. კიდევ უფრო ცოტა ვინმე თუ ახერხებდა ნაფიქრალის განსახორციელებლად ყოველდღიურ, თანმიმდევრულ, „მოსაწყენ“ შრომას - ხედვის ისეთ საქმედ ქცევას, ერთჯერად ძალისხმევად რომ არ შემორჩებოდა ჟამთააღმწერლის კალამს და ერის ისტორიის მზიდ კედელში ჩადგმულ მყარ არქიტრავად გამოჩნდებოდა ათწლეულების მერე.

იტყვით, მაგის დრო არ გვქონდაო და, ალბათ, მართალიც იქნებით. მაგრამ...

იქნებ მაინც შესაძლებელი იყო რაღაცების უკეთ დანახვა ანაც უიღბლო სცენარებისთვის უკეთ მომზადება და ეს ვერ შევძელით, რადგან ამაზე, უბრალოდ, არ გვიზრუნია? რადგან ვამაყობდით იმით, რაც, ხშირ შემთხვევაში, საამაყო სულაც არ იყო და ისევ სხვის მოწყალებასა თუ კეთილ ნებაში ვეძებდით ხსნას? თუნდაც ის მითი რად ღირს, დარდიმანდი ქართველი რომ გულარხეინად ქეიფობდა და ღმერთთან მიწების დარიგებაზე დაიგვიანა... როგორ გვიყვარს ჩვენი ქვეყნით მოხიბლული ტურისტებისთვის ამ მითის მოყოლა!

ისე, ნეტავ, რის იმედად დავიგვიანეთ? ხომ ვიყავით ღირსი, რაც რიგით ბოლოებს გვეკუთვნოდა (სავარაუდოდ, დედამიწის ყველაზე უხეირო ნაგლეჯი), სწორედ ის მიგვეღო? მაგრამ არა! - „ღმერთს ვუყვარდით“. უპასუხისმგებლობის შედეგი ვერ ვიწვნიეთ.

ისევ „გადავრჩით“. ალბათ აქედან მოდის ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მავნე, ამჟამად პოპულარული გამოთქმა: „რაღაც იქნება!“. ისევ დროისა და სასწაულის ბუნდოვანი იმედი და არა ფიქრი იმაზე, თუ რა იქნება, როგორ, საიდან გამომდინარე და, რაც მთავარია, ჩვენ რას ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეს რაღაც მოხდეს.

...ქართველებს ყოველთვის სადღაც გვეჩქარება. იმდენად, რომ არასდროს გვაქვს დრო, წარსული კრიტიკულად გავაანალიზოთ, შეცდომები გაკვეთილებად ვაქციოთ, განვლილი გზიდან პრაქტიკული დასკვნები გამოვიტანოთ, წინ გავიხედოთ, დიდი სურათი დავინახოთ, ხიფათი დროულად შევიცნოთ, მთავარისა და მეორეხარისხოვანის გარჩევა ვისწავლოთ, მიზნის განცდა არ დავკარგოთ, დავიგეგმოთ, მოვემზადოთ.

როგორი ქვეყანა გვინდა, გვქონდეს და რა უნდა ვაკეთოთ ამისთვის? ხაზს ვუსვამ - „ვაკეთოთ“ და არა „გავაკეთოთ“. ანუ სულ და არა ერთჯერადად.

ჩვენში რუტინული შრომა ნაკლებად ფასობს: რასაც მყისიერი და ხილული ნაყოფი არ მოაქვს, მის მიმართ იშვიათად გვაქვს ინტერესი. დღევანდელით ვცხოვრობთ და ვიმედოვნებთ, რომ დროის მდინარება ოდესმე ბუნებრივად გაგვიყვანს ფონს. არადა, კედლის კალენდარზე თარიღების გადახაზვა, თავისთავად, ვერაფერს შეცვლის. პირიქით - უამრავი მაგალითია, როცა ქვეყნები და მთელი ცივილიზაციებიც კი დიდი ხნით გადაშვებულან წყვდიადში ან, სულაც, გამქრალან უგუნურების, სიხარბისა თუ, უბრალოდ, მოდუნების გამო.

საუკუნეებია, ასე მოვდივართ და არც XXI საუკუნეა გამონაკლისი: გრძელვადიან ამოცანებთან შეჭიდება დღესაც ეგზოტიკური ხილია საქართველოში. მოგისმენენ. მოგიწონებენ. შეგაქებენ... ძალიან კარგია, მაგრამ აბა, მაგის დრო ახლა სად გვაქვს - ახლა უფრო დიდი და საჭირბოროტო პრობლემებია სასწრაფოდ გადასაჭრელი - ჯერ დიადი მიზანია მისაღწევი - და მერე - ოდესმე - შეიძლება მაგაზე ფიქრიცო, გვეტყვიან. ოღონდ ეს „მერე“ არასდროს დგება და იმ რუტინულ, მოსაწყენ, აუცილებელ ნაბიჯებამდე ვერასდროს მივდივართ, რომელთა გადაუდგმელად „მერე“ არ მოვა. ბოლოს, „დიადი მიზანიც“ განზე გვრჩება და იმის მიზეზსაც ვერ ვიგებთ, თუ რატომ ხდება ჩვენს თავს მუდამ ასე და რა გვიშლის ხელს გამარჯვებაში. თუ მაინცდამაინც, ვინ დაგვწყევლაო, ამოვიოხრებთ და ისევ სხვაგან დავიწყებთ დამნაშავის ძებნას...

ამ ვითარებაში, ჭავჭავაძის ცენტრის წიაღში, ჩვენი იდეების თანაზიარი მეგობრების მხარდაჭერით, იშვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „ახალი ივერია“.

ჩვენი ამბიციაა, შეიქმნას ახალი სააზროვნო სივრცე და კლიშეები, რომლებიც თანამედროვე, კონკურენტულ სამყაროში წარმატების მიღწევაში დაეხმარება თავსმოხვეული უიმედობით დაღლილ ქართველს.

ჩვენ უნდა შევძლოთ პროპაგანდისა და დეზინფორმაციის კრიტიკულ ფილტრში გატარება, ცრურწმენებისგან და წინასწარი განწყობებისგან გათავისუფლება; წაკითხულიდან თუ მოსმენილიდან აზრის გამოტანა; კონტექსტის დანახვა; პრიორიტეტების დალაგება; კეთილისა და ბოროტის გარჩევა; კონფორმიზმის მეხსიერებით ჩანაცვლება; ტერიტორიულად თუ მენტალურად დაქუცმაცებული ერის მძლავრი იდეური იდენტობით გაერთიანება...

ჩვენი მისია მომავალზე ორიენტირებული ისტორიული თვითრეფლექსიაა (იმის გაცნობიერებით, რომ უახლესი 30 წელი ყველაზე აქტუალური და „სასარგებლო“ ისტორიაა, სავალდებულოდ დასასწავლი „საჭადრაკო“ კომბინაციების ამოუწურავი მადნით).

რატომ დავდივართ „ერთსა და იმავე წრეზე“? ბედისწერაა თუ რაღაც გვეშლება? რატომ ვიყავით სულ ასე ცოტანი? რატომ ვიყავით სულ ასე სუსტი, გარდა ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის რამდენიმე დიდებული ეპიზოდისა? რატომ გვსიამოვნებდა, როცა უცხოელი მოგზაურები ჩვენზე კარგს წერდნენ ან როცა ჩვენი ვაჟკაცობით აღფრთოვანებული მტერი გვაქებდა? ჩვენ რატომ არ ვაქებდით სხვებს? ჩვენი მოგზაურები რატომ ვერ აღწერდნენ სხვა ხალხებს? საერთოდ

რატომ არ გვყავდა მოგზაურები? ზოგადად, რა გვსურს - გვაქებდნენ თუ ვაქებდეთ? ეს მეორე ხომ, თავის თავში, გამარჯვებით მოპოვებულ უპირატესობას გულისხმობს. თუ გამარჯვება გვირჩევნია, მაშინ რა უნდა ვაკეთოთ, რომ სხვისი შექების ფუფუნება გვქონდეს? რა უნდა ვიღონოთ, რომ „ღირსეული მარცხით“ ნუგეშს, სხვისი შექებით ნეტარყუჩობას გადავეჩვიოთ და გამარჯვების ნებითა და ჟინით გავზარდოთ ახალი თაობები?

საუკუნენახევრის წინ, ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა დააარსეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება - ქვეყნის ისტორიაში ყველაზე წარმატებული და დღეგრძელი „არასამთავრობო ორგანიზაცია“, რომელმაც ახალი სტანდარტი დანერგა ქველმოქმედებასა და საქვეყნო საქმის კეთებაში. მაშინ პრიორიტეტი წერა-კითხვის ცოდნა იყო. წერა-კითხვა განათლებას ნიშნავდა, განათლება - წინსვლას, წარმატებას. ახლა, როცა (ფორმალურად მაინც) წერა-კითხვა პრობლემა აღარაა, ქართული საზოგადოება ახალი გამოწვევების წინაშე დგას:

ჩვენ უნდა შევძლოთ პროპაგანდისა და დეზინფორმაციის კრიტიკულ ფილტრში გატარება, ცრურწმენებისგან და წინასწარი განწყობებისგან გათავისუფლება; წაკითხულიდან თუ მოსმენილიდან აზრის გამოტანა; კონტექსტის დანახვა; პრიორიტეტების დალაგება; კეთილისა და ბოროტის გარჩევა; კონფორმიზმის მოქალაქეობრივი ღირსებით ჩანაცვლება; ტერიტორიულად და მენტალურად დაქუცმაცებული ერის მეხსიერებაზე დაფუძნებული იდენტობით გაერთიანება... სწორედ ამ მიზნით, წარმოგიდგენთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალს „ახალი ივერია“. წაიკითხეთ. გაიაზრეთ. გააზიარეთ. გაავრცელეთ. მოგვწერეთ. ჩაერთეთ. ჩაგვრთეთ... მანამდე კი, გამარჯვებას და მშვიდობას გისურვებთ! - სწორედ ამ რიგი-თობით.

გაისად სოხუმში.

გია ჯაფარიძე

VENI, VIDI, PERDIDI

უკრაინაში რუსეთის ფედერაციის მორიგი სამხედრო აგრესიის შვიდი თვის თავზე პრეზიდენტმა პუტინმა მთელი ქვეყნის მასშტაბით „ნაწილობრივი სამხედრო მობილიზაცია“ გამოაცხადა, რაც იმის უტყუარ დასაბუთებას უნდა წარმოადგენს, რომ მოსკოვი ამ ომს ვერ იგებს და ე.წ. „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ დაწყებამდე გამოცხადებული მიზნები შეუსრულებელი რჩება. „President Putin’s call to partially mobilize Russian citizens, directing them to fight in Ukraine, reflects the Kremlin’s struggles on the battlefield, the unpopularity of the war, and Russians’ unwillingness to fight in it. President Putin is not operating from a position of strength; rather, this is another sign of his failing mission“, - ესაა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის, ტონი ბლინკენის 21/09-ის განცხადება და დიდი ალბათობით ის არც ამჯერად ცდება.

„ნაწილობრივი სამხედრო მობილიზაცია“ რუსეთის საზოგადოების და მსოფლიოს თანამეგობრობის თვალის ასახვევად გამოყენებული ფრაზაა, სინამდვილეში რუსეთში სრული სამხედრო მობილიზაციაა გამოცხადებული, მაგრამ ამის ღიად თქმა პუტინს ამ ეტაპზე არ შეუძლია. მობილიზაცია რუსეთის ომში ყოფნას გულისხმობს, პუტინი კი უკრაინაში სამხედრო შეჭრას „სპეციალურ სამხედრო ოპერაციას“ უწოდებს, რითიც ცდილობს, თავი არ დააყენოს საერთაშორისო სამართლის მიღმა. ომი და ნებისმიერი აგრესია გაერო-ს ქარტიის მიხედვით მიუღებელია, ის, რაც უკრაინაში ხდება ომია, უკრაინა თავს არ დასხმია რუსეთს, რუსეთმა განახორციელა სრულმასშტაბიანი თავდასხმა უკრაინაზე. ომის პუტინისეული ინტერპრეტაცია, რომ რუსეთი თავის და რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვის მიზნით სპეციალურ სამხედრო ოპერაციას აწარმოებს, არის პუტინის მცდელობა რუსეთი წარმოადგინოს როგორც საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დამცველი და არა მისი უხეში დამრღვევი. სიმართლე უნდა ითქვას, რომ რუსეთს ეს უკანასკნელი 30 წელი წარმატებით გამოსდიოდა, საერთაშორისო თანამეგობრობა თვალს ხუჭავდა მოსკოვის მხრიდან ფეხქვეშგათელილ გაერო-ს ქარტიის მთავარ პრინციპებზე. ამის მაგალითად საქართველოს, ან თუნდაც იმავე უკრაინის შემთხვევების გახსენებაც საკმარისია.

მაინც რატომ დასჭირდა პუტინს მობილიზაციის გამოცხადება? აგებს თუ არა ის ომს? რა მიზნები და მოლოდინები ჰქონდა ომის წინ? თუ აგებს ომს, რატომ? კითხვებზე პასუხის გასაცემად სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის დაწყების

(ანუ მ.წ. 24 თებერვლის, თორემ ომი უკრაინაში 2014 წლიდან მიმდინარეობს) წინა პერიოდს უნდა მივუბრუნდეთ. წლების განმავლობაში ისტორიის რევიზიის არაერთ მცდელობას რომ თავი დავანებოთ, 2020 წელს იყო რამდენიმე შემთხვევა (მაგალითად დეკემბრის დსთ-ს არაფორმალური სამიტი), როცა პუტინმა ღიად დააყენა ეჭვქვეშ არამხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამდგარი რეალობა, არამედ მისი მეზობელი სახელმწიფოების არსებობის უფლებაც კი (მაგალითად ღიად განაცხადა, რომ საქართველო და უკრაინა შეიქმნა რუსეთის წიაღში და გააკეთა ამ სახელმწიფო ისტორიის სრულიად დამახინჯებული ინტერპრეტაცია). 2021 წლის დეკემბერს პუტინმა ულტიმატუმი გადასცა აშშ-ს და ნატო-ს, სადაც ითხოვდა რუსეთის უსაფრთხოების წერილობით გარანტიებს, აღმოსავლეთით ნატო-ს შემდგომი გაფართოების შეჩერებას, უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებაზე უარის დოკუმენტურად დადასტურებას და ნატო-ს სამხედრო კონტინგენტის და აღჭურვილობის დაბრუნებას 1997 წლის მდგომარეობით არსებულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, რაც ნიშნავდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ასევე ბალკანეთის და ბალტიის ქვეყნებიდან ნატო-ს იარაღის და სამხედრო შენაერთების გაყვანას. პუტინმა მოლაპარაკებების სურვილის იმიტაციაც შექმნა, თუმცა, მეცხრამეტე საუკუნის რეალობის - გავლენის სფეროების და სასიცოხლო ზონების - დაბრუნების ულტიმატუმზე ნატოსა და აშშ-ს უარი მიიღო. როგორც ჩანს, კოვიდპანდემიის დროს ბუნკერში განმარტოებულმა პუტინმა რეალობასთან შეხების დაკარგვასთან ერთად დაკარგა რეალობის აღქმის უნარიც. ამას ასაკი და მედიკამენტებზე მუდმივი დამოკიდებულებაც დაემატა და რუსეთის პრეზიდენტი არარაციონალურ ლიდერად იქცა.

პუტინი წლების განმავლობაში ამზადებდა უკრაინის დაპყრობის იდეოლოგიურ საფუძველს და ემზადებოდა სამხედრო თვალსაზრისითაც. 2022 წლის დასაწყისში, როგორც ჩანს, მან ჩათვალა, რომ როგორც საზოგადოებრივი აზრის კუთხით, ისე სამხედრო მზადყოფნის თვალსაზრისით რუსეთისთვის შემდეგი ნაბიჯის გადადგმის დრო დადგა.

საბჭოთა არმიელის დღეს ამას მოჰყვა რუსეთის ფედერაციის მმართველის მხრიდან საომარი მოქმედებების წინა გრძელი სიტყვა, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად ერთი სახელმწიფოს, თანაც ბირთვული სახელმწიფოს, მეთაური ღიად იმუქრებოდა მეზობელი სახელმწიფოს/ების მსოფლიო რუკიდან გაქრობით და 1917 წლის მდგომარეობის რესტავრაციის ძალისმიერი მეთოდებით განხორციელების სურვილს გამოთქვამდა. კვლავაც ისტორიის საკუთარი ვერსიისა და რუსეთის მიმართ გამოგონილი საფრთხის არსებობის მოშველიებით, ისევ მსოფლიოს თანამეგობრობის მორიგი გაცურების განზრახვით, მან არა ომი, არამედ სპეციალური სამხედრო ოპერაციის დაწყება გაამჟღავნა.

პუტინის აპეტიტი გაიზარდა, ბრუტალური სამხედრო ოპერაციის მიზნად მან დაასახელა - 1) დენაციფიკაცია - ნეოლოგიზმი, რომელიც ნაცისტურ გერმანიაზე ალუზიით გულისხმობდა 2014 წლის მაიდანის რევოლუციის შემდეგ დემოკრატიული არჩევნებით მოსული უკრაინული მმართველობის დამხობას და გასამართლებას, ნაციზმისა და რუსების შევიწროების ბრალდებით; 2) უკრაინის სრული დემილიტარიზაცია; 3) უკრაინის სამხედრო ნეიტრალიტეტი. უკრაინაზე ყველა მიმართულებით სრულმასშტაბიანი თავდასხმის მიზანი იყო კიევის აღება და მარიონეტული მთავრობის დასმა. როგორც ჩანს, არასწორ სადაზვერვო ინფორმაციაზე დაყრდნობით, ან მისი პირადი რწმენით პუტინი იმედოვნებდა, რომ უკრაინული შეიარაღებული ძალები წინააღმდეგობას არ გაწევდა, პრეზიდენტ ზელენსკის ადმინისტრაცია ჩამოიშლებოდა, უკრაინის მოქლაქეები - განსაკუთრებით ე.წ. რუსულენოვანი სეგმენტი - ყვავილებით დახვდებოდა რუსულ ჯარს, ხოლო დასავლეთი ვერ მოახერხებდა კონსოლიდაციას, ნატო-სა და ევროპის კავშირში არსებული ბზარები ვერ გამთლიანდებოდა, აშშ-სა და ევროპას შორის უთანხმოება ვერ აღმოიფხვრებოდა და ადვილად შეძლებდა გათიშული დასავლეთის კისერის მოგრეხვას.

პუტინმა მიიღო ამის საპირისპირო - უკრაინის სამხედრო-შეიარაღებული ძალები და მოსახლეობა როგორც არასდროს შეიკრა და მას ახლა უწევს არსებითად 40 მილიონიან ჯართან ომი, უკრაინამ თითქოს თავიდან აღმოაჩინა საკუთარი იდენტობა, მოსახლეობა არა ყვავილებით, არამედ მოლოტოვის კოკტეილით დახვდა აგრესორებს, ზელენსკის მთავრობა არათუ ჩამოიშალა, არამედ თავის გარშემო გააერთიანა ყველა უკრაინული პოლიტიკური პარტია, ხოლო დასავლეთი კი არ ფრაგმენტირდა, არამედ „ცივი ომის“ შემდეგ პირველად გახდა ისეთი ერთიანი, მიზანდასახული და შეუპოვარი, როგორც არასდროს. უკრაინამ ყველა ფრონტზე მოუგო რუსეთს, მოუგო ბრძოლის ველზე უკრაინელი მეომრების უკვე ლეგენდარული თავდადებით, მოუგო დიპლომატიურ ომში პრეზიდენტ ზელენსკის და მინისტრ კულებას ქრესტომათიული მანევრებით, მოუგო საინფორმაციო ომში, სადაც უბრალოდ გასრისა აქამდე თითქოს უძლეველი რუსული პროპაგანდა. რა თქმა უნდა, ამ გამარჯვებების შემოქმედი უკრაინასთან ერთად იყო დასავლეთი, პრეზიდენტ ბაიდენის შეუდრეკელი ლიდერობით და ტონი ბლინკენის იუველირული დიპლომატიის წყალობით, ასევე ევროპელი პოლიტიკოსების ხანდახან დაგვიანებული, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ძალისხმევით.

დასახული მიზნების ნაცვლად, ომის შვიდი თვის თავზე, პუტინმა მიიღო - 1) უფრო ძლიერი ნატო მის საზღვრებთან, გაფართოებული შვედეთითა და ფინეთით, წევრი-სახელმწიფოების გაზრდილი თავდაცვის ბიუჯეტებით 2) სრულიად მილიტარიზირებული უკრაინა, აღჭურვილი უახლესი დასავლური იარაღით და სამხედრო მანქანებით, რომელიც მუსრს ავლებს რუსულ იარაღს და ჯარს, 3) კონსოლიდირებული დასავლეთი, რომელსაც არა უბრალოდ რუსეთის დამარცხება, არამედ პუტინის რეჟიმის ცვლილება სურს, 4) ეკონომიკური სანქციების ქვეშ და საერთაშორისო იზოლაციაში მყოფი რეპუტაცია განადგურებული რუსეთი, რომლის პრეზიდენტს აბუჩად იგდებს არამხოლოდ რეგიონალური ლიდერი სახელმწიფოების მეთაურები, არამედ შუა აზიის რესპუბლიკების მმართველები, რომელთაც აქამდე თავის კლიენტად მიიჩნევდა პუტინი. პუტინმა ჩაიბარა დასუსტებული იმპერია, ხოლო მას ტოვებს როგორც უფრო სუსტ საერთაშორისო კეთროვანს დიდი ბირთვული არსენალით.

ამ სამარცხვინო მარცხების სერიამ, შეიარაღებული ძალების შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილის ფიზიკურმა განადგურებამ და მორალურმა დეგრადაციამ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს კიდევ ერთი შეცდომა დააშვებინა ე.წ. ნაწილობრივი სამხედრო მობილიზაციის გამოცხადებით. პუტინის მიზანი ადვილად გასაშიფრია, გარდა იმისა, რომ რუსეთის სამხედრო-შეიარაღებული ძალები განიცდიან ცოცხალი ძალის საჭიროებას ფრონტის მთელ ხაზზე, რუს დიქტატორს სურს რუსეთის მიერ ჯერ კიდევ ოკუპირებულ უკრაინის ტერიტორიაზე მის მიერ აღიარებულ ფსევდო-სახელმწიფოებში რეფერენდუმის ჩატარება რუსეთთან მიერთებაზე და შემდეგ უკვე რუსეთის ტერიტორიის დაცვის მიზნით მთელი ქვეყნის უკვე ფორმალურად გაცხადებულ „სამამულო“ ომში ჩართვა. ამ მიზნის მიღწევის შემდეგ მას სავარაუდოდ უფრო შორი მიზანიც ამოძრავებს - დონეცკის, ლუჰანსკის, ხერსონის ოლქების მიერთების შემდეგ მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდეს დასავლეთთან და შეთანხმდეს უკრაინის გაყოფაზე. მაღალი ალბათობით, როგორც ტოტალიზატორებში იტყვიან, პუტინს ეს ბილეთიც გაუსხამს, ამჯერად ამის მიზეზი საკუთარი მოქალაქეებიც გახდებიან, რომელთაც იმპერიალისტური „ველიკოდერჟავული“ გრძნობები კი ტვინში ურტყამთ, მაგრამ მხოლოდ სხვისი სიცოცხლის ხარჯზე. არც დასავლეთი და უკრაინა აპირებს პუტინის მორიგ შანტაჟს წამოეგოს, ყველა ომი სრულდება მოლაპარაკებებით და ზავით, მაგრამ უკრაინაში ომს ჯერ დასასრული არ უჩანს, მოლაპარაკებების და შეთანხმების პირობებს კი ომის შემდეგ კიევი უკარნახებს მოსკოვს და არა პირიქით.

ზოია კურტანიძე დაიბადა 1986 წლის 29 მაისს, გორში. სკოლა ხაშურში დაამთავრა. 2003-2007 წლებში სწავლობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა სამხედრო აკადემიაში. შესაბამისი კურსის გავლის შემდეგ, გახდა საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცერი და მსახურება დაიწყო საჰაერო თავდაცვის დანაყოფში. არის რუსეთთან 2008 წლის აგვისტოს სამამულო ომის მონაწილე. 2014, 2015 და 2016 წლებში მონაწილეობდა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში. 2019 წელს მოიპოვა გენდერის კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წარჩინებით, წითელ დიპლომზე დაამთავრა. ამჟამად მსახურობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში და წოდებით არის ვიცე-პოლკოვნიკი.

2008 წლის სამამულო ომში, 22 წლის ზოია კურტანიძე, იმხანად ლეიტენანტი, მეთაურობდა საბრძოლო მანქანის საზენიტო-სარაკეტო დანადგარს. ომის დროს, 22 წლის გმირმა რუსული ბომბდამშენი ჩამოაგდო. ფოტოზე ასახული ნამუშევარი მხატვარმა ნიკო ცეცხლაძემ ზოია კურტანიძეს 2017 წელს მიუძღვნა.



გიგა ჯოხაძე

ქართული სპეცსამსახურები და რუსეთი

2012-2022

საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილში დამკვიდრებული მოსაზრებით, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოში რუსული გავლენები მნიშვნელოვნად გაიზარდა. რუსეთის ფედერაციის გაზრდილი გავლენის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინდიკატორი ქართულ ძალოვან სტრუქტურებსა და სპეცსამსახურებში კრემლის ინფილტრაციაა. ტრისტან წითელაშვილის საიდუმლო სამხედრო ობიექტზე შეშვება, რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში ეჭვმიტანილი საერთაშორისო ტერორისტის, აჰმედ ჩატაევის, ციხიდან გათავისუფლება თუ დროის მცირე მონაკვეთში კოდორი 2007-ის სპეცრაზმელთა საეჭვო ვითარებაში გარდაცვალება ზემოხსენებულ მოსაზრებას დამაჯერებლობას მატებს. განსაკუთრებით საეჭვო ეს უკანასკნელი შემთხვევაა, რომელიც რამდენიმე ჟურნალისტური სიუჟეტის შემდეგ ქართულმა საზოგადოებამ თითქოს მიივიწყა.

2007 წლის 20 სექტემბერს ქართულმა სპეცსამსახურებმა კოდორის ხეობაში სპეცოპერაცია ჩაატარეს, რომელმაც საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზებისა და რუსების ერთობლივი დივერსია აღკვეთეს. დივერსიის მიზანი კოდორის ხეობის დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელ გზაზე თავდასხმა იყო. ქართულმა სპეცრაზმმა დივერსანტთა ორი რუსი მეთაურის ლიკვიდაცია შეძლოდ და ტყვედ ჯგუფის 7 წევრი აიყვანა. ქართული სპეცსამსახურების მიერ განხორციელებულმა წარმატებულმა სამხედრო ოპერაციამ რუსეთის ხელისუფლება აშკარად გააღიზიანა. რუსეთის დუმის დეპუტატები, მთავრობის წევრები თუ სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირები ერთხმად მოითხოვდნენ აფხაზ „მესაზღვრეებზე“ თავდასხმის ორგანიზატორებისა და აღმსრულებლების დასჯას.

აქედან მოყოლებული რუსული სპეცსამსახურები კოდორი 2007-ის სპეცრაზმელთა ვინაობის დადგენას ცდილობდნენ. სპეცოპერაციის პირველი წევრი, რომლის ლიკვიდაციაც რუსულმა სპეცსამსახურებმა შეძლეს, დიმიტრი კორძაძე აღმოჩნდა, რომელიც 2010 წელს საკუთარ ავტომანქანაში ააფეთქეს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს საქმე მალევე გახსნა. აღმოჩნდა, რომ მკვლელობა საქართველოს

მოქალაქეებმა: ოთარ როგავამ და თემურ ბუთბაიამ განახორციელეს. შსს-ს გამოძიებამ დაადგინა, რომ მათ ცნობილი აფხაზი კრიმინალი ვალტერ ბუთბა და აფხათის დე-ფაქტო პარლამენტის წევრი სლავიკ ვარდანიანი დაუკავშირდნენ და მათ ორი რუსი ადამიანი გააცნეს. რუსებმა როგავასა და ბუთბაიას კორძაძის ფოტოსურათი აჩვენეს და მისი ლიკვიდაცია დაავალეს. ბუთბაიამ და როგავამ კორძაძის მანქანაზე ასაფეთქებელი მოწყობილობა დაამონტაჟეს. კორძაძის აფეთქების შემდეგ ისინი რუს დამკვეთებს აფხაზეთში შეხვდნენ და მათგან გასამრჯელოს სახით 42 000 აშშ დოლარი მიიღეს. უცნობია, საიდან გაიგეს რუსულმა სპეცსამსახურებმა კოდორი 2007-ის სპეცოპერაციაში კორძაძის მონაწილეობის შესახებ, თუმცა, წინა ხელისუფლების პირობებში მათთვის ასეთი გასაიდუმლოებული ინფორმაციის მოპოვება მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენდა.

კოდორი 2007-ის ყველა სპეცრაზმელი დაკითხვაზე დაიბარეს. მათ ეკითხებოდნენ სპეცოპერაციის თითოეულ დეტალს, განსაკუთრებით კი სპეცოპერაციაში მონაწილე ინდივიდების ვინაობა და მათი პერსონალური ინფორმაცია აინტერესებდათ.

ვითარება 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ შეიცვალა, როდესაც საპარლამენტო არჩევნებში ქართულმა ოცნებამ გაიმარჯვა. ახალი ხელისუფლების პირობებში, კოდორი 2007-ის ყველა სპეცრაზმელი დაკითხვაზე დაიბარეს. მათ ეკითხებოდნენ სპეცოპერაციის თითოეულ დეტალს, განსაკუთრებით კი სპეცოპერაციაში მონაწილე ინდივიდების ვინაობა და მათი პერსონალური ინფორმაცია აინტერესებდათ. მალევე, 2014 წელს კოდორი 2007-ის 5 სპეცრაზმელი ერთმანეთის მიყოლებით, საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. მხოლოდ ეს ფაქტიც კი მნიშვნელოვან ეჭვებს აჩენს - რამდენია იმის ალბათობა, რომ სპეცრაზმელთა საერთო რაოდენობის 1/3 დროის მცირე მონაკვეთში უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა? განვიხილოთ ხუთივე სპეცრაზმელის სიკვდილის დეტალები.

კოდორი 2007-ის ერთ-ერთი სპეცრაზმელი, რომელიც 2014 წელს გარდაიცვალა, ივანე ივანიძე იყო. მისი გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზად ავტოავარია სახელდება. გარდაცვლილი სპეცრაზმელის ძმა, დავით ივანიძე ძმის მონაყოლიდან იხსენებს, რომ ის დაკითხვაზე 2014 წელს დაიბარეს, რომელზეც მას კოდორი 2007-ის სპეცოპერაციის დეტალებზე ეკითხებოდნენ. დამკითხველებს აინტერესებდათ ის, თუ ვინ ხელმძღვანელობდა სპეცოპერაციას, ვინ იყვნენ მისი მონაწილეები, რა სახის იარაღი გამოიყენეს და ა.შ. ივანიძემ ძმას უთხრას, რომ დაკითხვას ორი რუსი ადამიანი ხელმძღვანელობდა, რომელთა ვინაობა მისთვის უცნობი იყო. მალევე ივანიძე მეორე დაკითხვაზე დაიბარეს, რომელზეც ის უკვე სიგარეტის კოლოფში დამონტაჟებული მოსასმენი აპარატით შევიდა. დავით ივანიძის თქმით, მისი ძმა ნივთმტკიცების ჟურნალისტ რუსუდან მჭედლიძისთვის გადაცემას აპირებდა. ივანიძე ჟურნალისტთან შეხვედრამდე ავტოავარიაში მოყვა. სპეცრაზმელი მალევე საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მის ძმას ერთ-ერთმა თვითმხილველმა უთხრა, რომ ავტოავარიიდან რამდენიმე წამში, შემთხვევის ადგილას ორი ახალგაზრდა მამაკაცი მივიდა, რომელთაც მძღოლის მხარეს ავტომანქანის სალონში ჩაიხედეს და ადგილიდან მალევე გაუჩინარდნენ. კიდევ ერთ საეჭვო ფაქტს წარმოადგენდა ისიც, რომ სპეცრაზმელის ავტომანქანას ტყვიის კვალი აჩნდა.

ძმის გარდაცვალების შემდეგ, დავით ივანიძე გამოძიებას განაგრძობდა, თუმცა, შემთხვევის ყველა მოწმე თუ ნივთმტკიცება საქმიდან გააქრეს. დავით ივანიძეს უცნობი პირები სთხოვდნენ სამუდამოდ დაევიწყებინა მომხდარი. ერთ დღესასამსახურისკენ მიმავალი ივანიძე გაიტაცეს კიდეც და მასზე ფიზიკურად იძალადეს. ივანე

ივანიძის გარდაცვალება რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას ბადებს: 1. ვინ იყო ის ორი რუსი, რომელიც სპეცრაზმელის დაკითხვას ხელმძღვანელობდა? 2. რაიმე კავშირში იყო თუ არა ივანიძის გარდაცვალება მის მცდელობასთან, დაკითხვის ჩანაწერი ჟურნალისტისთვის გადაეცა? 3. თუ გარდაცვალების ოფიციალური მიზეზი ავტოავარია იყო, საიდან გაჩნდა მანქანაზე ცეცხლსასროლი იარაღის ნატყვიარი? 4. ვინ იყო ის ორი ადამიანი, რომელიც ავტოავარიის ადგილას წამებში გაჩნდა, რატომ ჩაიხედეს ავტომანქანის სალონში და რატომ გაუჩინარდნენ მალევე? 5. სად გაქრა საქმის ერთადერთი მოწმე? 6. ვინ და რატომ ემუქრებოდა გარდაცვლილი სპეცრაზმელის ძმას?

2014 წელს გაირდაიცვალა კოდორი 2007-ის კიდევ ერთი სპეცრაზმელი, შალვა თათუხაშვილი. გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზად სუნთქვის მწვავე უკმარისობა დასახელდა, თუმცა, საქმეში რამდენიმე საეჭვო დეტალი იკვეთება, მათ შორის ის, რომ გარდაცვლილს მარცხენა ხელზე, მარჯვენა ხელის თითსა და მარცხენა მუხლზე ნაჭდევები ჰქონდა. გარდა ამისა, სიკვდილამდე თათუხაშვილი აცხადებდა, რომ მასზე პროკურატურა ზეწოლას ახორციელებდა და სთხოვდა, რომ ხელი დაედო ბაჩო ახალაიასა და ლევან ქარდავასთვის. თათუხაშვილმა გარდაცვალებამდე დას, ქეთევან კობიაშვილს, უთხრა, რომ მასზე ფიზიკურად ძალადობდნენ და წყალში ახრჩობდნენ. ქეთევან კობიაშვილის თქმით, მის ძმას ცრუ ჩვენებაზე ხელის მოწერა აიძულეს, თუმცა, სასამართლოზე ის სიმართლის თქმას აპირებდა. საინტერესოა, გარდაცვლილს რისგან გაუჩნდა სხეულზე ნაჭდევები, თუ გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზად სუნთქვის უკმარისობა სახელდება. გარდა ამისა, ეჭვს იწვევს მოწმის მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ პროკურატურა თათუხაშვილის გამოყენებას პოლიტიკური მიზნებისთვის ცდილობდა და მისგან ცრუ ჩვენების მისაღებად მასზე ფიზიკურადაც ძალადობდა.

რატომ დაანგრიეს ის შენობა მთლიანად, რომელმაც აფხაზეთის სუს-ის უფროსის სიცოცხლე იმსხვერპლა? ხომ არ იყო ეს ხელისუფლების მხრიდან სამხილების სრულად განადგურების მცდელობა?

კოდორი 2007-ის კიდევ ერთი გარდაცვლილი სპეცრაზმელი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სუს-ის სპეცრაზმის უფროსი, ზვიად ლაგვილავაა. მისი გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზად უბედური შემთხვევა სახელდება. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ლაგვილავას ოფისში წყლის გამაცხელებელი აფეთქდა, რამაც მისი სიცოცხლე იმსხვერპლა. ამოღებულ ვიდეოკადრებში ლაგვილავას ოჯახმა შეამჩნია, რომ აფეთქებამდე ცოტა ხნით ადრე უცნობი მამაკაცი მის ოთახში შედის და მალევე იქაურობას ტოვებს. გარდა ამისა, აფეთქების მომდევნო დღეს, შენობა მთლიანად დაანგრიეს. ლაგვილავას სიკვდილის საქმე ასევე რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას აჩენს: 1. ვინ იყო ის მამაკაცი, რომელიც აფეთქებამდე ლაგვილავას ოთახში შევიდა? 2. რატომ დაანგრიეს ის შენობა მთლიანად, რომელმაც აფხაზეთის სუს-ის უფროსის სიცოცხლე იმსხვერპლა? ხომ არ იყო ეს ხელისუფლების მხრიდან სამხილების სრულად განადგურების მცდელობა? 3. რატომ არ გამოიძია ხელისუფლებამ მომხდარი და ის, თუ რამ გამოიწვია წყლის გამაცხელებლის აფეთქება?

2014 წელსვე გარდაიცვალა კოდორი 2007-ის სპეცოპერაციის კიდევ ორი მონაწილე: ალექსანდრე დანელია და სერგო უბილავა. დანელია და უბილავა 2012 წლის 13 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა გაიტაცეს. შსს-მა მალევე აღიარა, რომ ყოფილი სპეცრაზმელები

პატიმრობაში იყვნენ. აქედან მალევე, დანელია გარდაიცვალა, რის მიზეზადაც თვითმკვლელობა დასახელდა. თუმცა, ეჭვს იწვევს ის ფაქტი, რომ დანელიას სხეულზე აღენიშნებოდა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ორი ტყვიის კვალი. ტყვია დანელიას მკერდზე და მარცხენა ხელზე მოხვდა. რბილად რომ ვთქვათ უცნაურია თვითმკვლელობისას გასროლის ამგვარი ტრაექტორიის გამოყენება. რაც შეეხება სერგო უბილავას, ის 2014 წლის მარტში საპატიმროში გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზად ციროზი სახელდება. უბილავას ოჯახი ამბობს, რომ მისგან ცრუ ჩვენების მისაღებად უბილავას გარკვეულ მედიკამენტებს აძლევდნენ, საბოლოოდ კი ის მედიკამენტოზური მოქმედების გადაჭარბებისგან მოკლეს.

კოდორი 2007-ის დანარჩენი სპეცრაზმელების ნაწილი ხელისუფლებამ დააპატიმრა, ნაწილი კი უცხოეთში გაიქცა და იქ პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო. რთულია იმის დაჯერება, რომ სპეცრაზმელთა დიდი ნაწილი დროის მოკლე მონაკვეთში მართლაც უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა, მითუმეტეს იმ ფონზე, რომ თითოეულ ამ საქმეში ბევრი საეჭვო ადამიანი თუ გარემოება ფიგურირებს. ეს უფრო მეტად რუსული სპეცსამსახურების მხრიდან სპეცოპერაციის მონაწილეებზე შურისძიებას ჰგავს, რაშიც პირდაპირ უნდა ყოფილიყო ჩართული საქართველოს მოქმედი ხელისუფლება, რომელმაც სპეცოპერაციის ყველა მონაწილე დაკითხა, მათი დიდი ნაწილი კი დააკავა. სხვა შემთხვევაში წარმოუდგენელია, როგორ შეძლეს რუსულმა სპეცსამსახურებმა სპეცრაზმელთა ვინაობის დადგენა. კოდორი 2007-ის სპეცრაზმელთა ისტორია გვაჩვენებს, თუ რამდენად წარმატებულად შეძლეს კრემლის ძალოვანმა სტრუქტურებმა ქართული ოცნების ხელისუფლების მმართველობის პერიოდში საქართველოს სადაზვერვო სტრუქტურებსა და სპეცსამსახურებში ინფილტრირება.

ნანა ბრეგაძე

მარიამ კაჭკაჭაშვილი

ვინ და როგორ იცავს საქართველოს ცას?

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიულ დოკუმენტებში წერია, რომ 2008 წელს მოწინააღმდეგეს მიზნისთვის სრულად არ მიუღწევია და ისევ არსებობს ახალი რუსული აგრესიის რისკი. უკრაინის ომის მაგალითზე ჩვენთვის ეს კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა.

მთავრობა კი გვეუბნება, რომ ომის საფრთხე უკვე აგვარიდა, თუმცა ეშმაკს არასდროს სძინავს. მითუმეტეს, კრემლში მოკალათებული ეშმაკის ნახელავი გასულ ორ საუკუნეში საკუთარ ტყავზე ბევრჯერ მწარედ გამოვცადეთ.

როგორც 2008 წლის ომმა გვიჩვენა და ახლა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებიც გვიდასტურებს, კარგი და გამართული საჰაერო თავდაცვა და ავიაცია ამ ტიპის კონფლიქტებში ბევრს ნიშნავს.

თუმცა, “აი, ფაქტის” მრავალთვიანი კვლევა ცხადყოფს, რომ საკუთარი ომიდან 14 წლის თავზე ჩვენს მთავრობას ეს გააზრებული არ აქვს. ამ სტატიის მოსამზადებლად ჩვენ ოც მოქმედ და ყოფილ სამხედრო მოსამსახურესა თუ თავდაცვის სამინისტროს ყოფილ მაღალჩინოსანს ვესაუბრეთ. მათი ნაამბობიდან ჩანს, რომ საჰაერო თავდაცვის სისტემების გამართვაზე, სათანადოდ აღჭურვასა და მომზადებაზე მთავრობას ბევრი არ უზრუნია.

მეტიც, არათუ ტექნიკურ აღჭურვაზე არ ზრუნავდნენ, ხელი შეუწყვეს ადამიანური რესურსის განიავებასაც. ჩვენმა გამოცდილმა მფრინავებმა დატოვეს ჯარი. ახლა ზოგი სამოქალაქო ავიაციაში მსახურობს, ზოგმა კი ეს სფეროც დატოვა და ქვეყანაც.

ეს გამოძიება ვერ ეფუძნება დოკუმენტებიდან მოპოვებულ მასალებს, რადგან ამ თემაზე არსებულ დოკუმენტებს თავდაცვის სამინისტრო სახელმწიფო საიდუმლოდ მიიჩნევს. ჩვენ აქ ვერ გეტყვით, რამდენი დახარჯა სამინისტრომ ამ ტექნიკის შენარჩუნებასა თუ განახლებაზე, მაგრამ გაგიზიარებთ იმას, რაც ამ სფეროში დასაქმებულებმა გვიამბეს. საუკეთესო ჟურნალისტური სტანდარტის თანახმად, ჩვენ ინფორმაციას იმ შემთხვევაში მივიჩნევთ სანდოდ, როცა მას ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სამი წყარო გვიდასტურებს. ყველაფერი რაც ამ სტატიაშია ნაამბობი, სწორედ ამ პრინციპითაა გადამოწმებული.

“აი, ფაქტისთვის” მნიშვნელოვანია ინფორმაციის წყაროს უსაფრთხოება, ამიტომ არ ვასაჯაროებთ ჩვენი რამდენიმე რესპონდენტის ვინაობას, მათ თანამდებობრივ პოზიციას და ამჟამინდელ საცხოვრებელს. სტატიაში მათ მიმართ გამოყენებული იქნება მხოლოდ პირობითი სახელები და გეოგრაფიული ადგილები, რომ დაინტერესებულმა პირებმა ისინი ვერ ამოიცნონ.



ყოფილი და მოქმედი სამხედროების მონათხრობით ირკვევა, რომ “აგვისტოს ომის” შემდეგ ფრენები პერიოდულად მცირდებოდა, ვერტმფრენები და თვით-მფრინავები მწყობრიდან გამოდიოდა და მათ არავინ უვლიდა. საბოლოოდ, ტექნიკის ნაწილი თავდაცვის სამინისტროს აღრიცხვიდან ამოიღეს და ნაწილი გააჩერეს, მომავალში გარემონტების მიზნით. ამ აპარატების მოდერნიზაცია მხოლოდ 2020 წელს დაიწყეს.

“აი, ფაქტის” ხუთი სხვადასხვა წყარო ამბობს, რომ ვერტმფრენებს ფრენა 2014 წლიდან აღარ ჰქონდათ. მფრინავ ეკიპაჟს არ ჰქონდა სავარჯიშო და საწვრთნელი ფრენები. შესაბამისად, საათობრივი ანაზღაურებაც არ ერიცხებოდათ. მათი სერტიფიკატები კი ფრენების არარსებობის გამო ვალიდურობას კარგავდა. ამ ყველაფერმა კი მფრინავებს ქვეყნის დატოვებისკენ უბიძგათ.

თავდაცვის ძალების მოქმედი და ყოფილი მოსამსახურეები გვიყვებიან, რომ როდესაც საფრენ აპარატებს აჩერებენ, ანუ ვერც საფრენად იყენებენ და ისეთ ცუდ მდგომარეობაშია, რომ რემონტსაც აზრი არ აქვს, აკონსერვებენ. სამხედრო

ავიაციის ყოფილი თანამდებობის პირი რეზო (სახელი პირობითია) გვიხსნის, რომ დაკონსერვებას თავისი წესები აქვს.

"სითხეებითა და შესაპოხი მასალებით ძირითადი აგრეგატები იპოხება და ასე ინახება. ძრავაში ისხმება სპეციალური საკონსერვაციო ზეთები. თუ ზეთები არ გაქვს, თვეში ერთხელ ძრავები უნდა აამუშაო, თავისი სამუშაო ციკლი რომ ჩაატაროს. როგორ დააკონსერვეს, რა სითხეები გამოიყენეს, ეგ ინფორმაცია არ გამაჩნია," - გვიხსნის რეზო.

ვერტმფრენების დაკონსერვებას გვიდასტურებს მოქმედი სამხედრო დავითიც (სახელი პირობითია), რომელიც ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის მოქმედი მოსამსახურეა: "მასიურად, ყველა ერთიანად გამოვიდა მწყობრიდან თუ უბრალოდ, ასე ჩაითვალა საჭიროდ თუ რაიმე სხვა პოლიტიკური საკითხი იყო, არ ვიცი, მაგრამ ფრენები აღარ იყო საერთოდ. დაკონსერვება ნიშნავს, როდესაც ტექნიკას არ ვიყენებთ, არ ვეხებით, არც ვარემონტებთ, არაფერს ვაკეთებთ აბსოლუტურად. უბრალოდ შევინახეთ, დავლუქეთ და დევს."

სამხედროები რაღაც ეტაპზე თავისი ძალებით ცდილობდნენ დაზიანებული შვეულმფრენების შეკეთებას. თუმცა, მოგვიანებით ეს საკმარისი აღარ იყო. ისინი გვეუბნებიან, რომ დაკონსერვება და ვერტმფრენების უმოქმედოდ დარჩენა სახელმწიფოს მხრიდან უყურადღებობამ გამოიწვია.

"2008 წლის მერე ავიაციაში განვითარება, წინსვლა არ მომხდარა. რაც გვყავდა, იმასაც კი ვერ ვხედავდით ნორმალურად. ჩვენთან, მექანიკოსებთან, ტექნიკოსებთან არ მოდიოდა საჭირო ნაწილები, რაც შეიძლებოდა შეგვეცვალა და დაგვეყენებინა. [ამერიკული შვეულმფრენი] თორმეტი გვყავდა, ზოგი სწავლების პერიოდში კურსანტმა დააზიანა და აიკრძალა ფრენა; ერთს ძრავი გაეთიშა და მაგის გამო გაჩერდა. 2018 წელს მე რომ გამოვედი თავდაცვის ძალებიდან, დავტოვე ორი [შვეულმფრენი], რომელსაც შეეძლო ფრენა," - ამბობს თვითმფრინავების ტექნიკოსი გიორგი ყოჩაშვილი.

"2008 წლის მერე ავიაციაში განვითარება, წინსვლა არ მომხდარა. რაც გვყავდა, იმასაც კი ვერ ვხედავდით ნორმალურად. ჩვენთან, მექანიკოსებთან, ტექნიკოსებთან არ მოდიოდა საჭირო ნაწილები, რაც შეიძლებოდა შეგვეცვალა და დაგვეყენებინა. [ამერიკული შვეულმფრენი] თორმეტი გვყავდა, ზოგი სწავლების პერიოდში კურსანტმა დააზიანა და აიკრძალა ფრენა; ერთს ძრავი გაეთიშა და მაგის გამო გაჩერდა. 2018 წელს მე რომ გამოვედი თავდაცვის ძალებიდან, დავტოვე ორი [შვეულმფრენი], რომელსაც შეეძლო ფრენა,"

გიორგი მჭედლიშვილი, ამერიკული შვეულმფრენების, uh-1h-ის, იგივე "იროკეზების" ესკადრელიის ყოფილი სერჟანტი გვიყვება, რომ 2016-2017 წლებში დაზიანებული შვეულმფრენების მწყობრში მოყვანაში ამერიკელები უნდა დაგვხმარებოდნენ. თუმცა, ეს აღარ მოხდა. საბოლოოდ, საფრენი აპარატების ძრავებმა და სხვა კონსტრუქციულმა ნაწილებმა ამოწურა რესურსი. ისინი არც ჩაუნაცვლებიათ და არც შეუკეთებიათ, ამიტომ სიცოცხლისუნარიანობა შეწყვიტეს და საბოლოოდ დაკონსერვება მოუწიათ.

"იყო მომენტი, რომ 7 მოქმედი საფრენი აპარატი გვყავდა. თითქმის ყველა რესურსი რომ ამოვწურეთ, მერე დაიწყო საუბარი, როგორ შეგვიძლია ყველა დავაბრუნოთ ექსპლუატაციაში. ამერიკის ეროვნული გვარდიის ჯგუფი იყო ჩამოსული საქართველოში. გამოიკვლიეს, შეაფასეს, გააკეთეს ხარჯთაღრიცვა. თქვეს, ჩვენ შეგვიძლია 6 შვეულმფრენის გადაწყობა და გაძლიერება ახალი ძრავებითო. თუ არ ვცდები, ეს იყო იზორიას დროს," - გვითხრა მჭედლიშვილმა.

ის გვიყვება, რომ ერთი შვეულმფრენის მუშა ნაწილებს მეორეს ამაგრებდნენ და ასე უხანგრძლივებდნენ ბრძოლისუნარიანობას საფრენ აპარატებს. ამას "კანიბალიზაციას" უწოდებდნენ: "ვცდილობდით, რომ მინიმალურ რესურსს, იმ ორ თუ სამ შვეულმფრენს მაინც გაჭირვებაში რაღაცა ექნა და რაღაც დავალება შეესრულებინა. საბოლოოდ, შვიდი შვეულმფრენიდან ჩამოვედით ორზე," - ამბობს მჭედლიშვილი.

როგორ დაკარგა სამხედრო ავიაციამ პროფესიონალები?

გაუმართავ ტექნიკურ ბაზასთან ერთად პრობლემა გახდა მფრინავების ჯარიდან გადინება. თავდაცვის ძალების მოქმედი და ყოფილი სამხედროები ავიაციიდან კადრების მასობრივ გადინებაზე გვიყვებოდნენ. მთავარ მიზეზად თავად იმას ასახელებენ, რომ როგორც მფრინავებმა, ფუნქცია დაკარგეს. მფრინავს ფრენა აღარ შეეძლო და მექანიკოსს საფრენი აპარატის შეკეთება.

გიორგი მჭედლიშვილი სამხედრო ავიაციაში 13 წელი მსახურობდა. ის შვეულმფრენების ბორტ-მექანიკოსი იყო და ეკიპაჟთან ერთად დაფრინავდა. 2018 წლის შემდეგ საქმის მიტოვება მოუწია, რადგან მისი პროფესია საჭირო აღარ იყო და თავს უფუნქციოდ გრძნობდა.

“მოჯადოვებულ წრეზე” სიარულს და ერთ ადგილას დგომას ჰგავდა. წინ ვეღარ მივდიოდით. აღარც ფრენები იყო, აღარც ტექნიკური მომსახურება ტარდებოდა. არაფერი მნიშვნელოვანი აღარ ხდებოდა და ნიშნავდა იმას, რომ უბრალოდ რაღაც უმოქმედოდ, უფუნქციოდ ვიყავით. დარწმუნებული ვარ ბევრმა იგრძნო თავი ისე, როგორც მე,” - გვითხრა მჭედლიშვილმა.

გიორგი მიხვდა, რომ თავისი საქმის გარეშე ოჯახის რჩენას ვეღარ მოახერხებდა და ამან ქვეყნის დატოვებისკენ უბიძგა. ასეთ რეალობაში აღმოჩნდნენ სამხედრო ავიაციაში მომუშავე მისი კოლეგებიც. ისინი ხმამაღლაც ამბობდნენ, რომ თუ ასე გაგრძელდებოდა, ავიაციიდან ბევრი წავიდოდა. “ზემდგომებს” კი ეს დიდად არ ადარდებდათ და პასუხობდნენ: “მიბრძანდით, შეუცვლელი არავინაა.”

“მოჯადოვებულ წრეზე” სიარულს და ერთ ადგილას დგომას ჰგავდა. წინ ვეღარ მივდიოდით. აღარც ფრენები იყო, აღარც ტექნიკური მომსახურება ტარდებოდა. არაფერი მნიშვნელოვანი აღარ ხდებოდა და ნიშნავდა იმას, რომ უბრალოდ რაღაც უმოქმედოდ, უფუნქციოდ ვიყავით. დარწმუნებული ვარ ბევრმა იგრძნო თავი ისე, როგორც მე,”

“ეს იყო საშინლად გულდასაწყვეტი, იმიტომ რომ ნებისმიერი ჯარისკაცისთვის, ჯარი არის ოჯახი. ცხოვრების საუკეთესო წლებს და ყველაზე მეტ დროს ატარებს იმ სფეროში, სადაც მსახურობს. რეალურად, ჩემს ოჯახთან შეხება მქონდა დილა-საღამოს. მთლიანობაში, მთელ დღეს ჯარში ვატარებდი და იქედან წამოსვლა არ იყო მარტივი,” - გვიყვება მჭედლიშვილი. ის 2019 წლიდან ამერიკაშია და ავტომობილების გადაზიდვაზე მძღოლად მუშაობს.

“ავიატორის მომზადება ძალიან ძვირი ღირს. წარმოიდგინეთ, რომ საზღვარგარეთ ამზადებ პილოტს, ბრუნდება მომზადებული და იცი რა? შენ საფრენი აპარატი არ გაქვს, ვერ დაფრინავს... გარდა ამისა, ორგანიზმს სჭირდება ტონუსში ყოფნა, წნევის ცვალებადობა, გულის აჩქარება... თუ პილოტი ფორმიდან ამოვარდა, ეს ნიშნავს, რომ წყალშია ჩაყრილი მთელი მისი მომზადება და ფინანსები,” - გვითხრა საჰაერო თავდაცვის სარდლობის წევრმა, დავითმა.

თვითმფრინავების ტექნიკოსი გიორგი ყოჩაშვილი გვიყვება, რომ ბევრი მფრინავი უმუშევრად დარჩენის და შემოსავლის ძიების გამო ამერიკაში წავიდა. თავადაც იმავეს გეგმავს. ახლა პოლონეთში მუშაობს და ამერიკაში გადასვლას აპირებს.

“საქართველოს თავდაცვის ავიაციამ დაკარგა ძალიან ბევრი მფრინავი, რომლებიც საქართველოდან გადასახლდნენ, თავის საყვარელ პროფესიას დაანებეს თავი. ტექნიკა გაუჩერდათ, ვეღარ დაფრინავდნენ, თავის საქმეს ვერ ასრულებდნენ და გადაწყვიტეს, რაც მინდა აქ მაინც ვერ ვაკეთებ, ავდგები და წავალო. წავიდნენ და მიხედეს თავის ოჯახებს, უფრო კარგად აცხოვრებენ იქედან, ვიდრე აქ რომ იყვნენ,” - ამბობს ის.

სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი ლექვინაძე ამბობს, რომ თავდაცვის სამინისტრო არათანმიმდევრულად მოქმედებს, ავიაციის განვითარების კონკრეტული გეგმა არ აქვს, პილოტებმა არ იციან შეძლებენ თუ არა კარიერულ წინსვლას და ამ არასტაბილურობის განცდის გამო საქმეს თავს ანებებენ.

“პილოტის მომზადებას უნდა წლები და საკმაოდ დიდი თანხები. თავისი კარიერა რომ ააგოს, უნდა იცოდეს 5-10 წლის მერე რა იქნება. ყოველ წელს რომ ცვლი გეგმებს, ხან ყიდი თვითმფრინავებს, ხან აკონსერვებ, ხან არემონტებ, არანაირ თანმიმდევრულ ნაბიჯებს რომ არ დგამ, კარიერულ ზრდაზე ვერ ფიქრობს პილოტი და მიდის. მაღალანაზღაურებადი საქმეა, შეუძლია დასაქამდეს სადღაც უცხოეთში. ახლა პილოტების 90% წასულია საქართველოდან. მათი მობრუნება შესაძლებელია, თუ აქ დაინახავენ პესპექტივას,” - ამბობს ლექვინაძე.

“აი, ფაქტმა“ სცადა როგორც ამერიკაში, ისე სხვა ქვეყნებში წასულ კადრებთან დაკავშირება, რომ საკუთარ გადაწყვეტილებაზე მოეყოლათ. უმეტესობამ ამ თემაზე საუბარი არ ისურვა, მაგრამ ზოგიერთი ინტერვიუზე ანონიმურობის გარანტიით დაგვთანხმდა. “ნახევარი მალაიზია [პირობითად] ქართველი პილოტებითაა სავსე. 2012 წლიდან აქ ვართ, ზოგი ახლა ჩამოვიდა, ზოგი შარშან, ზოგი ხუთი წლის წინ. ჩათვალეთ, 12 პილოტი მაინც ვართ. როცა გეუბნებიან, რომ ავიაცია არ გვჭირდება და პილოტები აღარ გვჭირდებითო, სხვა მიზეზი რა უნდა იყოს?! ფრენები არ იყო და პილოტი თავის კვალიფიკაციას კარგავს,” - გვიყვება სამხედრო ავიაციის ყოფილი მაღალი თანამდებობის პირი რეზო.

“ნახევარი მალაიზია [პირობითად] ქართველი პილოტებითაა სავსე. 2012 წლიდან აქ ვართ, ზოგი ახლა ჩამოვიდა, ზოგი შარშან, ზოგი ხუთი წლის წინ. ჩათვალეთ, 12 პილოტი მაინც ვართ. როცა გეუბნებიან, რომ ავიაცია არ გვჭირდება და პილოტები აღარ გვჭირდებითო, სხვა მიზეზი რა უნდა იყოს?! ფრენები არ იყო და პილოტი თავის კვალიფიკაციას კარგავს,”

“აი, ფაქტის” კიდევ ერთი ანონიმური წყარო ანრი, რომელიც სამხედრო ავიაციაში 11 წელი მუშაობდა, ამბობს, რომ 2014-2016 წლებში სამსახურს აქტიურად ტოვებდნენ მი-8 ტიპის ვერტმფრენის სპეციალისტები. ამის მიზეზი იყო, რომ თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, მი-8 ფრენებისთვის აღარ გამოიყენებოდა. ანრის თქმით, იმ პერიოდში სამხედრო ავიაციიდან 100-120 კადრი წავიდა. მოუწიათ მიმდინარე კონტრაქტების დარღვევაც.

ვინც არ წავიდა,“იროკეზებზე” გადავიდნენ. თუმცა, ეს უფრო დაბალი კლასის ვერტმფრენია და მასზე მუშაობა სპეციალისტის დეგრადაციას ნიშნავდა. ამიტომ, ანრიმ და მისმა კოლეგებმა სამხედრო ავიაციის დატოვება და სამოქალაქოში გადასვლა არჩია. ახლა 30-მდე მათგანი უცხო ქვეყანაში მსახურობს.

“2012-დან ფაქტობრივად ამოიღეს “ტაბელიდან” მი-8, ვითომ უცხოური ტექნიკა შემოდიოდა, მაგრამ არ შემოვიდა. მი-24, მი-2, იროკეზი ჩასმულია, ასევე სუ-25, მაგრამ მი-8 შეიარაღების სახით აღარ არის. სამინისტროს ბალანსზე არის, მაგრამ ფრენებისთვის აღარ გამოიყენება. სიმართლე გითხრა, ხელზე არავინ ჩამოგვკონწიალებია, ვინც გამოხატა წასვლის სურვილი, შეწინააღმდეგება არ ყოფილა. გაჩერებული იყო უკვე ყველაფერი და ბოლოსდაბოლოს ცოცხებით ხომ არ ვიფრენდით?!”- ამბობს ანრი “აი, ფაქტთან” საუბრისას.

ჩვენ თავდაცვის სამინისტროს ინტერვიუსთვისაც მივმართეთ. გვინდოდა, ეპასუხათ რა ბედი ეწია ავიაციას და გამოცდილ მფრინავებს. პირისპირ საუბარზე უარი გვითხრეს, კითხვები წერილობით გამოგვიგზავნეთო, თუმცა არც ამ ფორმით გამოვიდნენ კომუნიკაციაზე.

ერთ-ერთი ასეთი სამხედრო მფრინავი, რომელმაც ქართული ავიაცია დატოვა, თადარიგის პოლკოვნიკი სოსო ოსორაული იყო. მან საქართველოს თავდაცვის ძალები 2015 წელს დატოვა. 41 წლის თუში სამხედრო მფრინავი კონგოში მუშაობდა და უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების ტყვეობაში 2017 წელს ოთხი თვის განმავლობაში იმყოფებოდა. ოსორაულის ოჯახის წევრები და თუშები საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ, რომ ტყვეობაში მყოფი პირის გამოსახსნელად არასაკმარისად რეაგირებდნენ. სოსო ოსორაული 2017 წლის მაისში კონგოს ხელისუფლების მიერ მოწყობილი ოპერაციის მოგერიებისას დაიღუპა. ■

ია ასათიანი

მანანა ღოღობერიძე

რას აპირებენ საქართველოში გადმობარგებული რუსები და რას ვაპირებთ ჩვენ?

ალიონა ერთ-ერთია რუსეთის იმ ათიათასობით მოქალაქეს შორის, რომლებიც უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ საკუთარი ქვეყნიდან წავიდნენ, ახალ საცხოვრებლად კი საქართველო აირჩიეს. ის რუსეთში მარკეტინგის სფეროში მუშაობდა. თუმცა, როგორც ამბობს, ომის დაწყების შემდეგ შემოსავლის წყაროც დაკარგა და იმის იმედიც, რომ რუსეთის პოლიტიკური რეჟიმი შეიცვლებოდა. ეს იყო ერთ-ერთი საფუძველი, რის გამოც ის და მისი ოჯახი მაისში საქართველოში გადმოვიდნენ.

“ჩვენ საქართველოში დარჩენას ვაპირებთ. მე და ჩემი მეუღლე 365 დღე, თუ რამდენიც უწევს, ვიზის გარეშე ვიქნებით. შემდეგ რამეს მოვიფიქრებთ. მეუღლეს მოქალაქეობის აღება უნდა. მე დედაც აქეთ გადმოვიყვანე, ინდ.მეწარის სტატუსი მიიღო და აქ განვავითარებთ მის ბიზნესს,” - გვიყვება ალიონა. მან გვარის გასაჯაროვება არ ისურვა, მეშინია ღიად რომ გამოვჩნდეო.

რუსეთის მოქალაქეები საქართველოში დარჩენას, თავის დამკვიდრებას და ბიზნესის წამოწყებას რომ აპირებენ, ამაზე რიცხვებიც მეტყველებს. უკრაინაში ომის დაწყების დღიდან ივნისის ჩათვლით, ინდ.მეწარმედ დარეგისტრირდა რუსეთის 5,990 მოქალაქე, კომპანია კი 429-მ დააარსა. “გამჭვირვალობა საქართველოს” ინფორმაციით, საქართველოში სულ 13,500 რუსული კომპანიაა, მათგან 6,419 კომპანია კი უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ დარეგისტრირდა.

ჩვენ მცირე კვლევა ჩავატარეთ, რომლის ფარგლებშიც რუსეთის 106 მოქალაქე გამოვკითხეთ. მათგან გვაინტერესებდა, რამდენ ხანს რჩებიან აქ, რას საქმიანობენ, რა იციან რუსეთის მიერ ოკუპირებულ ჩვენს ტერიტორიებსა და 2008 წლის ომზე. შედეგებში დამაიმედებელი ვერაფერია. დეტალურად კვლევის ანალიზს ქვემოთ გიჩვენებთ.

რა მიზნით ჩამოხვედით საქართველოში?



ხართ თუ არა დასაქმებული?



როგორ გახდა საქართველო ლიბერალური სავიზო პოლიტიკის მქონე ქვეყანა?

2012 წლის 28 თებერვლის ბრძანებულებით, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა გამოსცა, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს საქართველოში შემოსასვლელად და 90 დღით დასარჩენად ვიზა არ სჭირდებოდათ.

2015 წლის ივნისში პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა ხელი მოაწერა დადგენილებას, რომლის თანახმადაც უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოში უვიზოდ 365 დღით დარჩენის უფლება აქვს. მსგავსი პირობები რუსეთის ფედერაციის გარდა კიდევ 94 ქვეყნის მოქალაქეების მიმართ მოქმედებს.

თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ერთი წლის გასვლის შემდეგ აუცილებლად საკუთარ ქვეყანაში უნდა დაბრუნდნენ. მათთვის მარტივი გამოსავალიც არსებობს, ამისთვის საჭიროა ერთი წლის ვადის ამოწურვამდე, თუნდაც მხოლოდ ერთი წუთით გადაკვეთონ საქართველოს საზღვარი ნებისმიერი მიმართულებით, გადავიდნენ თურქეთში ან სომხეთში და მაშინვე უკან შემობრუნდნენ. აქედან ერთი წლის ვადის ათვლა ხელახლა დაიწყება და ასე დაუსრულებლად.

ეს ხერხი რომ რუსეთის მოქალაქეებისთვის ცნობილია და მას მიმართავენ ამას, “აი, ფაქტს” საქართველოში მყოფი რუსეთის მოქალაქეები თავად უყვებიან.

“რუსეთში დაბრუნების ვარიანტს ახლა საერთოდ არ განვიხილავ. თუ დამჭირდება საქართველოდან გასვლა აქ ცხოვრების ვადის გასახანგრძლივებად, მაშინ სხვა ქვეყანაში წავალ. ეს შესაძლებელია, რადგან აქ საკითხი მხოლოდ საზღვრის კვეთაზე დგას. საზღვრის კვეთა კი ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება იქნება ეს თურქეთი, სომხეთი თუ სხვა, სადაც ბილეთები იქნება,” - გვიყვება მაია გუსევა. ის საქართველოში აპრილში ჩამოვიდა და როგორც თქვა, რუსეთში დაბრუნებას არ აპირებს, რადგან მისი და მისი მეუღლის წინააღმდეგ პროკურატურაში საქმეა აღძრული. ორივე მათგანი იდევნება რუსული პოლიტიკური რეჟიმის მიერ, რადგან მაია ომის წინააღმდეგ აზრს ღიად აფიქსირებდა. მისი მეუღლე კი სერგეი ნავალნის მხარდამჭერი იყო.

ვიზების ვადის გასახანგრძლივებლად საზღვრის გადაკვეთის ხრიკს რომ მიმართავენ, საგარეო საქმეთა სამინისტროშიც იციან. კითხვაზე, რამდენჯერ შეუძლიათ ასე მოიქცნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, სამინისტროს ცხელ ხაზზე გვიპასუხეს: “არ არის ასე ლიმიტირებულად, რამდენჯერაც მოისურვებენ. ახლიდან შემოსულზე თავიდან იწყება ამ ერთი წლის ათვლა.”

“აი, ფაქტის” კვლევა - როდის წავლენ რუსები საქართველოდან?

ჩვენ მოვამზადეთ 16-კითხვიანი ფორმა, რომელიც მოიცავდა ისეთ თემებს, როგორიცაა აქ ჩამოსვლის მიზეზები, დასაქმების საკითხები, წასვლის სავარაუდო დრო და ოკუპაციის მიმართ მათი დამოკიდებულება.

შემთხვევითობის პრინციპით გამოვკითხეთ საქართველოში ჩამოსული რუსეთის 106 მოქალაქე. მათგან 76 პროცენტი 16-დან 35 წლამდე ასაკისაა. მათი ნაწილი გამოვკითხეთ პირისპირ, ბეჭდური კითხვარის დახმარებით, ნაწილმა კი შეგვივსო ონლაინ კითხვარი, რომელიც ტელეგრამის ჯგუფში გავაზიარეთ. ეს არის მიზნობრივი ჯგუფი, რომელიც საქართველოში ახლახანს ჩამოსული ან ჩამომსვლელი რუსეთის მოქალაქეების დასახმარებლად შეიქმნა.

"აი, ფაქტის" ჟურნალისტებისთვის კვლევის პროცესი იმაზე რთული აღმოჩნდა, ვიდრე წარმოგვედგინა. იუსტიციის სახლიდან გამოსული რუსეთის მოქალაქეები არ გვეუბნებოდნენ საიდან იყვნენ. არადა, ვხედავდით რომ ხელში სწორედ რუსული პასპორტები ეჭირათ. ზოგიც უბრალოდ თავს გვარიდებდა. ზოგი მათგანი კი თავს ქართველად და აქ დაბადებულ-გაზრდილად ასაღებდა, ისე რომ ქართულ ენაზე ლაპარაკი არ შეეძლოთ.



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარებაზე დასმული კითხვები 39%-მა (41 ადამიანი) უპასუხოდ დატოვა, ან მიგვიწერეს, ბევრი არაფერი ვიცით ან, არ გვეხება-არ გვაინტერესებსო. იყვნენ ისეთებიც, 2008 წლის რუსეთის აგრესიის კითხვაზე რომ ეცინებოდათ და პროვოკაციულს უწოდებდებდნენ. გამოკითხულთაგან ერთ-ერთმა ისიც გვითხრა, რუსეთი კი არ დაესხა თავს საქართველოს, არამედ საქართველო სამხრეთ ოსეთსო. კიდევ ერთმა კი ირონიულად ისიც გვითხრა: "კი, კი. რა თქმა უნდა, რუსეთი დაესხა თავს. ყველას ხომ რუსეთი ესხმის თავს.

კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხული რუსეთის მოქალაქეების 90 პროცენტი (95 ადამიანი) საქართველოში უკრანაში რუსეთის შეჭრის შემდეგ ჩამოვიდა. მათგან ნახევარი, 106-დან 53 აპირებს საქართველოში საცხოვრებლად დარჩეს.

ტურისტული მიზნით საქართველოში ჩამოვიდა გამოკითხულთა 32 პროცენტი (34 ადამიანი), სამუშაოდ - 2.8 პროცენტი (3 ადამიანი). ჩვენი რესპონდენტები ამბობდნენ, რომ ისინი საქართველოში რუსეთის რეჟიმს, ომს, სანქციებს და უმუშევრობას გამოექცნენ. ერთ-ერთმა ისიც გვითხრა, რომ სანქციების გამო მისი კომპანია საქართველოში გადმოვიდა და მასაც ამიტომ მოუწია საცხოვრებლის შეცვლა.

ვეცადეთ გაგვერკვია, რა იციან 2008 წლის ომზე და ოკუპაციაზე მათ, ვინც ამ გამოკითხვაში მონაწილეობდა და საქართველოში საცხოვრებლად დარჩენას აპირებს, ასეთი 53 ადამიანია. მათგან ოკუპაციაზე ინფორმაცია ჰქონდა 50-ს. სამმა კი ამ კითხვაზე პასუხი არ გაგვცა. ზოგადად, 106 გამოკითხულიდან 77-მა იცოდა, რომ რუსეთი თავს დაგვესხა და ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორია.

სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას 106-დან 15 ადამიანი აღიარებს. 14 მათგანი საქართველოში უკრაინის ომის დაწყების შემდეგ შემოვიდა.

“აი, ფაქტის” მიერ გამოკითხული რუსეთის მოქალაქეებიდან ყველაზე მეტი, 18 ადამიანი კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროშია დასაქმებული. მედიაში მუშაობს 14 მათგანი, 15 კი მასწავლებელია.

რუსეთის მოქალაქეებს ისიც ვკითხეთ, რა შემთხვევაში დატოვებდნენ საქართველოს. 106-დან 19-მა სავიზო რეჟიმის გამკაცრება დაასახელა. 16-მა ომის დასრულება, 10-მა საქართველოში ნეგატიური დამოკიდებულება, 6-მა კი პუტინის სიკვდილი და რუსეთის ხელისუფლების ცვლილება.

“რუსეთში დაბრუნების ვარიანტს ახლა საერთოდ არ განვიხილავ. სიმართლე გითხრათ, ვერ ვხედავ ომის დასრულების ვერანაირ შესაძლებლობას ამ მთავრობის პირობებში. თუმცა, თუ როგორღაც ომი დასრულდა, მაგრამ მთავრობაში ისევ პუტინი იქნება, არ დავბრუნდები,” - გვითხრა რუსეთიდან გამოქცეულმა ჟურნალისტმა და აქტივისტმა მაია გუსევამ.

“რუსეთი ჩვენი სამშობლოა და იქ მთელი სიცოცხლე გავატარეთ. რა თქმა უნდა, გვინდა რომ დავბრუნდეთ, რადგან იქ ჩვენი ახლობლებიც არიან. მაგრამ ახლა უკან დაბრუნების ვერანაირ გზას ვერ ვხედავ. რუსეთში მთავრობა არ შეიცვლება. როდესაც ომი დასრულდება, მთავრობა მაინც იგივე დარჩება. წლების განმავლობაში განვიცდიდით ამას. ყველამ იცის, რომ რუსეთი ეს ის ადგილია, სადაც მთავრობა არ შეიცვლება,” - გვიყვება ალიონა.

რას ვაპირებთ უკონტროლო მიგრაციის შესაჩერებლად?

რუსეთმა მიგრაციის საშუალებით რომ არ დაგვიპყროს, ამისთვის კონკრეტულ ნაბიჯებს უნდა ვდგამდეთ და მის ძალისხმევას ჩვენსას ვუპირისპირებდეთ. საქართველოს მთავრობა სასიკეთოს არაფერს აკეთებს, თუმცა უკონტროლო მიგრაციის შესაჩერებლად ვერც სხვა აქტორების ქმედებებს მოაქვს თვალსაჩინო შედეგი.

პოლიტიკურმა პარტია “ლელომ” და მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანება “დროამ” აგვისტოში სავიზო პოლიტიკის გამკაცრების ხედვა წარადგინეს. “ლელოს” მოსაზრებით, რუსეთის მოქალაქეებზე ტურისტული ვიზები პირდაპირ საზღვარზე ან ონლაინ მხოლოდ 30-დღიანი ვადით უნდა გაიცეს. მათ კი ვისაც მეტი ხნით სურს

საქართველოში დარჩენა, ვიზების მიღება უნდა შეეძლოთ ევროკავშირის საუკეთესო მაგალითების გათვალისწინებით.

"დროა" ითხოვს ტურისტული ვიზის ვადა 3 კვირამდე შემცირდეს და საქართველოს საზღვარზე შემოსვლის მსურველებს ბიომეტრიული მონაცემების (მათ შორის თითის ანაბეჭდის) ჩაბარება მოეთხოვოთ.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ როგორ უნდა ვაიძულოთ მთავრობა, ამ ინიციატივებს მოუსმინოს და განიხილოს მათი მიღება-არმიღების საკითხი?

არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი, ელენე ხოშტარია თვლის, რომ მთავრობასთან ამ წინადადებების განხილვა მათი მხრიდან მთავრობის ლეგიტიმაციის აღიარებას ნიშნავს.

"არასწორია შექმნა ილუზია, თითქოს პარლამენტი არის ინსტიტუტი, სადაც რეალურად იღებენ გადაწყვეტილებებს. მათ დეკლარირებული აქვთ პოზიცია რუსეთის მიმართ. ეს არის აბსოლუტურად მარიონეტული ინსტიტუტი და რამდენჯერაც იქ შეიტან დოკუმენტს და იტყვი, რომ აი, მე ვცადე, იმდენჯერ აძლევ მას ლეგიტიმაციას," - ამბობს ელენე ხოშტარია.

თუმცა, ვერც საპარლამენტო ოპოზიცია გვეუბნება ამ მხრივ რაიმე დამაიმედებელს. პარტია "ლელოს" დეპუტატი ანა ნაცვლიშვილი გვიყვება, რომ ამ თემაზე დისკუსიას ვერ მართავენ პარლამენტის პლენარულ სხდომებზე და ვერც საკომიტეტო შეხვედრებზე, რადგან დღის წესრიგს უმრავლესობა ადგენს. ოპოზიციას შეუძლია ამ თემაზე მხოლოდ გააჟღეროს პოლიტიკური განცხადებები, რასაც აკეთებს კიდეც. ნაცვლიშილი გვეუბნება, რომ ის ამ თემაზე აღმასრულებელი ორგანოსთვის აპირებს მიმართვას.

"დღის წესრიგში საკითხი დასმულია, მართალია, "ქართული ოცნება" არ იმჩნევს, მაგრამ დასმულია. ჩვენ არ გვაქვს სახელისუფლებო ბერკეტები, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ დღის წესრიგი ვერ შექმნა. ამ საკითხს ბოლომდე მივყვებით. ჩვენ აქტიურად ვმსჯელობთ სამუშაო რეჟიმში ამ თემაზე, მაგრამ ასე ქმედებების დეტალებში შესვლა არ იქნება ჩემი მხრიდან გამართლებული," - გვეუბნება პარლამენტარი ანა ნაცვლიშვილი.

კიდევ ერთი ოპოზიციური პარტია, რომელმაც სავიზო რეჟიმის შემოტანა მოითხოვა, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა." მათი ინიციატივით რუსეთის მოქალაქეებისთვის ტურისტული ვიზის ვადა ერთ თვემდე უნდა შემცირდეს.

საქართველოს პატრლამენტის დეპუტატი "ნაციონალური მოძრაობიდან," ლევან ხაბეიშვილის თქმით, მათ აქვთ გაწერილი კონკრეტული გეგმა იმისა, თუ როგორ შეიძლება სავიზო რეჟიმის დაწესება. თუმცა, ხელისუფლების მხრიდან თანამშრომლობის მზაობას ვერ ხედავენ.

"როცა ხელისუფლებას არ აინტერესებს ეს შეთავაზებები, არ თანამშრომლობს და არც სხვის აზრს ითვალისწინებს, მათ შორის იმ ოპოზიციის, რომელიც მილიონნახევარ ადამიანს წარმოადგენს, ცხადია, შემდეგ ბიუროკრატიულ ნაბიჯებს აზრი ეკარგება. საჯარო განცხადება საკმარისია იმისთვის, რომ ხელისუფლებიდან კონკრეტულმი პირებმა თანამშრომლობისთვის დაგიძახონ. მე არ მგონია, რომ ამ ხელისუფლების პირობებში აზრი ჰქონდეს ამ მიმართულებით მუშაობას," - გვითხრა ლევან ხაბეიშვილმა.

პარლამენტის დეპუტატი ანა ნაცვლიშილი გვიხსნის, რომ რუსებისთვის სავიზო რეჟიმის შემოღება ანტისემიტიზმი ან დისკრიმინაცია არ არის, როგორც ამას "ქართული ოცნების" წევრები წარმოაჩენენ.

"შეხვიდე უცხო ქვეყანაში 1 დღით იქნება თუ 1 წლით, ეს არ არის ადამიანის უფლება და რაკი ადამიანის უფლება არ არის, ვერ მოხდება ვერანაირი დისკრიმინაცია. სახელმწიფოს უფლება, გადაწყვიტოს ვის შემოუშვებს და რამდენი ხნით დატოვებს, არის მისი სუვერენიტეტის განუყოფელი ნაწილი. როგორც სახლში არ ვართ ვალდებული, რომ შემოვუშვათ არასასურველი სტუმარი და ვაკონტროლებთ სახლის კარს, ასევეა სახელმწიფოსთვის სავიზო პოლიტიკაც," - გვეუბნება ნაცვლიშვილი.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ნიკა სიმონიშვილი დარწმუნებულია, რომ ჩვენი კანონმდებლობა სავიზო პოლიტიკის გამკაცრებას ხელს

არ უშლის. მითუმეტეს, რომ რუსეთთან თავისუფალი მიმოსვლა არ გვაქვს, ოკუპანტ ქვეყანას საქართველოს მოქალაქეების მიმართ სავიზო რეჟიმი აქვს დაწესებული.

"საემიგრაციო პოლიტიკის გამკაცრება ცალკეულ ქვეყანასთან მიმართებით, მისი პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და ამ ყველაფერში არანაირად არ არის ქსენოფობია, როგორც ჩვენი მთავრობა ამბობს. ეს არის გადაწყვეტილების მიიღება ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე და სრულიად თავსებადია ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართალთან," - გვითხრა სიმონიშვილმა.

სიმონიშვილის მსგავსად კიდევ 30 არასამთავრობო ორგანიზაცია ფიქრობს, რომ აუცილებელია საქართველომ რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი დააწესოს. ამ მოთხოვნით მათ მთავრობასაც მიმართეს. ყველა ვხედავთ, რომ მთავრობას ამ თემაზე არაფრის გაგონება უნდა და ისე ჩანს, რომ არც საზოგადოების მიმართვას მიიტანს გულთან. სხვა, უფრო რადიკალური ნაბიჯები კი ჯერ არავის გადაუდგამს.

"აი, ფაქტი" საგარეო საქმეთა სამინისტროსაც დაუკავშირდა, რომ გაგვეგო, აპირებენ თუ არა საზოგადოების აზრის გათვალისწინებას და სავიზო პოლიტიკის გადახედვას, თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენი კითხვები უპასუხოდ დატოვეს. როგორც ჩანს, სხვა საჯარო უწყებების მსგავსად, მათაც ავიწყდებათ, რომ მედიასთან კომუნიკაცია და გამჭირვალობა დემოკრატიის ერთ-ერთი ფუნდამენტია.

ვიდრე ჩვენ ამ იწილო-ბიწილოში ვართ, ევროპის ქვეყნებმა სავიზო პოლიტიკაც გაამკაცრეს და ზოგიერთმა, საერთოდაც, საზღვარიც კი ჩაუკეტა რუსებს.

მაგალითად, ესტონეთმა გაამკაცრა საემიგრაციო პოლიტიკა რუსეთის მოქალაქეების მიმართ. მათთვის ვიზის აღება ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა. აგვისტოში კი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ურმას რეინსალუმ განაცხადა, რომ საზღვარს ვიზების მფლობელებსაც დაუკეტავენ.

ლატვიამ ომის დაწყებიდან მალევე რუსებისთვის ვიზების გაცემა ჯერ შეზღუდა, 4 აგვისტოდან კი სრულად აკრძალა, თანაც გაუკრვეველი ვადით. ჩეხეთმა რუსეთის მოქალაქეებისთვის ვიზების გაცემა 2023 წლის მარტამდე შეწყვიტა. ივლისის შემდეგ მოკლევადიან ვიზებს აღარ გასცემს ბელგიაც. ჩვენ ყველანი კი დავაკვირდეთ ეს მთავრობა სირაქლემას პოზიციიდან ევროპელებზე "უფრო ევროპელის" როლს როდემდე ითამაშებს. ამასობაში ან ვირი მოკვდება ან ვირის პატრონი.

გიორგი ხარებავა

რა შეიძლება ვისწავლოთ ტაივანისგან

საქართველოდან 7 ათასი კილომეტრის მოშორებით სამხრეთ ჩინეთის ზღვას, ფილიპინების ზღვასა და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვას შორის მდებარეობს პატარა კუნძული, რომელიც კონტინენტური ჩინეთისგან ტაივანის სრუტითაა გამოყოფილი. კუნძული ოფიციალურად ჩინეთის განუყოფელ ნაწილად ითვლება, თუმცა, 70 წელზე მეტია, მას პეკინი ვერ აკონტროლებს. 1949 წელს კონტინენტური ჩინეთის ტერიტორიაზე სამოქალაქო ომი კომუნისტების გამარჯვებით დასრულდა, დამარცხებულმა მხარემ კი ტაივანისკენ დაიხია. ამრიგად, ქვეყნის კონტინენტურ ნაწილში კომუნისტური პარტიის მმართველობით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა შეიქმნა, ტაივანს შეფარებულმა ნაციონალისტებმა კი იქ ჩინეთის რესპუბლიკა გამოაცხადეს. წლების განმავლობაში საერთაშორისო საზოგადოება ჩინეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებად ტაივანის მთავრობას აღიარებდა, თუმცა, 1970-იან წლებში აშშ-სა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ურთიერთობების დასტაბილურებასთან ერთად გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ჩინეთის ერთადერთ და ლეგიტიმურ წარმომადგენლად კომუნისტური ჩინეთი აღიარა.

დღეს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გაძლიერებისა და მისი გლობალურად მზარდი ამბიციების ფონზე, ტაივანი უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. საქართველოსგან განსხვავებით, ტაიპეის მოწინააღმდეგე გლობალური ამბიციების მქონე აღმავალი ჩინეთია, რომლის ეკონომიკაც მსოფლიოში მხოლოდ აშშ-ს ჩამოუვარდება და რომლის სამხედრო შესაძლებლობებიც ყველაზე მზარდია. უკრაინაში რუსეთის სამხედრო კრახის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმია“, მისი სამხედრო ფლოტი და საჰაერო ძალები მსოფლიოში ნომერ მეორეა და დღიდან დღემდე უფრო და უფრო ძლიერდება. ტაივანის მდგომარეობას

მისი სტატუსიც ართულებს, ის ოფიციალურად ჩინეთის ტერიტორიაა, რომლის სახელმწიფოებრიობას ახლო მოკავშირეებიც კი არ აღიარებენ, რაც სახელმწიფო ინსტიტუტების, ეკონომიკის, თავდაცვისა და უსაფრთხოების მშენებლობისა და გაუმჯობესების გზაზე დამატებით ბარიერებს ქმნის. მიუხედავად ამისა, დღეს არაღიარებული ტაივანი აღმავალი ჩინეთისგან გაცილებით უკეთაა დაცული, ვიდრე სუვერენული საქართველო, რომლის უსაფრთხოებასაც დასუსტებული და მილევადი რუსეთი უქმნის პრობლემებს. ამდენად, ტაივანის მაგალითის შესწავლა, ჩვენი ქვეყნისთვის საინტერესო და გამოსადეგი შეიძლება აღმოჩნდეს.

არსებობს 2 ძირითადი ფაქტორი, რაზეც თანამედროვე ტაივანის უსაფრთხოებაა დაშენებული. პირველი თავად ტაიპეის მიერ თავდაცვასა და უსაფრთხოებაში გაკეთებული ინვესტიციებია, რაც მას ძლიერი და მაღალტექნოლოგიური შეიარაღებული ძალების ყოლის საშუალებას აძლევს და მეორე, ტაივანმა შეძლო და გლობალურ ეკონომიკაში წარმატებით დაიმკვიდრა თავი. მისი ჩიპების ინდუსტრია მსოფლიო ეკონომიკისთვის კრიტიკული მნიშვნელობის მატარებელია, რაც ამ პატარა კუნძულს, რომელზეც სულ რაღაც 23 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ნახევარგამტარების მსოფლიო ბაზრის ლიდერად აქცევს.

ერთი შეხედვით ტაივანი პატარა კუნძულია, რომლის მოსახლეობაც ჩინეთის მოსახლეობაზე 61-ჯერ ნაკლებია (შედარებისთვის რუსეთის მოსახლეობა საქართველოსაზე 40-ჯერაა მეტი. ტაივანი ამ მხრივაც საქართველოზე ცუდ მდგომარეობაშია), მაგრამ ეს ფაქტორი ტაივანისთვის არასდროს გამხდარა პანიკაში ჩავარდნის საფუძველი. არაღიარებულმა ტაიპეიმ წლების განმავლობაში მოახერხა და სწორად გატარებული რეფორმების შედეგად საკუთარი ტერიტორია მაღალგანვითარებულ ეკონომიკად აქცია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2021 წლის მონაცემებით, ტაივანის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი თითქმის 800 მილიარდი დოლარია და ეს მაშინ, როდესაც ის არანაირი ბუნებრივი რესურსებით გამორჩეული არ არის. ნომინალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე 33 ათას დოლარზე მეტია. ცნობისთვის, საქართველოს შემთხვევაში მშპ ერთ სულ მოსახლეზე ამდენივე რომ იყოს, ჩვენი ეკონომიკა 120 მილიარდ დოლარზე მეტი მოცულობის იქნებოდა და თავდაცვის სფეროში, ნატოს 2%-იანი სტანდარტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მინიმუმ 2.5 მილიარდი დოლარის დახარჯვა გახდებოდა შესაძლებელი, რაც უხეში გათვლებით, დღევანდელ ბიუჯეტზე 8-ჯერ მეტია. შედარებისთვის, ტაივანის თავდაცვის ბიუჯეტი თითქმის 17 მილიარდი დოლარია, რაც მას ნებისმიერი მოწინააღდეგისთვის ანგარიშგასაწევ ძალად აქცევს.

ტაივანი წარმატებით ამტკიცებს, რომ პატარა აქტორებსაც შეუძლიათ ძლიერი თავდაცვის უზრუნველყოფა. Globalfirepower-ის მონაცემებით, სამხედრო სიძლიერით ის მსოფლიოში 21-ე ადგილზეა და ეს მაშინ, როდესაც ფართობით 125-ე და მოსახლეობის რიცხოვნობით 57-ე ადგილს იკავებს. სწორად გატარებულმა რეფორმება ტაივანს საშუალება მისცა, რომ მაღალგანვითარებული და მდიდარი ეკონომიკა აეშენებინა. დაგროვილი დოვლათის თავდაცვაზე მიმართვა კი ამ პატარა კუნძულს დიდი ჩინეთისთვისაც კი საკმაოდ ძლიერ და ლეტალურ მოწინააღმდეგედ აქცევს. თუ ქვეყნის მმართველები საკუთარი ვიწროპარტიული ინტერესების ნაცვლად ეროვნულ ინტერესებზე ზრუნვას დაიწყებენ, მსგავს შედეგებზე გასვლა საქართველოსთვისაც რეალური და სავსებით მიღწევადია. მით უფრო მაშინ, როცა ტაივანისგან განსხვავებით, საქართველო საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფოა და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და საგარეო პოლიტიკის წარმოებაში თბილისს ტაიპეიზე გაცილებით ხელსაყრელი პირობები აქვს.

როგორც აღვნიშნეთ, ძლიერი შეიარაღებული ძალები ტაივანის უსაფრთხოების ერთადერთი გარანტი არ არის. სამხედრო კომპონენტზე არანაკლებ მნიშვნელოვანი გლობალური ეკონომიკის ტაივანზე დამოკიდებულებაა. საერთაშორისო ეკონომიკის სტანდარტებით ტაივანი არ არის დიდი ეკონომიკა, მასზე უფრო დიდი მოცულობის

ეკონომიკა აქვთ ისეთ ქვეყნებს, როგორებიც არიან, შვეიცარია, ნიდერლანდი, საუდის არაბეთი, ინდონეზია, მექსიკა, ესპანეთი, ირანი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ტაივანი გლობალური ეკონომიკისთვის კრიტიკული მნიშვნელობის მქონე მონაწილედ დარჩენას მაინც ახერხებს და ამაში მას საკუთარი მიკროჩიპების ინდუსტრია ეხმარება.

მიკროჩიპების ინდუსტრიაში ტაივანის ლიდერობას 1987 წელს ჩაეყარა საფუძველი, როდესაც „ტაივანის ნახევარგამტარების მწარმოებელი კომპანია“ – TSMC დაარსდა. 2020 წლის მონაცემებით მხოლოდ ეს კომპანია ჩიპების მსოფლიო ბაზრის 54%-ს აკონტროლებს. აშშ-ს ისეთი ტექნოლოგიური ფირმები, როგორებიც არიან Apple, Google, Nvidia და Qualcomm 90%-ით ტაივანში დამზადებულ ჩიპებზე არიან დამოკიდებული. ტაივანური TSMC სამხრეთ კორეულ სამსუნგთან ერთად ერთადერთი კომპანიაა, რომელიც ყველაზე განვითარებულ 5 ნანომეტრიან ჩიპებს ამზადებს, მსგავსი მაღალგანვითარებული ჩიპების 90% კი სწორედ TSMC-ზე მოდის. ჯამში ჩიპების მსოფლიო ბაზარი ტაივანურ კომპანიებზე 63 პროცენტითაა დამოკიდებული, რაც ამ პატარა კუნძულს საშუალებას აძლევს, რომ პეკინისგან თავი ერთგვარი „სილიკონის ფარით“ დაიცვას.

პატარა, არაღიარებულმა და მუდმივად შემოჭრის საფრთხის ქვეშ მყოფმა ტავიანმა მოახერხა და მსოფლიოში ნახევარგამტარების ინდუსტრიის ნამდვილ ლიდერად ჩამოყალიბდა. მარტივად რომ ვთქვათ, ტაივანის გარეშე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები და კომპანიები და თავად ჩინეთიც ვერ შეძლებენ სმარტფონების, ლეპტოპების, ავტომანქანების და სხვა მრავალი სახის თანამედროვე ტექნიკის, მათ შორის სამხედრო ტექნიკის წარმოებასაც. საერთაშორისო ეკონომიკიდან ტაივანის ჩამოშორებას ძალიან მწვავე გლობალური კრიზისის გამოწვევა შეუძლია, რომელიც არცერთი დიდი სახელმწიფოს ინტერესებში არ შედის. ამრიგად, ტაივანზე თავდასხმის შეჩერება ყველა დიდი სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებშია. დღეს თითქმის წარმოუდგენელია, რომ რომელიმე პატარა ქვეყანამ ტაივანის ეს მიღწევა გაიმეროს და მსოფლიოს ეკონომიკაზე ასეთი დიდი გავლენა მოიპოვის, თუმცა, საქართველოს შეუძლია, რომ სწორი რეფორმებისა და სტრატეგიული აზროვნების შემთხვევაში, საერთაშორისო პარტნიორებისთვის საკუთარი მნიშვნელობა გაზარდოს. ამ ფუნქციას კარგად შეასრულებდა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი, რომელსაც ქართული ოცნების პირობებში სამწუხაროდ აშენება არ უწერია. თბილისის გავლენას ასევე გაზრდიდა კასპიის ზღვის აუზის ენერგორესურსების ევროპაში საქართველოს გავლით გატანა. რუსეთის დასუსტებისა და ევროპის მიერ რუსულ ნახშირწყალბადზე უარის თქმის ფონზე, სულ უფრო რეალური ხდება საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის ეფექტურად ათვისების შესაძლებლობა. საუბედუროდ არც ამ მიმართულებით შეინიშნება საქართველოს მთავრობის აქტიურობა.

ტაივანის მაგალითი გვაჩვენებს, რომ შენზე მრავალჯერ დიდი მოწინააღმდეგისგან თავდასაცავად კრიტიკულად საჭიროა მინიმუმ ორი რამ: 1. თავდაცვასა და უსაფრთხოებაში ინვესტირება და 2. საერთაშორისო წონის გაზრდა, რათა შენზე დავდასხმას დიდი ქვეყნებისთვისაც შეეძლოს პრობლემების მოტანა, ასეთ დროს უსაფრთოების გარანტიები ყოველთვის მატულობს. ეს გაკვეთილია, რომელიც საქართველომ აუცილებლად უნდა აითვისოს. ■

დავით ხვადაგიანი

შეხვედრა წარსულთან

რამდენიმე წლის წინ, რაჭაში, ჩემს სოფელში, შემთხვევით დაახლოებით ათი წლის წინანდელი გაზეთის ნაგლეჯი ვიპოვნე, რომელსაც არც თარიღი და არც გარეკანი არ ჰქონდა, თუმცა მარტივად მივხვდი, რომ ის გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 2012 ან 2013 წლის ერთერთი ნომერი იყო, შემორჩენილი ნაწილი მკითხველს აუწყებდა რომ „სააკაშვილი დამხობილია“ და „საქართველო თავისუფლდება“. ამ გადიდებული სათაურებით გამოტანილ ტექსტსა და კონტექსტიდან ამოგლეჯილ, მანიპულირებულ ფოტოსურათს ქვემოთ, მისალოც ტექსტებში რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე გენადი ზიუგანოვი და საქართველოს „ერთიანი კომუნისტური პარტიის“ ფართო საზოგადოებისთვის ყოვლად უცნობი და გაურკვეველი ლიდერები, კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და მის ლიდერ ბიძინა ივანიშვილს „ბრწყინვალე საერთო-სახალხო გამარჯვებას“ ულოცავდნენ და იმედს გამოთქვამდნენ, რომ „განახლებულ საქართველოში“ მშვიდობიანი შრომისა და კეთილდღეობის პირობებში თავის ადგილს დაიჭერდა ყველა პოლიტიკური ძალა.

ათი წლის წინ, რუსული პროპაგანდით მოტყუებული საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მსგავსი სახიფათო სიმპტომების შემჩნევა, რუსული იმპერიული წარსულის ნაშთის - კომუნისტური პარტიის მსოფლმხედველობის სრული დამთხვევა ხელისუფლებაში მოსულ ახალ პოლიტიკურ ძალასთან და ამ დამაკავშირებელი რგოლების დანახვა, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. საზოგადოების აქტიური ნაწილი, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლების და მაშინდელი მმართველი პოლიტიკური პარტიის, ნაციონალური მოძრაობის მიმართ ოპოზიციურად იყო განწყობილი, მსგავს ანომალიურ გამოვლინებებს არასერიოზულად აღიქვამდა და საკუთარ თავსაც და ოპონენტებსაც დაჟინებით არწმუნებდა, რომ ხელისუფლებაში რუსი ოლიგარქის მოსვლა და საგარეო პოლიტიკური ვექტორის მოსალოდნელი ცვლილება, პოლიტიკური მანიპულაცია და მოჩვენებითი რეალობის შექმნის მცდელობა იყო. თუმცა გასული ათწლეულის განმავლობაში განვითარებულმა მძიმე და დამაზიანებელმა პოლიტიკურმა პროცესმა არაერთხელ ნათლად დაგვანახა რუსეთის საბედისწერო გავლენა ხელისუფლებაში მოსულ მმართველ პოლიტიკურ პარტიაზე და საზოგადოების გათვითცნობიერებულ ნაწილს ახლო წარსულში განვითარებული მოვლენებისადმი პარალელების ძიებისკენ უბიძგა, მაგრამ წარსულის პროცესების გარკვევა და თანამედროვე მოვლენებთან მისი დამაკავშირებელი ლოგიკური ჯაჭვის დანახვა, საზოგადოების კოლექტიური მეხსიერებიდან ათწლეულების განმავლობაში, შეგნებულად ამოგლეჯილი მნიშვნელოვანი ისტორიული და პოლიტიკური პროცესების უცოდინარობის გამო არცთუ იოლი დასანახი და გასააზრებელი გამოდგა.

საქართველო და რუსეთი

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თითქმის ორნახევარი საუკუნე კაცობრიობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენების ფონზე ვითარდებოდა. მე-19 საუკუნის დასაწყისი, როდესაც გაფართოების პროცესში მყოფმა რუსეთის იმპერიამ ქართული სამეფო-სამთავროები თანმიმდევრულად დაიპყრო და მიიერთა, დიდი იმპერიების განვითარების პიკს დაემთხვა, როდესაც იმპერიას, მაშინდელი საერთაშორისო სამართლის და პოლიტიკური წესრიგის თანახმად სრულიად ლეგიტიმური უფლება და საშუალება ჰქონდა პატარა ერების დაპყრობის, სუვერენული, სახელმწიფოებრივი ნიშნების გაუქმების და მიერთებისთვის. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ქართული სამეფო ოჯხის და ელიტების არაერთმა მცდელობამ თუ შეიარაღებულმა აჯანყებამ რუსეთის გავლენისგან თავი დაეღწიათ შედეგი არ გამოიღო და ძლიერი იმპერიის პირისპირ დარჩენილი მებრძოლი ძალების წინააღმდეგ რეპრესიებით და მათი განადგურებით დასრულდა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც რუსეთმა საბოლოოდ განიმტკიცა მდგომარეობა კავკასიაში, საქართველოს თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის და თვითმმართველობისთვის ბრძოლამ ქართველი განმანათლებლების და სოციალური მოძრაობების აქტიურობაში ჰპოვა განვითარება, თუმცა ათწლეულების განმავლობაში ქართული აქტიური საზოგადოების და მე-19 საუკუნის დასასრულს წარმოქმნილი პოლიტიკური პარტიების ბრძოლამ, თუნდაც შეზღუდული ადგილობრივი თვითმმართველობის-ერობისთვის და პოლიტიკური ავტონომიისთვის არათუ შედეგი გამოიღო, პირიქით რუსული იმპერიული ხელისუფლებისგან მას ყრუ კედელი დახვდა აღმართული, რამაც 1905-1906 წლებში რევოლუციური პროცესებს, მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით საქართველოში თითქმის ყველაზე აქტიურ განვითარებასაც კი შეუწყო ხელი, თუმცა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების რეაქცია მკაცრი და დაუნდობელი იყო, რამაც ძალიან მძიმე შედეგები მოიტანა.

ერთი შეხედვით თითქმის უიმედო და გამოუვალი სიტუაცია, კაცობრიობის ისტორიის ერთერთმა ყველაზე დიდმა და დრამატულმა მოვლენამ შეცვალა; 1914 წელს დაწყებულმა დიდმა ომმა, რომელსაც მაშინ „საერთაშორისო ომის“ „ინდუსტრიული ომის“ თუ სხვადასხვა ეპითეტებით მოიხსენიებდნენ და დღეს პირველი მსოფლიო ომის სახელითაა ცნობილი, მთლიანად შეცვალა, ევროპის, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთ ნაწილის პოლიტიკური რუკა და, ასევე, მსოფლიოს ისტორიის განვითარების ხაზი. ომმა, რომელმაც მთელ ევროპას მანამდე წარმოუდგენელი ადამიანური მსხვერპლი, ინფრასტრუქტურის და მეურნეობის ნგრევა მოუტანა, ამასთანავე წერტილი დაუსვა დიდი იმპერიების ეპოქასაც და პატარა, დაპყრობილ ერებს, მათ შორის, საქართველოს თავისუფლების ისტორიული ფანჯარა და შესაძლებლობა გაუხსნა. მიუხედავად საბჭოთა პროპაგანდის მიერ ათწლეულების მანძილზე დანერგილი დეზინფორმაციისა და მითებისა, ქართული პოლიტიკური ელიტა ამ ისტორიულ შესაძლებლობას მომზადებული შეხვდა. საქართველოში ამ დროისთვის ოთხი ძლიერი პოლიტიკური პარტია არსებობდა, რომელთაც თითქმის ორი ათწლეულის პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილება ჰქონდა:

- მე-19 საუკუნის დასასრულის და მე-20 საუკუნის დასაწყისის განმავლობაში განვითარებული პროცესების შედეგად, ყველაზე დიდი და პოპულარული სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელმაც რუსეთისგან განსხვავებით საქართველოში, პარტიული განხეთქილების შემდეგ მთლიანად ე.წ „მენშევიკური“ სახე მიიღო და ბოლშევიკები მარგინალურ უმცირესობაში დატოვა, როდესაც მისი ლიდერი ნოე ჟორდანია ევროპაში სწავლის და მოგზაურობის შემდეგ მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში დაბრუნდა და ევროპული სოციალ-დემოკრატიული პლატფორმა აირჩია, ჩამორჩენილი რუსული „ნაროდნიკული“ პლატფორმის საპირისპიროდ.
- სოციალ-ფედერალისტთა პარტია, რომელიც 1904 წელს ჟენევაში შექმნა ქართ-

ველი ნაციონალისტების ჯგუფმა და პირველად წამოაყენა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის და თავისუფლების საკითხი.

- სოციალ-რევოლუციონერთა პარტია, რომელსაც მისი პოპულარული რუსული ანალოგისგან განსხვავებით, საქართველოში მცირე მხარდაჭერა ჰქონდა.
- ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელიც 1917 წელს შეიქმნა სხვადასხვა ნაციონალისტური ჯგუფების გაერთიანებით.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მალე, იმპერიის ნანგრევებზე დაწყებული სამოქალაქო ომის და ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, ამიერკავკასიაში ხელისუფლებაში მყოფმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც ოსმალეთის და რუსეთის იმპერიების ნანგრევებზე წარმოქმნილ კატასტროფულ პროცესებს შორის აღმოჩნდა, რუსეთისგან ჩამოშორებით, ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნით და ბაქო-ბათუმის სტრატეგიული მაგისტრალის კონტროლის მცდელობით დააპირა ახალ პოლიტიკურ პროცესში პოზიციონირება, რამაც პირველი დაპირისპირება და სისხლიანი შეტაკება გამოიწვია ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციასთან. ადგილობრივმა ბოლშევიკებმა 1918 წლის 10 თებერვალს, ამიერკავკასიის სეიმის გახსნის დღეს, საპროტესტო დემონსტრაციით სასტიკად გააკრიტიკეს ამიერკავკასიის რუსეთისგან ჩამოშორება, რასაც ხელისუფლების მხრიდან მათი დარბევა და მსხვერპლი მოჰყვა. მომდევნო ათწლეულების განმავლობაში ეს ამბავი საბჭოთა პროპაგანდისთვის საეტაპო მოვლენად იქცა.

1918 წლის 26 მაისს, ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის წარუმატებლობამ, რაც ძირითადად სომხეთის და აზერბაიჯანის ურთიერთშეუთავსებლობამ და მუდმივმა დაპირისპირებამ გამოიწვია, მისი დაშლა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიტანა. საქართველოს რეფორმისტულმა ხელისუფლებამ და პოლიტიკურმა ოპოზიციამ, რომლებიც თამაშის მთავარ წესზე თანხმდებოდნენ, რომ საქართველო დამოუკიდებელი, სუვერენული და დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა ყოფილიყო, ახლადშექმნილ საქართველოს თანამედროვე, დემოკრატიულ სახელმწიფოს დიდი წარმატებები მოუტანა, ჩატარდა საქალაქო და ადგილობრივი თვითმმართველობის-ერობის თანასწორი არჩევნები, სადაც საქართველოს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა თუ რელიგიური კუთვნილებისა, სრულფასოვანი მონაწილეობის უფლება ჰქონდა. ერობის არჩევნებში, თბილისის სამაზრო ერობაში, ყარაიაზის ოლქიდან არჩეული იქნა პირველი მუსლიმი ქალი დეპუტატი. 1919 წლის თებერვალში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები სადაც სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გაიმარჯვა და მისი სიით მრავალპარტიულ დამფუძნებელ კრებაში არჩეული იქნა ხუთი ქალი დეპუტატი, რაც იმ დროისთვის დიდად პროგრესული მოვლენა იყო მსოფლიოს მასშტაბით. პირველად გატარდა სასამართლო რეფორმა და შეიქმნა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. გატარდა აგრარული რეფორმა და სხვა რეფორმები რაც ახლადშექმნილ საქართველოს დამოუკიდებელ, დემოკრატიულ სახელმწიფოს არსებობის მყარ ნიადაგს უქმნიდა. საქართველოს ახლად შექმნილმა სახელმწიფომ, მისმა რეგულარულმა არმიამ, სახალხო გვარდიამ და სპეცსამსახურებმა მოახერხეს, 1919 წელს როგორც რუსეთის მოხალისეთა არმიის პირდაპირი თავდასხმის მოგერიება ასევე, 1920 წელს რუსეთის სამოქალაქო ომში გამარჯვებული საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის თავდასხმის მოგერიება, მას შემდეგ რაც მათ აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია მოახდინეს და საქართველოს საზღვრებში შემოიჭრნენ. საქართველოს ხელისუფლებამ შეძლო რამდენიმე ბოლშევიკური აჯანყების ლიკვიდაცია და რუსული პროვოკაციის აღკვეთა, თუმცა 1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს სრულმაშტაბიან ომში, რომელიც თითქმის ექვსი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა საქართველო დამარცხდა და ხელისუფლებას ემიგრაციაში მოუწია წასვლა, რომელსაც მიუხედავად საოკუპაციო ხელისუფლების მცდელობისა, კაპიტულაცია არ გამოუცხადებია და აგრესორისთვის ხელისუფლება ლეგიტიმურად არ გადაუცია.

„თავისუფლად სუნთქვის“ ეპოქაში

„სამი წლის ბორკილების ტარების შემდეგ, საქართველოს მუშები და გლეხები განთავისუფლდა მოღალატე მენშევიკების ტირანიიდან. 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქში აფრიალდა წითელი დროშა. 25 თებერვალს დიდი ხნის დატანჯულმა და ყოველმხრივ შევიწროებულმა მუშებმა პირველად თავისუფლად ამოისუნთქეს.“

ასე ამცნობდა ნახევარ საქართველოს ახალი რეალობის დადგომას გაზეთი „კომუნისტი“ 1921 წლის 4 მარტის ერთერთი პირველი ნომრით, რომელიც საქართველოს დედაქალაქში საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო წითელი არმიის შემოსვლის შემდეგ გამოვიდა.







1921 წლის მარტის შუა რიცხვებში, გურიის მისადგომებთან საქართველოს და საბჭოთა რუსეთის ჯარებს შორის ბოლო საბრძოლო შეტაკება მოხდა. ამ დროს თბილისში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების სასახლეში ახლადშესულმა რევკომმა, დედაქალაქში დარჩენილი დამფუძნებელი

კრების რამდენიმე დეპუტატი დაიბარა და დასავლეთ საქართველოში გადასულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან მოლაპარაკებისთვის შუამდგომლობა სთხოვა. სასახლიდან გამოსული დამფუძნებელი კრების დეპუტატი გერონტი ქიქოძე თვითგამოცხადებული მთავრობის ახალი საინფორმაციო-პროპაგანდისტული პოლიტიკის პირველი ნაბიჯის მომსწრე გახდა:

„...დავინახეთ, რომ დიდ ფიცარზე გამოფენილი იყო დასახიჩრებული გვამების ფოტოსურათები, იმ ძალმომრეობის ილუსტრაცია, რომელსაც მენშევიკების გვარდიელები და მილიციონერები კომუნისტებზე ახდენდნენ, ეს იყო აშკარა მოწოდება შურისძიებისკენ.“

1921 წლის 11 აპრილს საქართველოს რევკომის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე „განთავისუფლებულ“ ქუთაისში ჩავიდა, მას ქუთაისის რევკომის თავმჯდომარემ დავით ლორთქიფანიძემ და ადგილობრივმა ბოლშევიკებმა „მენშევიკების მიერ ნაწამები და დახოცილი“ ცნობილი ბოლშევიკი ტერორისტის, პავლე მარდალეიშვილის და საბჭოთა რუსეთის დაზვერვის აგენტის, პოლკოვნიკ ნიკოლოზ ივანოვის დამწვარი გვამების ფოტოსურათები უჩვენეს:

„მეთორმეტე საუკუნის ინკვიზიცია ამასთან ხომ აჩრდილია, სუსტი აჩრდილი! - სთქვა ამხ. ფილიპემ ნელი ხმით“ წერდა გაზეთი „კომუნისტი.“

საქართველოს რევკომის თავმჯდომარეს არ გამოჰპარვია ასეთი მტკიცებულებების მნიშვნელობა, რომელიც „სამარცხვინო ბოძზე გააკრავდა“ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს და პარტიულ ამხანაგებს უთხრა, რომ ასეთი მასალის „დახურულ კარებში“ დატოვება შეუძლებელი იყო და განკარგულება გასცა ფოტოები გაედიდებინათ და ქუჩებში გამოეკიდათ, რათა ხალხს კარგად დაენახა „ჯალათი მენშევიკების ინკვიზიტორობა.“ მახარაძის განკარგულება დაუყოვნებლივ იქნა შესრულებული და ქუთაისის და თბილისის ცენტრალურ ქუჩებში თვეების განმავლობაში იყო გამოფენილი დაღუპული ბოლშევიკების გადიდებული ფოტოები.

„ივანოვ-მარდალეიშვილის საქმე“ საოკუპაციო ხელისუფლების პირველი და მძლავრი პროპაგანდისტული აქცია იყო, რომლის უკან რეალურად დამოუკიდებელი საქართველოს და საბჭოთა რუსეთის სპეცსამსახურების მძიმე და დაუნდობელი ბრძოლის ეპიზოდი იდგა, თუმცა ქართველი ბოლშევიკები დიდი ხნის განმავლობაში უარყოფდნენ ამას და დაღუპულებს „უდანაშაულო მსხვერპლად“ წარმოაჩენდნენ, რომლებიც წინა ხელისუფლების სისასტიკეს მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით ემსხვერპლნენ.

ოკუპაციის შემდგომ, 1921 წლიდან 1924 წლის ჩათვლით მომხდარი ანტისაბჭოთა აჯანყებები, საზღვარგარეთიდან „ევროპელი კაპიტალისტების დახმარებით ორგანიზებულ მენშევიკურ ავანტურად და რევანშად“ იქნა გამოცხადებული ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დევნილი ხელისუფლება „ქართველი ხალხის დაუძინებელ მტრად,“ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ბოლშევიკური პროპაგანდისტული საშუალებები ბრალს სდებდნენ:

- საქართველოს რუსეთისგან ჩამოშორებაში.
- ქვეყნის დასავლელი კაპიტალისტებისთვის მიყიდვაში.
- აჭარის თურქეთისთვის გადაცემის განზრახვაში.
- საბჭოთა რუსეთთან ომის გაჩაღებაში.
- უცხო ქვეყნების ჯარების შემოყვანაში.
- საქართველოს ეროვნული განძის გატაცებაში.

და რაც მთავარია მათ „ქართველი მუშების და გლეხების ჯალათად“ აცხადებდნენ, რადგან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სამი წლის განმავლობაში საბჭოთა რუსეთის მიერ დაფინანსებული და ორგანიზებული არაერთი ბოლშევიკური აჯანყება სასტიკად ჩაახშო და ბევრი „მოსკოვის ოქროთი მოსყიდული აგენტი“ დააპატიმრა ან ქვეყნიდან გააძევა.

საინტერესოა ასევე გერონტი ქიქოძის მოგონება, როდესაც ის დამფუძნებელი კრების ყოფილ სასახლეში საქართველოს რევკომის წევრ მამია ორახელაშვილს

შეხვდა და ორახელაშვილმა საბჭოთა რუსეთთან ომის დაწყებაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია დაადანაშაულა:

„ნოე ჟორდანიას უგუნური პოლიტიკის წყალობით ამდენი ჯანსაღი ჭაბუკი გაიჟლიტა, როდესაც კოჯრის სანგრებში ჩავიხედე და შიგ ახლად წვერ-ულვაშ აშლილი ჯარისკაცების და იუნკრების გვამები დავინახე კინაღამ გული შემიღონდაო.“ უთხრა გერონტი ქიქოძეს ორახელაშვილმა.

დაუსრულებელი ოკუპაცია

მე-20 საუკუნის 1920-30-იან წლებში ოკუპირებულ საქართველოში წინააღმდეგობის ფრონტის, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების განადგურების, მეორე მსოფლიო ომის უმძიმესი შედეგების და სრული საინფორმაციო ვაკუუმის პირობებში, საბჭოთა საქართველოში დაბადებული ახალი თაობების მეხსიერებიდან საბოლოოდ გაქრა და წაიშალა როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის ცნება, ასევე თავისუფალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი კულტურის ელემენტები.

1980-იანი წლების ბოლოს განვითარებული პროცესების და საბჭოთა რუსული იმპერიის დაშლის შემდეგ 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლება და პირველი პრეზიდენტი გამსახურდია, ზუსტად ისეთივე გამოწვევების და რეაქციული რუსეთის რევანშის პირისპირ დადგა, რა პროცესებიც თითქმის ერთი საუკუნით ადრე ვითარდებოდა, თუმცა მეფის რუსეთისგან განსხვავებით, საბჭოთა რუსული ტოტალური წნეხის და კარჩაკეტილობის პირობებში გაზრდილი თაობებიდან გამოსულ პოლიტიკურ ლიდერებს ვერ აღმოაჩნდათ ხანგრძლივი პოლიტიკური ბრძოლის და წინააღმდეგობის უნარი, რასაც მოსკოვიდან ორგანიზებული და ადგილზე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მიერ იარაღით მხარდაჭერილი სამხედრო გადატრიალება, კანონიერი ხელისუფლების და პრეზიდენტის დამხობა მოჰყვა.

1992 წლის 8 იანვარს რუსეთის ორგანიზებული შეიარაღებული გადატრიალების შემდეგ პირველად გამოსული გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 8 იანვრის ნომერი, ე.წ სამხედრო საბჭოს სახელით, მსგავსად შვიდი ათწლეულის წინანდელი მოვლენებისა აცხადებდა, რომ – „დიქტატორული რეჟიმი დამხობილია“ და ხალხის „თავისუფლების“ სახელით მანიპულირებდა. მსგავსად საბჭოთა რუსული ოკუპაციისა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ საბჭოთა რუსეთი არაფერ შუაში იყო და „მჩაგვრელი მენშევიკური ხელისუფლება“ ქართველმა მუშებმა და გლეხებმა დაამხეს, არალეგიტიმური და სამხედრო გადატრიალებით მოსული ხელისუფლებაც თითქმის მთელი 90-იანი წლების განმავლობაში უარყოფდა სამხედრო გადატრიალების რუსეთთან კავშირს და მას პრეზიდენტ გამსახურდიას „დესტრუქციულ მოქმედებების საპასუხო მოვლენად“ ასაღებდა.

მიუხედავად პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან პრორუსული კურსის ცვლილებისა და პირველი ნაბიჯების გადადგმისა დასავლური ინტეგრაციის გზაზე, საქართველო მაინც არშემდგარ და წარუმატებელ ქვეყნად რჩებოდა. სიტუაცია მკვეთრად შეცვალა 2003 წელს მომხდარმა მშვიდობიანმა „ვარდების რევოლუციამ“ რომლის შედეგადაც ხელისუფლებაში მოსულმა რეფორმისტულმა გუნდმა რეალური გახადა საქართველოს სუვერენული უფლებები, რეფორმებთან ერთად მკვეთრი ნაბიჯებით დაიწყო რუსული გავლენისგან თავის დაღწევა და დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაცია რეალისტური გახადა, რასაც საპასუხოდ 2008 წლის რუსული აგრესია და სრულმასშტაბიანი ომი მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მოახერხეს წინააღმდეგობის გაწევა, რასაც მალე დასავლეთიდან რეაქცია, ომის შეჩერება მოჰყვა და რუსეთმა ვერ მიაღწია მთავარ მიზანს, საქართველოს დედაქალაქის

საქართველოს რესპუბლიკა

საგანგებო გამოშვება • 8 იანვარი, 1992 წელი • ფასი 20 კაპიკი

ერის გადარჩენის ერთადერთი გზა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს განცხადება

საქართველოში არეზღუდნა ზეციდ ბანდიტიზმის დეზორგანიზაციული ფენომენი, დადგა ჭეშმარიტების დროტაგორიული რეფერი. უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები, შეზღუდულად ხელდება ინფორმაციი ფიზელი.

ოკუპაციის ნარეკლებიდან ბრალეულის მოფოფიბებიან, რომ ხელისუფლებას ვითარების ნორმალიზების მიზნით ეროვნებიანი ფიალი-ბი საკუთარ ხელშინ და ინსიტუციონალიის თვალსაჩინო ნარეკლებზენლებთან, შედეგი ბეჭ ბაკოიოლ.

კიეზზოიანლბის ბრალანებით მისა, ეროვნული ლანიეიბა რამდენჯერმე ცეცხლი ხალხსნა ბუნიდნიან ოსსალეთიდა, დაიდეგა. სმანი.

ერიბოოდ ეროვნული ბრძა ერის გადარჩენისა და ერეიანი ფუფიფლის დაფარანიბა — ანსაბუდი რეფერი დაბრუნება ფეიბანლეთლი ბზეიბ.

საკანონმდებლო ფიქტატორული რეფერეს, ფაბოლიბის ფეიანი ეიბანეს ბეკანონმდებლობა ფეფიფიკატორული ინსტიტუტების ჩამოუყალიბება და ერეიანის ეფექტ ბარალანიეიბის ფეიანეს. ალნეფიფლეთანა ნაწილეთბის უფლება აქვს საქართველოში მოქმედ ეფექტ ბოეფიდეტერ პარტიათა და ორგანიზაციათა, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, ჯგუფიდან ეფრემ პირეს, რომელთა მოქმედებაა დარბაზი ბრანაუფრინდიდან ჩაფიფლა.

1992 წლის 8 იანვრის 0 საათიდან ქალაქ თბილისში ცხადდება საგანგებო მდგომარეობა.

საგანგებო სამეფო ოქმედენარეობს რეზუბლიკის საბრძოლველიან და ადმინისტრაციულ ორგანოებს და ადგილებს მათ საგანგებო მდგომარეობის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე ხელი შეუწყონ მშვიდობის დამყარებას და ეთანხმება ხელახლიანის.

მოიარეობის ეანანტეტის ჩამოყალიბებისთანავე საგანგებო სამეფო ითხანინ უფლებამოსილებას და ძალაუფლებას ეკისრებენ მოიარეობა.

საგანგებო სამეფოს სახელით

თენგიზ კიტოვანი,
ზურაბ ოსიაშვილი

დიქტატორული რეჟიმი დამსობილია

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი

1992 წლის 3 იანვრიდან პრეზიდენტ გამსახურდიას მიერ ფეზირარებული ხელისუფლება დამბილია. საქართველოში ძალაუფლებას ხელში იღებს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამეფო. სამხედრო სამეფოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით შეიტრუ კინსტიტუციის მოქმედება და დაიარაგა პარლამენტი.

საქართველოს სახელმწიფო პრეზიდენტ ეფედა ხატიეეკ ეფრემ ილია ჭავჭავაძეს.

ეროვნულ-ნაციონალურ ფრონტის ეფედა ბატონ ეფენა ფოფხიძეს.

ეროვნულ პარტიებს მიეცათ წინადადება შექმნან საკონსულტაციო დაბაზა, რომელიც მოამზადებს ახალ საპარლამენტო არჩევნებს და შეიმუშავებს საქართველოს პოლიტიკური განვითარების პროგრამას. დარბაზში მოდა-ფიფლეთ ეფენ ეფენ ეფენ

საქართველო კვლავ მჭიდროდ დაუკავშირა რუსულ გავლენებს.

საქართველოს ბოლო საუკუნის ტრაგიკული ისტორიის გამოცდილებით ქართული ოცნების ხელისუფლებამაც აქტიურად დაიწყო წინა მთავრობის დევნა და დემონიზება. მნიშვნელოვანია, რომ მას შემდეგ რაც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს თანამედროვე სახელმწიფოს ჩაეყარა საფუძველი, მისი სამი გამორჩეული პოლიტიკური ლიდერი:

საააკაშვილი დამხობილია!

ვის და მიეცა ის დიდი გადაწყვეტილება, რაც დღეს მოხდა. მხედველობაში მყავს ჩვენი საყვარელი საქართველოს მოქალაქეები, ქართველი ... დაფუძნებულმა ჩვენმა ნდობამ გაგამარჯვებინა".

2012 წლის 1 ოქტომბერი

მიდა, წადი!!!

საქართველო თავისუფლდება!!

ბენაღი ზიუბანოვი: ბეინდა ბეწაძეს საქართველოსი

ჩვენი წინაპრების ათასობით სიცოცხლე შეწირა გადამთიელთა უღლისაგან მოძმე მართლმადიდებელი ქართველი ხალხის განთავისუფლებას. ჩვენთვის დღესაც არ არის სულერთი მისი ბედი. ამიტომ ყოველთვის მწარედ გვტკიოდა იმის გამო, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოსა და რუსეთის გზები ასე ძლიერ დაშორდა ერთმანეთს.

ჩატარებული არჩევნების შედეგები იძლევა იმედს, რომ ეს გაუცხოება დაძლეული იქნება. გვიხდა გვნამდეს საქართველოსი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თავისუფლებისთვის საუკუნეთა მანძილზე ბრძოლით შობილი ქართველი ხალხის ეროვნული სიბრძნე შეაძლებინებს მას ღირსეულად გამოვიდეს ახლანდელ გამოცდათა ზოლიდან.

ჩვენ მხარს ვუჭერთ, რომ მშვიდობიანად და შემოქმედებითად განვითარდეს ქართული სახელმწიფოებრიობა, რომელიც გაითვალისწინებდა როგორც გასული ათწლეულების ყველა სიძნელესა და შეცდომას, ისე იმ საუკეთესოსა და ნათელს, რაც იყო საქართველოს ცხოვრებაში და რუსეთთან მის ურთიერთობებში.

ვიმედოვნებთ, რომ არჩევნების შედეგებით განახლებულ საქართველოში ჩამოყალიბდება ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოებრივი სისტემა, რომელშიც თავის ადგილს დაუბრკოლებლად დაიჭერს საკუთარი სამშობლოს კეთილდღეობის მისაღწევად დაუღალავად და მშვიდობიანად შრომისათვის მზადყოფი ყველა პოლიტიკური ძალა.

გ. ა. ზიუბანოვი,
რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე
2012 წლის 3 ოქტომბერი

მისალოცი განცხადება

საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია მხურვალედ ულოცავს კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერსა და სულის-ჩამდგმელს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, კოალიციაში შემავალი პარტიების ლიდერებს, მათი ორგანიზაციების წევრებს და სრულიად საქართველოს მოსახლეობას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბრწყინვალე საერთო–სახალხო გამარჯვებას, რის შედეგადაც გაჩნდა საქართველოს გამთლიანებისა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების იმედი.

ძვირფასო მეგობრებო!

საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია კვლავ გიცხადებთ თანადგომას და მზად არის კოალიციასთან საქმიანი თანამშრომლობისთვის ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სეკპ–ის სახელით

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი:
ნუგზარ აპალიანი
ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი მდივანი:
ფიფილი სიყვაბაშვილი
2012 წლის 3 ოქტომბერი

ნოე ჟორდანია, ზვიად გამსახურდია და მიხეილ სააკაშვილი, მიუხედავად ერთმანეთისგან მსოფლმხედველობრივი და პოლიტიკური განსხვავებებისა, მთავარ და ყველაზე მნიშვნელოვან საკითხში, რასაც რუსული გავლენისგან თავის დაღწევა და დამოუკიდებელი პოლიტიკური დღის წესრიგის წარმოება ჰქვია, ერთი მიმართულებით მიდიოდნენ და სამივე მათგანის მიმართ რუსული იმპერიული პოლიტიკის რეაქციაც ერთგვაროვანი იყო. ნოე ჟორდანია რუსული საოკუპაციო არმიის მიერ განდევნილი იქნა საქართველოდან და ემიგრაციაში გარდაიცვალა. ზვიად გამსახურდია მოსკოვიდან ორგანიზებული სამხედრო გადატრიალების შედეგად ჯერ განდევნილი და შემდეგ გაურკვეველ ვითარებაში ფიზიკურად იქნა განადგურებული. მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ხელისუფლებაში რუსული გავლენის ჯგუფების მოსვლის შემდეგ, პოლიტიკური დევნის გამო იძულებული გახდა საქართველოდან წასულიყო და წლების შემდეგ სამშობლოში არალეგალურად დაბრუნდა, აბსურდული ბრალდებებით იქნა დაპატიმრებული და მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას დღემდე საფრთხე ემუქრება.

ბოლო თვეებში რუსეთის მიერ უკრაინაზე თავდასხმამ, მისი ოკუპაციის და იმპერიის აღდგენის მცდელობამ მიზანს ვერ მიაღწია, უკრაინის შეაიარაღებულმა ძალებმა არათუ დედაქალაქ კიევზე თავდასხმის მოგერიება მოახერხეს, კონტრშეტევაზე გადავიდნენ და მეთოდურად ათავისუფლებენ რუსეთის მიერ ოკუპირებულ უკრაინის სუვერენულ ტერიტორიას. რუსული არმიის დიდმა დანაკარგებმა და დასავლურმა სანქციებმა იმედი გააჩინა, რომ ისტორიულად გამოცდილ, დიდ ომებში რუსული სამხედრო მანქანის მარცხი იმპერიის საბოლოო კოლაფსს გამოიწვევს და მისი გავლენის ქვეშ მყოფი და ოკუპირებული ქვეყნები სამუდამოდ მოიპოვებენ თავისუფლებას. ■

ბუბა კუდავა

ფერადი ისტორიები

სტერეოტიპული და სუბიექტური დამოკიდებულებები, ისტორიის შემეცნების დაყვანა ფაქტების, სახელებისა და თარიღების სწავლამდე, ისტორიული პროცესის გაუაზრებლობა, ზოგადი, მათ შორის საერთაშორისო კონტექსტის გაუთვალისწინებლობა, საქართველოს წარსულის ლირიკულ-ჰეროიკული აღქმა, ისტორიის მითოლოგიზება, ცნებების, მოვლენებისა და პირების საკრალიზება, ხედვების ჩამოყალიბება დადებითი / უარყოფითის ჭრილში, ალტერნატიული ვერსიების მიუღებლობა, პიროვნების როლის გადაჭარბება, ადგილობრივი წყაროების მონაცემებისადმი უპირობო ნდობა, პროტესტი კლიშეების გადასინჯვის პროცესისადმი, ისტორიის უინტერესო და უსარგებლო საგნად წარმოჩენა... - ეს იმ წინაღობებისა და გამოწვევების ნაწილია, რომლის წინაშეც დღეს საქართველოს ისტორიისადმი ჩვენი სიყვარული აღმოჩნდა.

ამას გარდა: სახენი და საქმენი ისტორიაში ყოველთვის როდია ისე თეთრი, ძველი მემატიანენი თუ თანამედროვე სწავლულნი რომ წარმოგვიჩენენ. არც სხვა რიგის ამბებია ისეთი შავი, როგორადაც იგივე მეისტორიენი გვიხატავენ. ხშირად ჩვენც მივყვებით ამ თეთრ-რუხ სქემას და ვამართლებთ ისტორიის რჩეულთ და ვამტყუნებთ ძველ და ახალ კაცთაგან გაკიცხულთ.

არადა, ისტორია, ზოგადად ცხოვრებისა და სამყაროსი არ იყოს, გასაოცრად უხვფერია. ამ რუბრიკის სათქმელიც ეს გახლავთ.

მაშ, დავიწყოთ - „ფერადი ისტორიები“.

აქ დროდადრო წლობით ნაგროვებ ნაირნაირ, მრავალნაირ, ნაირფერ ამბებსა და ფერად-ფერად ნაფიქრალ-საფიქრალებს გაგიზიარებთ.

ბუბა კუდავა

აქა ამბავი დემნა უფლისწულისა

სამეფო საჭადრაკო დაფასთან

გიორგი III-ს, ბედისა თუ ისტორიის ირონიით, უმთავრესად თამარ მეფის მამობით იცნობენ. არადა ერთ დროს ვერავის წარმოედგინა თამარის თამარობა, რადგან გიორგის გიორგობის ჯერი იყო და შინ თუ გარეთ - სამეფო ოჯახში, სამეფოს საზღვრებში თუ იმის იქით, სულ სხვა, მაშინდელი საზომით დიდ-დიდი საფიქრალებისა და გამოწვევების ჟამი მოწეულიყო.

გამარჯვებებით ცნობილი გიორგის ყველაზე დიდი მიღწევა ალბათ მაინც სამეფო გვირგვინის დადგმა გახლდათ, გვირგვინისა, რომელიც მას არ ეკუთვნოდა, რამეთუ უფროსი ძმისა იყო და შემდგომ კიდევ - ძმისწულისა. გამეფება იქცა სწორედ იმ უმთავრეს გამარჯვებად, რამაც შემდგომი გზები გაუკაფა. თუმცა წინ კიდევ არაერთი სახელოვანი დღე იყო და მორთმეული თუ მოპოვებული არ იკმარა და კაფა და კაფა თავადაც - ბრძოლა-ბრძოლითა და გათვლა-გამოთვლებით.

მისი ბიოგრაფიიდან კარგად ჩანს, რომ ეგზომ განდიდებული მეფის წარმატების მთავარი საიდუმლო მაინც ესა ყოფილა: ვერასოდეს აბრუებდა გამარჯვებები! მუდამ ფხიზლად იყო და ცხოვრებას ფიქრსა და განსჯაში ატარებდა. ან კი როგორ მოდუნდებოდა, როცა მთავარი საფიქრალი იმ უმთავრესი გამარჯვებიდანვე თან დაჰყვა. ამ საფიქრალს დემნა ერქვა - დემნა ბატონიშვილი, ჰალალი ძმის მხოლოდშობილი ძე.

გიორგი III,
ფრესკა ვარძიიდან

აბა, გავიხსენოთ ამბები, როგორც გვისწავლია: დავით აღმაშენებლის მემკვიდრეებში სულ შავ კატებს ურბენიათ. ჯერ იყო და, უფროსმა ძემ - დემეტრე I-მა თვალები დათხარა უმცროს ძმას ვახტანგს (შეცდომით ცვატათი რომ ვიხსენიებთ). შემდეგ უკვე დემეტრეს ოჯახში გაჩენილა შფოთი და ერთურთის ვერატანა-ვერგატანა. უფროსი დავითი ურჩი და თავნება იყოო, უმცროსი - მამის მორჩილი. მშობელი გიორგის გამოარჩევდაო (არადა ტახტი ოდითგან უფროსს ეკუთვნოდა). აჩქარდა დავითი, აიძულა მამა ბერად შემდგარიყო და გვირგვინს დაეუფლა. 6 თვეში გარდაიცვალაო. დარჩა მცირეწლოვანი ძე - დემეტრე / დემნა ბატონიშვილიო. დაბრუნდა უფროსი დემეტრე და თანამოსაყდრედ არა დემნა, არამედ გიორგი დაისვა - „ძე ტკბილი, შემგუარი მამისა“. დემეტრე I მალევე გარდაიცვალაო და დარჩა მეფობა და შეფობა გიორგი III-საო. წამოიზარდა დემნა. გაძლიერებულმა ორბელებმა წააქეზეს და ამბოხი მოაწყვეს უფლისწულის გამეფების საბაბითო. დამარცხდა ჯანყი და დაისაჯა ტახტის მოსურნე ჭაბუკი. ამის შემდეგ უძეო გიორგიმ მეფობა თავის ასულს - თამარს დაუტოვაო.

ამჯერად არ შევეხოთ საქართველოს სამეფოს ისტორიაში ყველაზე ხანმოკლე მეფის მოულოდნელ თუ მოსალოდნელ გარდაცვალებას (სომხური წყაროებიდან ერთი თუ ეჭვობს, მეორე ამტკიცებს, რომ დავით V მოკლეს. ქართველი მემატიანენი კი დუმილის უფლებას ინარჩუნებენ). სხვა ლეგიტიმური კითხვები დავსვათ: დემეტრე თუ ბერად აღიკვეცა, როგორღა ბრუნდება ტახტზე? ბერის ჩოხა გაიხადა და კვლავ სამეფო კაბა მოირგო? იმ დროში და იმგვარ სამეფოში? ცოტა დაუჯერებელია, ღმერთმანი. და თუ ბერობაზე უარი არ უთქვამს, რაღა უფლება ჰქონდა თანამოსაყდრის დასმის, ახალი მეფის კურთხევისა თუ სეფე-სიტყვის თქმის? მეორეც: რომც მობრუნებულიყო - ბერისკაცად თუ ერისკაცად, გიორგის დასმა უკანონობის დაკანონების მცდელობაა და დინასტიურ პრინციპებს სრულიად ეწინააღმდეგება. გამოდის, რომ მეფესა თუ მეფეყოფილს უფლება ჰქონია მეფობა სურვილისამებრ გადაეცა ნებისმიერი მემკვიდრისთვის. ეს ხომ თავდაყირა აყენებს სამეფო გვარში უფროს-უმცროსობის პრინციპს? ისიც უნდა ითქვას, რომ დემეტრეს მობრუნებას ცალსახად არც წყაროები ადასტურებენ.

მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ გიორგის გამეფება ფორმალურად დავით აღმაშენებლის ანდერძისეულ, ძმიდან ძმაზე გადაცემის პრინციპს დაეყრდნო. მაგრამ განა რა ძალა უნდა ჰქონოდა მამის იმ ანდერძს, რომელიც თავად დემეტრე I-მა არ აღასრულა (ძმას მეფობა გადაულოცა კი არა, ისტორიიდან გააქრო ყრმობაშივე)? და რაც მთავარია, სხვა მკვლევართა მსგავსად, მეც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არავითარი მსგავსი ანდერძი ქვეყნის ცენტრალიზაციისთვის დღედაღამ მებრძოლ დავითს არ დაუწერია. ყალბი გახლავთ ეს დოკუმენტი, რომელიც გვიანდელი ხელნაწერების სახით შემოგვრჩა და მის სიყალბეზე არაერთი ლოგიკური არგუმენტი არსებობს.

ვფიქრობ, სრულიად ცალსახაა: ერისა და ბერის თვალში რაცუნდ მოელამაზებინათ გიორგის ტახტზე ასვლის ამბავი, აქტი მაინც უსამართლო და უკანონო გახლდათ. გვირგვინი დემნას ეკუთვნოდა, გარდაცვლილი მეფის - დავით V-ის ვაჟს. დავითის უმცროსი ძმის - გიორგი III-ის გამეფებით დემნა ვერაფრით ვერ დაკარგავდა ლეგიტიმურ უფლებებს. თუმცა, ქოთნის ყურისა არ იყოს, კი ბატონო, ორივე მხარე იქიდან მიაბამდა, საიდანაც ერჩივნა, მაგრამ ხომ არსებობს უზოგადესი დინასტიური პრინციპები, რომლის თანახმად სამეფო ხაზს უფროსი შტო აგრძელებს?

სულ მცირე ჰასაკისა კი იყო ეს ჩვენი დემნა, მაგრამ მერე რა, მონარქიის ისტორიას მდიდარი გამოცდილება გააჩნია - როგორ მართოს ქვეყანა დროებით, უახლოესი გარემოცვის დახმარებით, ვიდრე ყრმა ჭაბუკობამდე მიაღწევდეს. გავიხსენოთ, რომ ქართველი ორბელების გასომხებული შთამომავალი - სტეფანოს ორბელიანი ამასვე გვიმტკიცებს საგვარეულო მატიანეში - დროებითი მმართველი გახლდათ გიორგი, ვიდრე დემნა ჰასაკად მოიწეოდაო. თუკი ამ ცნობას ნაკლებსარწმუნოდ მივიჩნევთ, ის მაინც საინტერესოა, როგორც მართვის სამართლიანი მოდელის წარმოსახვის მცდელობა.

მოკლედ, დემნასი იყო ის გვირგვინი, გიორგის რომ ედგა თავზე - სულ ერთია, მამამ დაუტოვა თუ თავად მოირგო. და ეს ყველაზე უწინარეს სწორედ მეფე გიორგიმ უწყოდა. და როგორ შეიძლება, ეს დავიწყებოდა, დღენიადაგ არ ხსომებოდა და ყურადღება წამით მაინც მოედუნებინა?

რად უნდოდა დიდი მისნობა და ფილასოფოსთა ბრძნობა, რომ სადმე ოდესმე რამე მოხდებოდა. ან ბიძა მოიშორებდა ძმისშვილს, ან ძმისწული დაიბრუნებდა მამის გვირგვინს. ან შეეცდებოდნენ მაინც. ერთიც შესაფერის ჟამს ჩაუსაფრდებოდა და მეორეც რაღაცას დაელოდებოდა. ასეთია სამეფო კაცთა ბუნებრივი ინსტიქტები.

რა ხდებოდა დემნას თავს - დაობლებიდან ამბოხებამდე, ბევრი არაფერი ვუწყით. ვიცით, რომ ივანე ორბელთან დამოყვრებულა - მისი ქალიშვილი შეურთავს ცოლად. უცნაურია, რას გაუგებ ამ ფეოდალურ ტვინებს: ივანეს, ამირსპასალარსა და გიორგი III-ის კარზე ყველაზე გავლენიან დიდებულს, სომხური წყაროები დემნას მამის - დავით V-ის მკვლელობას აბრალებენ - გიორგის თანხმობითა თუ მისი დავალებით გაისტუმრეს იმქვეყნადო და დახეთ, წლების შემდეგ როგორ შეცვლილიყო ვითარება - ივანე და დემნა უკვე მოყვარ-მოკავშირენი გამხდარან.

გიორგი III და თამარი, ფრესკა ყინწვისიდან

არის ცნობა, რომ დემნა თავდაპირველადვე ორბელებმა „იშვილეს“. ამ აქტით ჩადენილი ცოდვის საზღაურად თითქოს „მოწყალებაც“ მოიღეს, გიორგის წინაშე გაწეული სამსახურისთვის უფლისწულის აღზრდის უფლება და პატივიც ირგუნეს, მომავალი საფრთხეების (დემნასგან თუ გიორგისგან) განეიტრალების ბერკეტიც შეინარჩუნეს და რაც მთავარია, ამ მეურვეობით სამომავლო „კოზირიც“ დაიტოვეს. ეს აკი გიორგისაც აძლევდა ხელს - ტახტის მოცილე დიახაც, მოკავშირის კარზე უნდა გაზრდილიყო და არა ოპოზიციურ ბუნაგში.

როცა დემნას დაწინდვის დრო დადგებოდა, მეფისა და ამირსპასალარის ინტერესები აქაც დაემთხვეოდა ერთმანეთს: ოჯახში დემნას დატოვებით, აწ უკვე სიძის სტატუსით, უფლისწულზე კონტროლს კვლავ მოკავშირენი შეინარჩუნებდნენ. თუმცა მეფესა და ფეოდალს განსხვავებული სარგებელიც ექნებოდათ: სიმამრს სიძის გამეფების პერსპექტივა ეძლეოდა (უძეო გახლდათ მეფე გიორგი!), გიორგის კი - კონკურენტის დამცრობა-დაკნინების საშუალება: სამეფო კაცს არასამეფო გვარის ქალი მოჰყავდა, რითაც სამეფო ტახტისკენ მიმავალი გზა საბოლოოდ თუ არ ეკეტებოდა, დიდად უბრკოლდებოდა მაინც.

ინტერესები მხოლოდ ბიძასა და სიმამრს როდი ჰქონდათ. არც დემნას წაუგია ამ მოყვრობით. მძლავრი ზურგით იმყარებდა პოზიციებს - იგი ხომ თავიდან მოშორების მუდმივი საფრთხის შიშით ცხოვრობდა. ზურგის ქარსაც იძენდა, სამეფო ტახტისკენ გზის საკვალად.

თქმა არ უნდა, უთქმელად უხვდებოდნენ ბობოლა პოლიტიკური მოთამაშეებიცა და დაჩაგრულ-დამცრობილი ბატონიშვილიც ერთურთს მიზნებსა და ფიქრებს, მაგრამ პოლიტიკაც ხომ ეგაა - სადამდეც თანხვდება ინტერესები, ინაწილო ბერკეტები და გავლენები. დარწმუნებული ვარ, გადასარევად უწყოდა გიორგიმაც - რომ რევანშის წყურვილი კლავდა და ოდესმე მეფობისკენ გაიწევდა დემეტრე უმცროსი. რომ არ მოესურვებინა, ეგ უფრო იქნებოდა საკვირველი, მით უფრო, მას შემდეგ, რაც საბოლოოდ გაირკვა: უძეოდ ასრულებს ცხოვრებას გიორგი მეფე.

საქმეც ისაა, რომ არც არჩევანი ჰქონია იმ სვეუბედურ, ობოლ და საკუთარი სტატუსის ტყვე უფლისწულს. ან მას უნდა ემარჯვა, ან ბიძას. ან გვირგვინი, ან სიკვდილი. მესამე გზა არ არსებობდა - არც სამშობლოში და არც დევნილობაში. ერისკაცობაში არ არსებობდა, თორემ ბერში და მონასტერში - კი ბატონო. თუმცა, იქაც საკითხავია, დაგაცლიდა კი ვინმე უშფოთველ ცხოვრებასა და სულზე ზრუნვას?

თავიდანვე რად არ მოიშორა ბაგრატოვანი ყრმა გიორგი III-მ? ან შემდგომ, მალევე? ზემოთ ითქვა, რომ ორბელების ფაქტორი იქნებოდა - დავით V-ის მოშორებაში დამსახურებული ოჯახის ინტერესებს საკადრისი ანგარიშგაწევა ეგების. რასაკვირველია, ორბელების ძლიერი სახლეულიც საგანგებოდ იზრუნებდა დემნას უსაფრთხოებაზე (ბობოლა ოჯახისთვის იგი ხომ ოქროს ბერკეტი იქნებოდა შიდაპოლიტიკური პაექრობებში!). შესაბამისად, მეფისთვისაც კი არ იქნებოდა ადვილი უფლისწულის მოკვდინება. თან ეს არ ჩაივლიდა ორბელებთან დიდი დაპირისპირების გარეშე. კიდევ ერთიცაა: ყრმის მოცილება, გინა ჭაბუკისა, გიორგის ისედაც შელახულ მორალურ სახეს საკმაოდ დააზიანებდა და ვინ უწყის, რა რეზონანსი და რა საბედისწერო შედეგები ჰქონოდა სამომავლოდ. ასეთი ჰარიფი არ გახლდათ მეფეთ-მეფე. კარგად ხვდებოდა, რომ კონკურენტის ჩამოცილებას ლეგიტიმური მიზეზი და მორალური უპირატესობის მოპოვება სჭირდებოდა.

საფუძველშივე რად არ ჩაშალა საშიში პოლიტიკური პროექტი - დემნა-ორბელთა შორსგამიზნული ჯვარისწერა გიორგი III-მ? განა არ შეეძლო, არ მიეცა დასტური და კურთხევა და თავშივე ებრძანა სეფე-უარი? არ ბრძანა, რადგან სულ სხვა საჭადრაკო პარტია აერჩია, სხვა სვლები გაემზადებინა და შორი შამათი ჩაეფიქრებინა.

ალბათ ეს კითხვაც გაჰკრავს დროდადრო ამ ამბებზე მოფიქრალს: რა იქნებოდა, ბოლოს და ბოლოს, ეშვილა ძმისწული გიორგის... მით უფრო მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ ვეღარ ეყოლებოდა მემკვიდრე ძე. ჰა? ხომ დალაგდებოდა ყველაფერი მწყაზარად? თითქოს ხავერდოვანი გამოსავალი უნდა ყოფილიყო - დინასტიისთვისაც და სამეფოსთვისაც, მაგრამ ვაგლახ, რომ აგრე არ გახლავთ მოწყობილი ეს დუნია, ასე არ ყოფილა ადამ და ევას გამოძევებიდან მოაქამომდე და რაღა გიორგის ვთხოვოთ და რაღა იქ დაველოდოთ, საცა უზარმაზარი ძალაუფლება და ათასგვარი პოლიტიკურ-ეკონომიკური კერძოობანია ახლართულ-ჩახლართული?

სულ სხვა მიზნები ჰქონდა ამ ჩვენ მეფე გიორგის, სულ სხვა... მეფისა და მშობლის ინსტიქტიცა და პოლიტიკური ალღოც კარნახობდა, რომ საქართველოს ისტორიის გადახაზვისა და ხელახლა დაწერის დრო დამდგარიყო...

ერთი ტახტის ორი მოცილე

ქართულ წყაროებში დემეტრე (დემნა) ბატონიშვილი მოწიფული, მოჯანყე და ორბელთა ამყოლია. თანამედროვეთა ნაშრომებშიც ასეა: სრულწლოვანია, მაგრამ დიდებულთა ხელში მარიონეტად ქცეულა და მისი გამეფების საბაბით 1177 წელს მეფის წინააღმდეგ ამბოხი მოწყობილა.

მაგრამ გვავიწყდება მოვიკითხოთ უფლისწული ორბელთა გამოსვლამდე. სად იყო, როგორ იყო, სად იზრდებოდა, სად ცხოვრობდა, რას იქმოდა მეფის ძე და მეფის ძმისშვილი, რა როლი გააჩნდა შიდაპოლიტიკურ ჰამბებში, ვისთან დაიარებოდა და ვის გაურბოდა, რა დარდები ჰქონდა დაკარგულ ტახტზე და რა ფიქრები ჰქონდა ბიძას - მეფეთ-მეფე გიორგის მასზე. ნეტავ თუ ხვდებოდნენ ერთმანეთს? თუ მოესვლებოდა სამეფო კარზე და თუ ნადიმობდნენ და ბაასობდნენ - ეტიკეტებით, თავდახრებითა და ურთიერთპატივმიგებებით?

ღვიძლი ძმების შვილები - დემნა და თამარ - თუ იცნობდნენ ერთურთს? ცხადია, იცნობდნენ. სხვაგვარად შეუძლებელია: ერთი სამეფო, ერთი სამეფო გვარი, პოლიტიკური ელიტა, ცერემონიები, სტუმრობები, დარბაზობები, აღლუმები, ჯირითობები, ნადიმები, მისალმებები, ჩამოსხდომები, გაბაასებები... ბავშვობაში – სტუმრობანი, გართობანი, თამაშობანი? ერთი თაობისანი იყვნენ, მაგრამ სავარაუდოდ გრილი ბიძაშვილობა თუ ექნებოდათ.

მოკლედ, ამბოხებამდე არ გვახსენდება და თითქოს არც გვაინტერესებს და ვითომ არც არსებულა ეს ჩვენი დემნა. და როგორ წარმოგვიდგენია - არც გიორგი III-ს ანაღვლებდა? შეუძლებელია, ასე ძლიერ, შორსმომზირალსა და მიზანდასახულ მონარქს თვალი მოეცილებინა დემნას ნაბიჯებისა თუ უფლისწულის გარშემო მორუზრუზე დიდაზნაურებისთვის. რთული წარმოსადგენია, მუდმივად მსტოვრების თვალთახედვის არეში არ ჰყოლოდა და სულ ცხელ-ცხელი ამბები არ მირთმეოდა ხოლმე სამეფო პალატებში.

დემნა მეფეყოფილის ერთადერთი ვაჟი გახლდათ, გიორგი III კი, კანონიერად თუ უკანონოდ გამეფებული, მაგრამ აწ უკვე გვირგვინოსანი მონარქი იყო. ორივე საკუთარ სამრეკლოზე იდგა, ორთავეს თავისი წილი სიმართლე ჰქონდა და არც ერთი არ იქნებოდა თავის თავთან პირშავად. ტახტი, გვირგვინი და სკიპტრა ერთ-ერთს უნდა დარჩენოდა. ასეთ ვითარებაში სამეფო კაცთა შორის სათნოება და ქვეყანასა ზედა მშვიდობა უძნელესი მისაღწევი ხდება და ერთადერთი გზაღა რჩება: ძალითა და ჭკუით ან ერთმა უნდა იმარჯვოს, ან მეორემ.

რა არჩევანი ჰქონდა რომელიმეს?

ხანდახან მიამიტურად გვგონია, რომ თუ რომელიმე მათგანი დიდსულოვნად ტახტზე უარს იტყოდა, გაკეთდებოდა ქვეყანაც! ვაგლახ, რომ აგრე არ ხდება შუა საუკუნეებში და ასეთი ფერებით არ გახლავთ მოლამაზებული ცისქვეშეთი. ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას მარტო არ ხარ, შენთან ბედისმაძიებელთა და მოტმასნილთა მთელი არმიაა და ტახტზე უარის თქმა მათზე უარის თქმასაც ნიშნავს. არც ესენე მოგასვენებენ და გაგახარებენ და არც ის, ვის სასარგებლოდაც განერიდე პატივს. მისთვის დიდსულოვანი კი არა, სუსტი იქნები და თანაც, საფრთხედ მაინც დარჩები - ე მანდ, კვლავ არ გადაგიბრუნდეს ან გადაგიბრუნონ ის ბურთულა თავში და ისევ არ გაიწიო გვირგვინისკენ. საბოლოოდ მაინც განწირული რჩები და მშვიდი ცხოვრების უფლება გაქვს აყრილი.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ან დემნამ უნდა გადადგას გიორგი, ან ბიძამ უნდა მოიშოროს ძმისშვილი. რა ჰასაკიდან წაეპოტინა დემნას ოცნებები ბიძის თავზე მორგებულ მამისეულ გვირგვინს, ძნელი სათქმელია, მაგრამ აი, გიორგი III-ზე კი დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტახტზე ასვლის დღიდანვე დაიწყებდა დემნას განეიტრალებაზე ფიქრს. როგორც ვთქვით, დემნას მკვლელობა, ცხადად თუ ფარულად, ხელს არ აძლევდა მირონცხებულს. ეს რეპუტაციულადაც დამაზიანებელი იქნებოდა ისედაც გვირგვინის მიმტაცებელი მეფისთვის და შფოთსაც გააძლიერებდა ქვეყანაში - ერსა თუ ბერში.

მაშ, მსუყე მიზეზი იყო საჭირო!

და რა იქნებოდა მეფის წინააღმდეგ შეიარაღებულ ამბოხზე უკეთესი მიზეზი? არც არაფერი.

წყაროებიდან ისე ჩანს, თითქოს არ ელოდა გიორგი ამბოხს, მაგრამ აბა, კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ: როგორ შეიძლება, ან განდიდებულ დიდებულთაგან არ

ელოდო გამოსვლას და ან ტახტის მემკვიდრე უფლისწულისგან? მით უფრო, თუ ისინი ერთად არიან - თან ქორწინებითა და სიძე-სიმამრობით შეკავშირებულნი! და მით უფრო, თუ მეფეთ-მეფე გიორგი III ხარ, სამეფო კარის ინტრიგებში ფრიად ნასწავლი და ნაბრძოლ-ნაწრთობი.

ელოდა, ცხადია, ელოდა. დიდხანს ელოდა, აგროვა სარწმუნო ცნობანი და მიუშვა პროცესი. მიუშვა ისე, თითქოს სადავეები ხელიდან გაექცაო, არადა, გაექცა კი არა, ალბათ პულსზე ხელი ეჭირა და შინაური მტრის ბანაკიც თავისი ხალხით ჰქონდა გაძეძგილი. თავად კი ძალებს იკრებდა და გადამწყვეტი ამბებისთვის ემზადებოდა.

გამოსვლა ისტორიაში ორბელთა ამბოხის სახელით შევიდა. ქვემო პროვინციების მფლობელი, ერთხანს სამხრეთ კავკასიის უმნიშვნელოვანესი ქალაქის - ანისის მმართველი, ამირსპასალარი, ანუ ჯარის თავიკაცი ივანე ორბელი ლიდერად ჩანს და მისი სახლეულის გარდა აჯანყებაში მრავალი სხვა დიდებულიც მონაწილეობს. ეს ძალა სამხედრო ენაზე კბილებამდე შეიარაღებულ პროფესიონალ მეომართა ასეულებსა (ათასეულებს თუ არა) და ათეულობით გამორჩეულ ციხეს, სამოქალაქო ენაზე კი სამეფოს საკმაო ნაწილსა და ათეულათასობით აქტიურ და პასიურ გულშემატკივარს გულისხმობს. ყველა მათგანს, ცხადია, საკუთარი ინტერესი ამოძრავებს (ისევე, როგორც მეფის მომხრეებს), მაგრამ ლოგიკური არგუმენტებიც ექნებოდათ - თუნდაც ის, რომ უძეო გახლდათ მეფე გიორგი.

მოკლედ, გადაჯგუფდნენ მეფის ორგულნი და ერთგულნი, როგორც გვიყვარს ხოლმე დალაგება და წავიდა ბრძოლა, ჯახი და კაცისკვლა. ეს პროცესი მხოლოდ დემნას მოსაშორებლად როდი იქნებოდა ხელსაყრელი. მეფეს ოპოზიციური ძალებისა და კონკურენტი უფლისწულის მედასეების გამოვლენის, შემდეგ კი მათი დასჯა-დამცრობის ლეგიტიმური უფლება ეძლეოდა. უნიკალური შანსია, ერთად ჩამოიცილო ყველა, ვინც კი 22-წლიანი მეფობის განმავლობაში პრობლემად გექცა. და ბოლოს, უმთავრესი: გიორგი III-ს უმძლავრესი, ქვეყნის შემარყეველი ბიძგები სჭირდებოდა, რათა შემდგომ, ამ რყევების ჩაცხრობისა და გამარჯვების ფონზე, წინ ვეღარავინ აღდგომოდა რევოლუციურ და მანამდე სრულიად გაუგონარი გადაწყვეტილების განხორციელებაში - მას ხომ ქალის გამეფება გადაეწყვიტა!

ლორეს ციხის კედლები, დღევანდელი სომხეთი

ნელ-ნელა დავიწროვდა აჯანყებულთა რიგები. იწყეს მეფის ბანაკში გადმობარგება. გამჭრიახი მეფე ტკბილად იღებდა ყველას და მათ ორბელთა მამულებსა და პატივებს ჰპირდებოდა. ასეთთა შორის წინასწარ შეგზავნილებიც უნდა ვიგულისხმოთ. მათ პირველ ეტაპზე ინფორმაციის გამოტანა, უკმაყოფილების გაღვივება, სიტუაციის გამწვავება და აჯანყების პროვოცირება ექნებოდათ დავალებული, ამბოხის შემდეგ კი მეფის ბანაკში გადმონაცვლება და ამით მონაწილეთა მორალური გატეხვა. სწორედ ასეთი მისიით ჩანერგილს ჰგავს სარგის მხარგრძელი, რომელიც პირველი

ტოვებს ორბელიან-დემეტრიანთა ბანაკს და ამის გამო გიორგი III არა მხოლოდ პატიობს ღალატს (ეს ლოგიკურია), არამედ აჯანყების ჩახშობის შემდეგ აღაზევებს მასა და მის ჯალაბობას (ეს უკვე საეჭვოა). ამ ხაზს აგრძელებს თამარიც, რომელიც სარგისის ვაჟებს - ზაქარია და ივანე მხარგრძელებს კიდევ უფრო განადიდებს და თანამდებობებით, პატივებითა და ციხე-ქალაქებით უხვად ამწყალობებს.

მოკლედ, დავუბრუნდეთ: ბოლოს ლორეს ციხეში გამოიკეტნენ. დახმარების სათხოვნელად აფრინეს ხალხი მეზობელ სახელმწიფოებში. ნახევარი წელი გაგრძელდა ალყა. დახმარება არ ჩანდა და გატყდნენ ამბოხებულები. იწყეს დიდებულებმა ღამღამობით ციხის კედელზე თოკის გადმოგდება, ნელ-ნელა გამოძურწვა, მეფისკენ გადმოსვლა და შენდობის თხოვნა. იწყალებდა და იწყალებდა მეფე სვიანი და ალბათ ამით გათამამებულმა, ბოლოს სიმამრისგან უჩუმრად საბელი დემნამაც ჩამოუშვა, და ჩამოჰყვა, და ეახლა, და ეაჯა ბიძას. ამის მერე მალევე გატყდა ციხე ლორისა.

ივანე ორბელი დააბრმავეს. სხვა ორბელები სიკვდილით დასაჯეს და ამით უფრო მწარედ აზღვევინეს ცოცხლად დატოვებულ ყოფილ მხედართმთავარს.

არ ისმინა ჭაბუკი ძმისწულისა ბიძამ. გრძელვადიანი პოლიტიკური პროექტი ფინალს უახლოვდებოდა და რაღა დროს სენტიმენტები იყო! დემნას თუალნი დასწუეს და დაასაჭურისეს. მალევე გარდაიცვალა. ტრამვა - გინა ფიზიოლოგიური და გინა ფსიქოლოგიური - დიდი იქნებოდა, მდგომარეობაც ფრიად სტრესული და შესაძლოა ამჯერად მაინც ობიექტური იყოს მემატიანე და მართლაც თავისით გარდაიცვალა, მაგრამ აი არც ის გაგიკვირდეთ, რომ მძლავრი ტორებიც წაეშველებინათ ციხის დარაჯებს. მორალი უკვე მეფის აქტივში იყო და ვიღას ჰქონდა დაეჭვებისა თუ აღშფოთების უფლება!

დასრულდა სამეფო ფილმის მორიგი სერია. დასრულდა ძმებს შორის ტახტისთვის ბრძოლის ხანგრძლივი ეპოპეა. დასრულდა დემნას ხანმოკლე სიცოცხლე. გელათში არ დაკრძალეს - მამის, პაპისა და დიდი პაპის გვერდით. სვეტიცხოველში დაფლეს. სეფე-გათვლები აქაც ჩართეს: დემნას გვარს პატივი მიაგეს, თავად დემნას კი პატივი დააკლეს.

მოკლედ, აჯობა გიორგიმ. აჯობა მკლავითაც, თავითაც, ხერხემლითაც. აჯობა უმთავრესით: თავად არ გაიკარა, მოწინააღმდეგენი კი კვება და კვება ილუზიებითა და ფუჭი ფიქრებით.

ძაან არ იცოდე, რეალურად რა მოხდაო - გაიფიქრებს მავანი და სწორიც იქნება, მაგრამ აბა, ვინ აგვიკრძალა ფიქრნი, განსჯანი და გამარჯვებულთა დაწერილი წიგნების კირკიტნი - ფაქტების, ლოგიკისა და წარმოსახვის მოშველიებით? არც არავინ.

ამაოება ამაოებათა. ასე მალე დასრულდა დავით აღმაშენებლის მამაკაცური ხაზი. ■

ქეთი ქურდოვანიძე

მერე რა, წავშლი!

თუ ვიტყვით, რომ ყველაზე დიდი ფასი დროს დაედო, არ შევცდებით, რადგან ყველაფრის მოსწრება გვინდა, თუმცა ხანდახან არც კი ვიცით, რა არის ეს „ყველაფერი“. ფაქტია, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არაფერია, რადაგან მათ გარეშეც მშვენივრად ვარსებობთ, და არც განსაკუთრებულად სიამოვნებისმომგვრელ საქმიანობას ვაკლდებით, რადგან ასეთისთვის მუდამ ვიცლით. თუმცა ერთს ყოველთვის მშვენივრად ვახერხებთ - ჩავიხედოთ საკუთარ სმარტფონებში ყველა დაწკაპუნებაზე, გავიგოთ, ვინ რას გვწერს და ვინ რას გვთავაზობს, შემდეგ კი დაგროვილი უსარგებლო ინფორმაცია „წაშლის“ ღილაკის მეშვეობით სამუდამოდ გავაქროთ ჩვენი ცხოვრებიდან. მაგრამ, რასაც ვკითხულობთ, ძალაუნებურად მაინც გვამახსოვრდება, არა აქვს მნიშვნელობა, გამოვიყენებთ თუ არა ოდესმე ამ ინფორმაციას.

თუ ასეთი შთამბეჭდავია მოკლე ტექსტური შეტყობინება, წარმოიდგინეთ, როგორ მოქმედებს ავტორიტეტული, ნომინირებული თუ საყოველთაოდ აღიარებული პერსონების ნააზრევთან ზიარება, მით უმეტეს, რომ ამის დამახსოვრებას საგანგებოდ ვცდილობთ, შემდეგ რომ გამოვიყენოთ, ძირითადად თავის მოსაწონებლად.

თუმცა მეხსიერება მხოლოდ სუბიექრურად დამახსოვრების უნარით ხასიათდება, ასე ივსება თანდათან ჩვენი სივრცე ათასგვარი ინტერპრეტირებული ინფორმაციით და, შესაბამისაც, მასთან გამკლავებაც გაცილენით მეტ დროს მოითხოვს, ეს დრო კი ჩვენ არ გვაქვს, ამიტომაც ვიწყებთ „წაშლის ღილაკის“ გამოყენებას, რომ სივრცე გავათავისუფლოთ. რას ვშლით და რას ვტოვებთ?

ვშლით იმას, რაც გადავაფასეთ, ანუ ვივიწყებთ იმას, რასაც ოდესღაც კბილებით ვიცავდით. თავისუფალ ადგილს კი ვუთმობთ იმას, რაც კიდევ უფრო ძლიერად გვიპყრობს. ამის თვალსაჩინო მაგალითია საულის ბიბლიური ისტორია, რომელსაც პავლე მოციქული უწოდეს და რომლის ეპისტოლეებიც სამაგიდო წიგნად გაიხადეს.

ვშლით იმას, რაც ხელს გვიშლის მიზნის მიღწევაში. ეს ძირითადად გრძნობებია. გავიხსენოთ ჰამლეტი, რომელიც საკუთრი სივრცის დალაგებას გრძნობების წაშლით იწყებს, ის თავისუფლდება ყველა დამაბრკოლებელი ინსტინქტისგან, რომლებიც მის მთავარ მიზანს - შურისძიებას შეუშლის ხელს.

ვშლით ყველა უსიამოვნო მოგონეას, მათ შორის იმათაც, რომელთა დამახსოვრებაც მათი გამეორების ალბათობას შეამცირებდა, რადგან ვიცით, რომ არავის აინტერესებს, რამდენად რთული ცხოვრება გამოვიარეთ. ამის მაგალითია თომას მანისეული ბიბლიური იოსების ისტორია.

და კიდევ ვშლით იმ კადრებს, რომლებშიც საკუთარი თავი არ მოგვწონს, სადაც ჩანს ჩვენი ნაკლი და წარუმატებლობა იმ ნედლი ფოტოებივით, რომლებსაც „ედიტორი პროგრამების“ ყოვლისშემძლეობა ჯერ არ მიჰკარებია. ამ დროს კი ძალიან ვემსგავსებით კაფკას იოზებ კ-ს, რომელიც აცნობიერებს, რომ „დააკავეს“, ანუ შეაჩერა პიროვნული განვითარება, რადგან ის სხვების აზრზეა დამოკიდებული და ცდილობს, მათ მოაწონოს თავი, იცხოვროს მათთვის და არა საკუთარი თავისთვის. აქ თავს იჩენს ჩვენი ავტორიტარული ცნობიერება - დავემორჩილოთ იმას, რაც დაგვიწესეს, და წავშალოთ რეალობა, რომლის გამოსწორებაც ჩვენგან ძალისხმევას მოითხოვს.

ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია იმისა, თუ რისი წაშლა სურს ადამიანს. „წაშლის ღილაკის“ არსებობა გვაიმედებს, რომ ყველაფრის თვიდან მოშორებაა შესაძლებელი

და არ ვითვალისწინებთ, რომ შესაძლოა ისეთ ფაილსაც გადავეყაროთ ჩვენი ცხოვრების ქეისში, რომელიც არ იშლება. არ იშლება იმიტომ, რომ გაფუჭებულია და ჩვენს ხელთ არსებულ სხვადასხვა პროგრამას მათი ამოცნობა არ შეუძლია. ამიტომაც ხშირად უნდა შევამოწმოთ ჩვენი მეხსიერების ბარათი და შეძლებისდაგვარად დავაფორმატოთ. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ფაილების არსებობა ჩვენი დამსახურებაა, როდესაც მათი სისტემაში შემოსვლა არასერიოზულად აღვიქვით და ვიფიქრეთ - „მერე რა, წავშლი“. ასე გამოგვრჩა მათავარი, რომ წაშლა ყოველთვის ადვილი არ არის და არ ითვალისწინებს ჩვენს წინა გამოცდილებას.

ანტიკურ ეპოქაში „წაშლის სისტემა“ ადაპტირებული იყო მითებთან. რასაც ვერ უმკლავდებოდა ადამიანური ძალისხმევა, ინახავდა მითი. ამ სისტემამ საკმაოდ დიდხანს იმუშვა, თანაც წარმატებით, თითქმის ბაროკოს ეპოქამდე, ვიდრე საზოგადოებას არ გაუჩნდა სხვა სოციალური პასუხისმგებლობა არსებული კულტურული კონტექსტის - რენესანსის კრიზისის მიმართ. რადიკალური მოდერნიზაცია კი რეალიზმის ეპოქაში დაიწყო, როდესაც ცხოვრება სიზმარი კი აღარაა, არამედ რეალობა და მისი გაქრობის, წაშლის შანსი მინიმუმამდე მცირდება. მას მერე თითქმის არაფერი შეცვლილა, რეალობის აღქმის ფორმების გარდა. მზარდი სოციალური წნეხი და პოლიტიკური კატაკლიზმები ყოველდღიურობად იქცა და ამიტომაც „წაშლის სისტემაც“ მთელი დატვირთვით ამუშავდა.

ეს კარგად ჩანს პოსტკოლონიურ ლიტერატურაში, როდესაც მწერლობამ იკისრა მეხსიერებისა და ისტორიის კორელაცია, რათა საზოგადოებრივი მეხისერება ტრავმული, სტაგნაციური მდგომარეობიდან გამოეყვანა. მას მიაჩნდა, რომ წაშლილი, ანუ დეფორმირებული, მეხსიერება გავლენას ახდენდა, ამახინჯებდა რეალობას და ხელს უწყობდა სოციალური აღქმის დეგრადაციას, ასევე, პიროვნებისაც. მეხსიერებისა და რეალობის ურთიერთმიმართებას მიუძღვნა ფოლკნერმა მთელი თავისი შემოქმედება. მის რომანებში პერსონაჟთა წაშლილ მეხიერებას და, შესაბამისად, იდენტობას, არ ძალუძს აწმყოს რეალურად აღქმა. აქ ოკნაპატოფაც კი გამოგონილი ქალაქია, გამოგონილია დროც, რადგან ის რეალურად არ არსებობს და კვენტინის გაჩერებული საათივით ძველი და რიტუალურია („ხმაური და მრისხანება“). ასე იწყება პიროვნული დეკონსტრუქცია, რომლის აღდგენაც, ფოლკნერის აზრით, მხოლოდ მეხსიერების აღდგენითაა შესაძლებელი.

ამ თვალსაზრისით, სრულიად გამორჩეულია სალმან რუშდის რომანები. აქ მეხსიერება განიხილება, როგორც საშუალება მარიგინალურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის კრიზისული ვითარებიდან გამოყვანისა, იმ ადამიანისა, რომელსაც არსებულ სოციუმთან არ აქვს წარსულის ერთიანი განცდა და ადაპტირებისთვის იწყებს ისტორიული წარსულის წაშლას და მისი ახლით ჩანაცვლებას. თუმცა ის იმდენად ძლიერადაა მიჯაჭვული საკუთრ ისტორიას, რომ მეხსიერების ადგილს ისტორია, მეტიც, მისი ქვეყნის მითოლოგია იკავებს. მწერლის აზრით, მეხსიერებისა და ისტორიის სინთეზია ერთადერთი გამოსავალი იმ ადამიანებისა თუ ერებისთვის, რომლებსაც ხანგრძლივი წყვეტა ჰქონდათ საკუთარ წარსულთან. რუშდის უნიკალობა ისაა, რომ ის ცდილობს პოსტკოლონიური ლიტერატურის ზოგადი დისკურსის შეცვლას, რომელმაც ერთმანეთისგან გამიჯნა მეხსიერება და ისტორია, ანუ ისინი დაყო არქაულ და პერსონალურ ფრაგმენტებად - ის, რაც წინაპრებს გადახდათ თავს და ის, რაც სუბიექტურ გამოცდილებას ეყრდნობა, და მთლიანად სუბიექტურ მეხსიერებაზე ფოკუსირდა. რუშდიმ კი საკუთარ რომანებში არქაულ მეხსიერებასაც დაუტოვა ადგილი.

და როგორ მოვიქეცით ჩვენ, როგორც საზოგადოება, რომელიც ყველა ჯერზე მეტ-ნაკლებად ასოცირებული იყო ზემოთ ჩამოთვლილ პროცესებთან? ერთგვარი კულტურული ინფანტილიზმითა და სამოქალაქო ნიჰილიზმით, ამის მიზეზი კი მხოლოდ ისაა, რომ ჩვენი არსებობის ზონაში შემოვუშვით ყველა ის დავირუსებული ფაილი, რომლებიც სისტემას არღვევს, დამცავი პროგრამა კი წავშალეთ ,ახლა ამ რეალობიდან გამოსვლა გვიჭირს და ველოდებით, როდის შეგვიკეთებენ მას, დროდადრო კი მსუბუქად ვეხებით წაშლის ღილაკს, რომელიც დაჟინებით გვპასუხობს, რომ ამის გაკეთება შეუძლებელია. ■

დავით ბუხრიკიძე

კულტურა, როგორც რუსული პოლიტიკის ინსტრუმენტი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკვე 30 წლის გავიდა... და მაინც, პოსტსაბჭოთა დროის მწარე გამოცდილება - ომები, ეკონომიკური, რელიგიური თუ კულტურის სფეროში გაუცხოება მუდმივად გვაიძულებს ვიფიქროთ არა მხოლოდ დასრულებული საბჭოთა იმპერიის ფსიქოლოგიურ კვალზე, არამედ რუსეთის ისტორიულ, გაცხადებულ თუ პოტენციურ საფრთხეზე დღესაც და მომავალშიც.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მთელი ისტორია სავსეა ნეგატიური „მეხსიერების ბარათით“ - დაწყებული საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი მეთორმეტის გარდაცვალების შემდეგ, 1801 წლის თებერვალში, პავლე I-ის გამოცემული მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ (რამაც ფაქტობრივად, დაასრულა საქართველოს დამოუკიდებლობა); გაგრძელებული წითელი არმიის ოკუპაციით 1921 წლის თებერვალში და დამთავრებული 1989 წლის 9 აპრილს, საბჭოთა არმიის მიერ მშვიდობიანი მომიტიგეების სისხლიანი დარბევით მთავრობის სახლის წინ.... რაც ფორმალურად იმპერიის დანგრევის დასაწისს მოასწავებდა.

თითქმის ორასწლიანმა ოკუპაციამ, რომელმაც კლასიკოსი პოეტისა არ იყოს, „უხვად მოიტანა სისხლი და ცრემლები“, ნელა და ძნელად, მაგრამ მაინც გვასწავლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგების გზები, ხოლო უკვე დამოუკიდებლობის შემდგომ, ახალი ცნობიერებითა და სირთულით ცხოვრება. თუმცა, კოლონია-მეტროპოლიის პარადიგმა ისტორიული ტრავმებითაა და დრამატული შეცდომებითაა სავსე და ის გაცილებით მეტ ნიუანსებს გულისხმობს. რაც აისახება მნიშვნელოვანი გავლენის სფეროებში:1. ეკონომიკა, 2. რელიგია, 3. ენა, 4. კულტურა.

ცხადია, ყველაფრის განხილვა და ანალიზიერთსტატიაშიშეუძლებელია.ამიტომ შევჩერდებით ყველაზე მყიფე და როგორ უკვე ჩემი თანამედროვე პოეტი იტყოდა, „ჩათლახური დახვეწილობით დანაღმულ “კულტურის სფეროზე, რომელიც იმპერიის „რბილი ძალის“ ასევე ყველაზე მოქნილი და მართლაც, „ჩათლახური“ ფორმა გამოდგა. თუმცა კულტურასთან შეწყვილებული ენა (რუსული, როგორც საბჭოთა დროის სავალდებულო და საკომუნიკაციო ენა) დღეს არანაკლებ გავლენასა და ნეგატიურ მნიშვნელობას იძენს, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე. თუმცა ნეგატიურ-ენობრივი ან ნეგატიურ-კულტურული კონტექსტი მაინც პოლიტიკის ინსტრუმენტია.

თუ დროში ოდნავ უკან გადავინაცვლებთ და საბჭოთა ეპოქის კულტურულ კალეიდესკოპს ჩავუჯდებით, ბევრ მნიშვნელოვან დეტალს აღმოვაჩენთ, რაც მთლიან სურათს, ანუ „გეშტალტს“ უკეთესად დაგვანახებს. ჩვენი სოციალისტური წარსული, მთელი ეს კინემატოგრაფიულ-თეატრალური ვოიაჟები, 37 მანეთიანი გადაფრენები მოსკოვში - „მხატი“, „ლუბიმოვკა“, „ბოლშოი“, „ტრეტიაკოვკა“, თუ „დომ კინო“, პლუს არცთუ ნაივური გასტრონომიულ-სენსუალურ-სექსუალური მიზიდულობა, იმის ილუზიას ქმნიდა, რომ ქართველები საბჭოთა სისტემის ალბათ, ყველაზე მიმზიდველი და ეგზოტიკურ-სექსუალური სათამაშოები იყვნენ. თანაც ეს ფსევდორონატიკული განწყობები (prejudice) გულწფელი მოლოდინებითა და ნაივური ნაციონალური წარმოსახვებით იყო გამოჭდილი ათწლეულების განმავლობაში.

თავი რომ დავანებოთ საბჭოთა დროის კონტაქტებს კულტურის სფეროში და ბელა ახმადულინა-ოთარ ჭილაძის ტიპის ადრექრისტიანული ხანის გულწრფელობით ნაშენ სხვადასხვა სახის სინაზეებს, აღმოვაჩენთ, რომ რუსულ-ქართული „მაგნიტური მიზიდულობანი“ უფრო ისტორიული გამოცდილებით, კულტურის არქეტიპებითა და მართლმადიდებლობით იკვებებოდა...მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული, როდესაც გარსევან ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი რუსეთის იმპერიის რეალური დასაყრდენები გახდნენ საქართველოში, ხოლო ნინო ჭავჭავაძისა და ალექსანდრე გრიბოედოვის ქორწინება ფაქტობრივად, პოლიტიკურ მეზალიანსად გაფორმდა, რუსეთმა პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული ველი საქართველოში სრულად დაიპყრო. გრიბოედოვის ფიგურა საერთოდ, ცალკე კვლევის საგანია, რადგან დღესაც გასაიდუმლოებულია მისი მკვლელობის დეტალები თეირანში და ასევე, მისი როლი მაშინდელი რუსეთის იმპერიის უშიშროების სამსახურში.

გასული საუკუნის 70-იანი და 80-იანი წლების კორუფციულ-მეგობრული სქემების მიღმა სანაქებო კულტურული ტრადიციებიც იკითხებოდა, იმდენად, რომ ქართული ინტელიგენცია მოსკოვში დაცული დესერტაციების მხრივ (თუმცა არც ჩვენი მეზობლები - სომხები და აზერბაიჯანელები იყვნენ შორს) რეკორდებს ამყარებდა. მეგობრობა+კორუფცია+ნეპოტიზმი+ფსევდო მართლმადიდებლობა - დაახლოებით ასეთი იყო გასული საუკუნის საბჭოეთიდან მოყოლებული მექანიზმი, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ ანტიკორუფციული და განათლების სფეროში მიღწეული რეფორმების მიუხედავად, „ქოცნების“ ხელისუფლებამ ის გადაშენებული არქეოპტერიქსივით გაცოცხლდა.

პარადოქსია, რომ რუსეთში მცხოვრები მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის „მიმინო“ დღემდე ქართველი მამაკაცების კრებითი სახეა, მისაღები და ბუნებრივია. გიორგი დანელიას პოპულარული ფილმიდან და ბუბა კიკაბიძის გმირიდან შემორჩენილი ქართველის იმიჯი ალბათ, ათწლეულები კიდევ არ წაიშლება რუსული ცნობიერებიდან.

სამწუხაროა, რომ ისეთი მებრძოლი ანტიპუტინისტი, როგორიცაა მაგალითად, რეჟისორი დიმიტრი კრიმოვი (ცნობილი რეჟისორის, ანატოლი ეფროსისა და თეატრმცოდნე ნატალია კრიმოვას ვაჟი), რომელიც ბავშვობიდან მოყოლებული ძალიან ხშირად ჩამოდიოდა თბილისში და პრაქტიკულად, დღეს რუსეთიდან გაძევებულია, ვერ ახერხებს მცდარი და სქემატური განწყობებისგან გათავისუფლებას.

ახალ სპეტაკლში „ყველა აქაა“ (2022), რომელიც მიხეილ თუმანიშვილის „ჩვენი პატარა ქალაქის“ ინსპირაციით დადგა, ქართველი მაინც მოსულელო, ღიპიან, ბანჯგვლიან, უმიზეზოდ ამაყ და ინფანტილურ არსებად ყავს გამოყვანილი, რომელმაც ვერაფრით ისწავლა რუსული ენა და რომელიც ყველანაირად ცდილობს უაზრო სისულელით გამოიჩინოს. საერთოდ, რა უნდა მოსთხოვო რიგით რუს მოქალაქეს, (რომელმაც ბოლო დროს თბილისის ქუჩები უკვე მშვენივრად აითვისა), როცა რეალობაზე ფოკუსირებას თავად ცნობილი რეჟისორიც ვერ ახერხებს.

საქართველოს შესახებ პოსტსაბჭოთა რუსული კულტურის განწყობები მათი

ცნობიერებიდან არ გამქრალა. ყველა შესაძლო თუ შეუძლებელ წარმოსახვას რუსი მოქალაქე მაინც ღვინოს, ხაჭაპურს, ცეკვა-თამაშს და ზოგჯერ, ფიროსმანს უკავშირებს. ალბათ, უკმაყოფილო დარჩება თუ გასართობად აქ ჩამოსულს ეს სტანდარტული ხატი საქართველოში არ დახვდება. ცალკე საკითხია სხვადასხვა ტიპის რუსული ენისა და კულტურის ცენტრები საქართველოში და განსაკუთრებით „რუსული კლუბი“, რომელიც არათუ რბილი ძალის გამოხატულებაა, არამედ პირდაპირ ღია პოლიტიკური მესიჯებით იმართება მოსკოვიდან. თუმცა ხელისუფლება საერეთოდ არ რეაგირებს ამ ფაქტზე, სამაგიეროდ ახალისებს ყოვლად ამაზრზენ კამპანიას „გარეჯი საქართვბელოა“. რომელიც პირდაპირ ჯდება კრემლის გეოპოლიტიკურ ნარატივში.

2022 წლის კიდევ ერთი „უცნაური“ მოვლენა იყო კინოსტუდის „ქართული ფილმის“ მონაწილეობა დსთ-ს ქვეყნების კინოსტუდიების ალიანსში. ამ ალიანსის შექმნის გადაწყვეტილება ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეში გამართულ, დსთ–ს ქვეყნებისა და საქართველოს კინოსტუდიების დირექტორთა საბჭოს ფორუმზე მიიღეს, რომელიც ონლაინ ფორმატით გაიმართა. კინემატოგრაფიულ სფეროში თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება კი სხვადასხვა კინოკონცერნებისა და კინოსტუდიების წარმომადგენლებს შორის დაიდო.

რომ არა რუსულ და უზბეკურ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაცია, საქართველოში ვერავინ ვერაფერს გაიგებდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს ფაქტი გახმაურდა, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორთა საბჭოს წევრებმა სოციალურ ქსელში განცხადება გაავრცელეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ დუშამბეში გამართული ფორუმით და ყოფილი საბჭოეთის შემოქმედებითი კავშირების აღდგენით, პირველ რიგში, რუსეთია დაინტერესებული, ყველაფერი ნათელი გახდება. ფორუმში მონაწილეთა შორის მთავარი პერსონა კონცერნ „მოსფილმის“ გენერალური დირექტორი, პუტინის ერთ–ერთი აქტიური მხარდამჭერი და სოლოვიოვის პოლიტიკური ტოკშოუს მუდმივი მონაწილე, რეჟისორი კარენ შახნაზაროვია.

აშკარაა, რომ კულტურით „განაყოფიერებული“ რუსული რბილი ძალა ევროკავშირისა და საქართველოს კონტექსტში განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს. რუსეთი აქტიურად იყენებს მის ხელთ არსებულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, საინფორმაციო და კულტურის სფეროს ბერკეტებს, როგორც იარაღს, თავისი გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად. კრემლი განსაკუთრებით აქტიურია იმ ქვეყნებში, რომლებიც ლოიალურნი არიან რუსეთის მომართ, ან თავს მისი კულტრის გავლენის სფეროში მოიაზრებენ. კრემლის პროპაგანდისტული და დეზინფორმაციული კამპანია კი რეალურ საფრთხეს უქმნის საქართველოს, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე. ■

ზურა მეძველია

ჩემი მსოფლიო

ფეხბურთზე დაგვიწერე რამე, თან შენი განცდებითო და, გაგანია მსოფლიო ჩემპიონატისას, აბა, სხვა რაზე შეიძლებოდა დამეწერა? ჰოდა, ვიფიქრე ცოტა ხანს და მოვიფიქრე: ამ დღეებში ბლოგებისა თუ პოდკასტების ყველაზე პოპულარული თემა „ჩემი მსოფლიო ჩემპიონატი“ ვარჩიე და თან აქეთ ყოველდღე 4 მატჩის შემყურემ და იქით სამსახურში ისედაც ძალიან დაკავებულმა, ყველაზე იოლი გზა ვნახე წერის თავიდან ასაცილებლად - სხვადასხვა დროის საკუთარი ფეისბუქური პოსტებით (მცირე შესწორებებით) შევაკოწიწე ეს თითქმის საკუთარ თავთან ინტერვიუ.

ჩემი პირველი მუნდიალი

(ეს სულ ცინცხალია, 2020 წლის ოქტომბერში დავწერე, როცა ცხოვრებაში პირველი შვებულება ავიღე და საკუთარ თავს „კვარატური“ მოვუწყვე „ნაპოლის“ სამ თამაშზე დასწრებით. აქედან პირველი ამსტერდამში იყო, იოჰან კრუიფის არენაზე).

კრუიფის დაბადების დღეს გილოცავთ, ხალხოოო - შევყვირებდი ხოლმე ყოველ 25 აპრილს: მამა-შვილი, ანუ მამაჩემი და ბაბუაჩემი, ერთ - სწორედ ამ - დღეს იყვნენ დაბადებულები და იმ გენიოსი ჰოლანდიელის სადღეგრძელოც შეისმებოდა ხოლმე სამი თაობა ფეხბურთზე გადარეულთა ოჯახში...

7 წლის ვარ და მამაჩემთან და სხვა ბევრ კაცთან ერთად მივჩერებივარ შავ-თეთრ ტელევიზორს. და მართალია უკვე თითქმის ერთი წელია ხალისით და ინტერესით ვუყურებ ფეხბურთს, მსგავსი ჯერ არაფერი მინახავს - აი, რაღაც ძალიან სხვანაირი ხალხი თამაშობს: ყველა გრძელთმიანი, ზოგი ჩაჩაჩული გეტრებით, ზოგი ჩამოშვებული მაისურებით... და რაღაც სხვანაირად თამაშობენ. სტაფილოსფერ ფორმაში არიანო, ამბობენ მამაჩემი და ის სხვები და იმასაც ამბობენ, ეს 14 ნომერი რა სასწაულიაო... ძალიან მომეწონა მეც ეს 27 წლის ბიჭი და მგონი 1974 წლის იმ დღეს საბოლოოდ გადაწყდა ჩემი და ფეხბურთის დღემდე შეყვარებულობის ამბავი... 1976 წლის ევროპა ბოლშევიკებმა არ გადმოსცეს, 78-ის მსოფლიოზე კი კრუიფი აღარ იყო. მოკლედ, ლაივში აღარც მინახავს...

25 წლის ვარ და კიევში გავფრინდი აწ უკვე ბარსელონას 45 წლის მწვრთნელის სანახავად. უფროსი ლაუდრუპიც ჩამოვიდა და ის გიჟი სტოიჩკოვიც. აი მთავარი მწვრთნელი კი - ვერა: გამოფრენამდე რამდენიმე საათით ადრე ცუდად გახდა და გულის ოპერაცია დასჭირდა. მოკლედ, ვერ ჩამოვიდა უკრაინაში და მეც ვერ გადავუხადე მადლობა იმ ოდინდელი საღამოსთვის...

56 წლის ვარ, გულის შეტევა უკვე მეც ვიცი, რა ხილია და ამსტერდამში ყოფნის ბოლო დღეს მივადექი აწ უკვე ექვსი წლის წინ გარდაცვლილი, იმ 14 ნომრის პირველ სახლს და ხუმრობით ის ჩავიბურტყუნე, რასაც, გადმოცემით, ხშირად შესჩივლებდნენ ხოლმე მეზობლები იოჰანის მშობლებს - თქვენმა შვილმა ჩვენი ფანჯარა იმსხვერპლა თავისი ბურთითო. და მერე რამდენი გუნდი იმსხვერპლა იმ თავისი ბურთით და რამდენი რამ მოიგო და რამდენი რამ შეცვალა და რამდენი აღზარდა და რამდენს შეაყვარა ფეხბურთი, მაგას რა ჩამოთვლის...

მადლობა იოჰან-მეთქი და წამოვედი.

ყველაზე დასამახსოვრებელი მატჩი

(ეს 2020 წლის ზამთარშია დაწერილი - 9 დეკემბერს პაოლო როსი გარდაიცვალა და ასე დავიტირე).

არის თამაშები, რომლის მერეც ზიხარ გულდათუთქულ-გაბოროტებულ-დაშტერებული და არაფრით გჯერა, რომ შენმა საყვარელმა გუნდმა წააგო. აი, სიტყვაზე, მიუნხენელები როგორც იყვნენ ბარსელონაში 1999-ში ან მილანელები სტამბულში 2005-ში.

და არის თამაშები, სადაც დიდად არავის მხარეს ხარ, შესაბამისად დიდად არც არაფერი გწყინს, მითუმეტეს, არც გაბოროტებული ხარ და, უბრალოდ, ხარ დაშტერებული - ეს ცხადში მოხდა?

ზუსტად ასეთი დაშტერებული ვიყავი 1982 წლის 5 ივლისს იტალია - ბრაზილიის მატჩის მერე. კი ბატონო, მერეც ყოფილა რაღაც მიმსგავსებულები, მაგრამ ასეთი შოკი? არა, აღარასდროს. არადა, 12 მსოფლიო მაქვს ნანახი.

აქეთ რაღაც არანორმალური ბრაზილია ზიკო-ფალკაო-სოკრატეს-ედერებით - ყველა გამოკითხვით ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი - და იქით იტალია, რომელიც ჯგუფიდან მოუგებლად და მხოლოდ იმიტომ გავიდა, რომ კამერუნელ მეკარეს ფეხი დაუცდა უშნოდ. და თამაშს იგებს იტალია 3:2. და ეს სამივე გოლი გააქვს პაოლო როსის.

ჩრდილივით კაცი იყო. აი, მგონი რაღაც ჭირს და მთლად ჯანმრთელად ვერ უნდა იყოსო, რომ იტყოდი. აბა, სად არის ეგ თქვენი როსი? და უცებ - ბაბახ, ყველაზე საჭირო მომენტში. თამაშები კი არა, მთელი "აბა, სად არის?" სეზონები ჰქონდა.

ჯერ კიდევ იუვეს ჭაბუკებს არ გამოსცდენოდა და სამი ოპერაცია ჰქონდა გადატანილი. მერეც ბევრი ტრავმა. ბოლოსკენაც გადმოვხტეთ და 1985-86 სეზონი ვახსენოთ, "მილანში" რომ იყო - 20 მატჩიდან 19-ში არ გაუტანია და მხოლოდ ერთში შეაგდო, თან ერთბაშად ორი. სად და ვისთან? რა მიხვედრა უნდა - ყველაზე საჭირო დროს და ადგილას - სან სიროზე, ინტერთან.

ჩრდილში ყოფნაზე უარესი, 2-წლიანი დისკვალიფიკაცია და, ამის მერე, ჯერ პირველ ოთხ მატჩში „აბა, სად არის?", მერე კი, სულ ერთ კვირაში: 6 გოლი და მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობა, საუკეთესო ფეხბურთელობა და ჩემპიონობა. "სარიას ტრაგედიის" მთავარი გმირი და "კაცი, რომელმაც ბრაზილია აატირა".

ჰო, მაგის მერე ბრაზილიაში ერთხელ ითამაშა და მოედნის კიდესთან რომ აღმოჩნდებოდა ხოლმე, იმდენ ხურდას ესროდნენ, გამდიდრდებოდა კაცი, აკრეფა რომ არ დაზარებოდა. არ ბრაზდებოდაო. ეგ კი არა, მაგ ტურნეს დროს ერთხელ ტაქსით წასულა სადღაც. შუა გზაში ტაქსისტი მიმხვდარა, ვინაა მგზავრი და ახლავე გადადი მანქანიდანო. არც აქ გაბრაზებულა და მოუთაფლია ის მძღოლი, მაგრამ იმას

უთქვამს - კაი, ნუ გადახვალ, მაგრამ უბრალოდ თავს ვერასდროს ვაპატიებ, რომ შენ რამე სურვილი შეგისრულო, ამიტომ კი წაგიყვან, ოღონდ იქ კი არა, სადაც მიდიხარ, არამედ უკან სასტუმროშიო. ბრაზილიელები წლეულს მოლბნენ, როცა ფალკაოს თხოვნით პაოლომ და მისმა ჩემპიონმა ძმაბიჭებმა ბრაზილიელთა გამამხნევებელი ვიდეო ჩაწერეს, ერთად დედას ვუტირებთ ამ კორონავირუსსო...

ფილტვის სიმსივნემ შეიწირა 64 წლისა. სამი შვილი დარჩა: 38 წლის ალესანდრო პირველი ცოლისგან და ორი გოგო - 10 წლის მარი ვიტორია და 8 წლის სოფია ელენა მეორე ცოლისგან, ვინც 16 წლით უმცროსი იყო და 2008 წელს გაიცნო.

ტოსკანელი იყო და ბოლოს ტოსკანაში ცხოვრობდა თავის მიერ გაშენებულ 15-სახლიან სოფელში, ფეხბურთის მოედნით და ვენახებით გარშემორტყმული. კაი ღვინოს ასხამდაო. ღვინო არ ვიცი, მსმელი არ ვარ, აი, ფეხბურთი კი მიყვარს და ამიტომაც მომინდა ჩემთვის ყველაზე შოკისმომგვრელი მატჩის და მისი მთავარი გმირის ორი სიტყვით გახსენება

ყველაზე დასამახსოვრებელი გოლი

(ეს წინა მუნდიალისას გავიხსენე ფეისბუქზე, ოღონდ აქ პატარა წინასიტყვაობასაც წავუმძღვარებ, 1990-იანების დასაწყისში ფეხბურთის ფედერაციაში მუშაობის დროინდელ ამბავს: ერთხელ, ერთობ ძლიერი მიწისძვრა მოხდა და მთელი ამ ჩვენი ფედერაციის ორი სართული ხალხი, ცხადია, ეგრევე გარეთ გავარდა. მათ შორის, რამაზ შენგელიაც. მერე რამაზას უფიქრია, ხომ არავინ დარჩა, ვნახოო და შემოქანდა უკან... მერე უყვებოდა თანამშრომლებს - შევქანდი, დავქრივარ ოთახებში და ერთგან ვხედავ, მეძველია სკამზე დგას და ვან ბასტენის პლაკატს ხსნის მოწიწებით კედლიდანო. რას აკეთებ, დროზე წამოდი, დავუყვირე და ამ არანორმალურმა მიპასუხა, ამის გარეშე შანსი არ არისო).

მე-11 მსოფლიო ჩემპიონატია ჩემთვის და რანაირი გოლები არ მინახავს ამ ორმოც წელიწადში - ისეთი, ასეთი, რომ გამხარებია, მთლად რომ გავუგიჟებივარ სიხარულით (1998-ის დენის ბერხკამპ!!! დენის ბერხკამპ!!! დენის ბერხკამპ!!!), რომ მწყენია, რომ ავუტირებივარ კიდეც... მაგრამ ეს გამორჩეულია ყველასგან - რამაზ შენგელიას გოლი შოტლანდიასთან 1982 წლის 22 ივნისს.

მეკიდა უკვე მაშინ, 15 წლისას, 3 ქართველი თამაშობდა სსრკ-ს ნაკრებში თუ 10 - მაინც მეტოქის მხარეს ვიყავი. ამ თამაშში შოტლანდიას მოგება ჭირდებოდა, სსრკ-ს კი ფრეც ჰყოფნიდა. ჰოდა, ქამონ სქოთლანდ! და გაიტანა მალევე სქოთლანდმა, ოღონდ ჩივაძის ძალიან უხეში, მისთვის არადამახასიათებელი შეცდომის წყალობით. გოლი გამიხარდა, მაგრამ რომ წარმოვიდგინე, წაგება ჩვენიანს დაბრალდებოდა, ისე ვეღარ შევირგე ეს სქოთთა დაწინაურება. მერე ანგარიში გათანაბრდა. და ვინ გაათანაბრა? ხო, ჩივაძემ! და მომეხსნა ეს "საშას კომპლექსი" და ისევ „ქამონ სქოთლანდ!" ავტეხე. და მერე იყო 84-ე წუთი: ორი სქოთი ერთმანეთს შეასკდა და რამაზ შენგელია მარტო გაიქცა კარისკენ... 6 წამი იყო სულ იმათი შესკდომიდან გოლამდე და ამ ექვს წამში ოთხჯერ მოვასწარი შეყვირება:

ჯერ იყო "არა!!!" მერე იყო "მიდი!" მერე ისევ "არა!" და ბოლოს ისევ "მიდი!!!"

ჩემი საყვარელი ფეხბურთელი იყო რამაზა მაშინ. მაგრად მიყვარდა და თან მეცოდებოდა - ყიფიანისგან თუ გუცაევისგან განსხვავებით, ხალხი თითქმის არასდროს პატიობდა შეცდომას და გვარიანად ლანძღავდა კიდეც. მე კი სწორედ მის გამო პირველ ტაიმშიც "დინამოს" მეტოქის კარის უკან ვიჯექი ხოლმე და მეორეშიც - რამაზა გაიტანდა, თავისებურად შეკუნტრუშდებოდა და მეც იქვე ვიყავი ხოლმე, სიხარულთან ახლოს.

ჰოდა ეგ იყო ამ "არა!-მიდი!"-ს მიზეზი - საყვარელი ფეხბურთელი გადის პირისპირ და ცხადია გინდა რომ გაიტანოს, მაგრამ СССР აწერია და ესესერის დედაც ვატირე ასი წელი, მარა ამან ეს შანსი რომ გააფუჭოს, შევრცხვებით აჰაიდა მსოფლიოს თვალწინ...

გაიტანა. ორ წუთში სქოთებმა ისევ გაათანაბრეს და დარჩენილი 4 წუთი ძალიან

მინდოდა, კიდევ ერთი შეეგდოთ და ჩაეტოვებინათ ჯგუფში ეს ესესერი, მაგრამ ვერაო...

1991 წლის 1 ივლისს მოვუყევი ეს ამბავი რამაზას. უფრო სწორად, მოვუყევი კი არა, სადღეგრძელოდ ვთქვი კიშინიოვში, საქართველოს ნაკრების პირველი გასვლითი მატჩის წინა დღით მოლდოველთა მიერ მოწყობილ ბანკეტზე. (მე და ბანკეტი და მე და სადღეგრძელო კი იცით ვინც იცით, მაგრამ მარტო მე და რამაზა ვიყავით ქართველებიდან და იმათ ადღეგრძელეს და რა მექნა?) ჰოდა მოვყევი ამ 6 წამის ამბავი და ავაცრემლე მასპინძლები. რამაზა კი მოვიდა, გადამეხვია და "ბავშვობიდან ყოფილხარ არანორმალურიო" - მითხრა.

ყველაზე...

(კრუიფი, როსი, შენგელია... რამდენი სიხარული უჩუქებიათ მილიონობით ადამიანისთვის და თან რაც მთავარია - ჩვენ, გახარებულებს, არასდროს გვინანია ამ სიხარულის. თუმცა არიან გამონაკლისებიც... ამ ისტორიას მობურთალ-პოლიტიკოსების გამო ხშირად ვიხსენებ ხოლმე და ბარემ აქაც იყოს. მაშ ასე, ორიოდ წინადადება საფრანგეთის ნაკრების ალჟირული წარმოშობის ვარსკვლავზე).

ზიდანი გგონიათ? არა ბატონებო, მანამდე დიდი ხნით ადრე იყო ეს ამბავი.

1930 წლის 13 ივლისი. მონტევიდეო, ურუგვაი. მსოფლიოს პირველი საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ მატჩში საფრანგეთის ნაკრებმა 4:1 დაამარცხა მექსიკა. ფოტოზე მარჯვნიდან პირველი რომ დგას, ფრანგთა კაპიტანი ალექსანდრ ვილაპლანია - პირველი ალჟირული წარმოშობის ფეხბურთელი საფრანგეთის ნაკრებში. ვიმეორებ: საფრანგეთის ეროვნული გუნდის კაპიტანი ისტორიულ, მსოფლიოს სულ პირველი ჩემპიონატის სულ პირველ მატჩში.

გადის 14 წელი. 1944 წლის 26 დეკემბერს ეს შენი ყოფილი ვარსკვლავი და კაპიტანი, აწ უკვე ესესის ლეიტენანტი ალექსანდრ ვილაპლანი ფრანგებმა გაასამართლეს და საშობაოდ მიახვრიტეს კიდეც მეორე მსოფლიო ომის დროს მტერ გერმანელებთან თანამშრომლობის გამო.

ჩემი...

(აი, ეს კი არსაიდან ამომიჩხრეკია და ახლა ვწერ პატიოსნად იმის გამო, რომ სტატია ფაშისტების, კოლაბორაციონისტების და სხვა მამაძაღლების ხსენებით არ დამთავრდეს).

49 წელია ფეხბურთს ვუყურებ და ისე მოხდა, რომ სულ 3 ფეხბურთელი იყო, რომელმაც ეგრევე, აი სულ-სულ პირველი ნახვისთანავე და ლამის წუთებში აღმაფრთოვანა: მარკო ვან ბასტენი, ანდრეს ინიესტა და... ხვიჩა კვარაცხელია.

ჰოდა ამდენი წერის დრო მართლაც სადაა და მოდი ბოლოს უბრალოდ დავილოცები: ეს კატარული იყოს ბოლო მსოფლიო ჩემპიონატი ჩვენს გარეშე!

მსმელი არ ვარ-მეთქი და მაინც რა კარგად დავილოცე, არა?

აბა, ავიტაცეთ!

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ლევან ხერხეულიძის ფოტო

CHAVCHAVADZE CENTER
Ilia Chavchavadze Center for European Studies and Civic Education

FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
South Caucasus

ახალი ივერია
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

ნომერში გამოყენებულია მირიან კილაძის,
კახა ხიმშიაშვილის და ლაშა გაბელიას ფოტოები

2022 ნოემბერი, #1 (1)
ISSN 2720-8729

ააიპ “ჭავჭავაძის ცენტრი”
გიორგი ახვლედიანის 20
0108, თბილისი, საქართველო

© ჭავჭავაძის ცენტრი, 2022

ახალი ეკლესია